1134
2000

# არილი

№12 (157) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 14 სექტემბერი

ფასი 50 თეთრი

to Venclova

#12
2000



„მეუხერხულება პოეზიაზე ლაპარაკი და მე მგონი, მილოშსაც იგივე სჭირს. ცოტათი არ გვიყვარს, როცა ამ საქმეს ვუღრმავდებით, განსაკუთრებით კი საჯაროდ. პოლიტიკაზე საუბარი გაცილებით იოლია. თანაც, პოლონეთისა და ლიტვის რეგიონებში პოლიტიკა იმდენად დახლართულია და საინტერესო, რომ მართლაც უსასრულოდ შეგიძლია ამის შესახებ ისაუბრო.“

ტომას ვენცლოვა

ლიტერატურული გაზეთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი



მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

სარედაქციო საბჭო
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
გია გორგოძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
ზაზა თვარაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ქილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე





**№12 ხუთშაბათი, 14 სექტემბერი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ

## ლიტერატურა


**თამაზ ვასაძე**
"ვეფხისტყაოსნის" მხატვრული შინაარსის კომენტარები ........ 1
**გრიგორ ზამზა**
სულთათანა ........ 2
**ანდრო ბუაჩიძე**
წუხილი ლექსების გამო ........ 6
**შოთა იათაშვილი**
ლექსები ........ 8
**უილიამ ტრევორი**
მისტერ მაკნამარა ........ 24


## „ლიტვური დივერტისმენტი"


წინათქმა ........ 9
**მარცელიუს მარტინაიტისი**
ტექსტები სინათლის შუქზე ........ 10
**თომას ვენცლოვა -**
ვილნიუსელი ტარტიუფი იელის უნივერსიტეტში ........ 12
**რენატა შერელიტე**
სარკის ზედაპირზე ........ 15
**ბირუტე იონუშკაიტე**
ნაცრისფერიქალი ........ 17
**იურატე სპრინდიტე**
მონატრებული უბრალოება ........ 19
**რიჩარდას გავიალისი**
ლიტერატურის თვითმკვლელობა ........ 20
**მარცელიუს მარტინაიტისი**
ლექსები ........ 22


## თეატრი


**ზაზა ფაჩუაშვილი**
სპექტაკლი ქართლის გულში ........ 30


## პოლიტიკა


**ია ანთაძე**
დიდოსტატის "მარჯვენა" ........ 33
**დავით ზურაბიშვილი**
თავისუფლების საფრთხობელა ........ 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ვასაძე

# "ვეფხისტყაოსნის" მხატვრული შინაარსის კომენტარები

## სიყვარული და თავისუფლება ავთანდილის ანდერძში

"ვეფხისტყაოსანში" სახელმწიფოს და პიროვნებას შორის რთული ურთიერთმიმართება, რომელიც მხოლოდ საბოლოოდ ხდება ჰარმონიული. ჰარმონია ხორციელდება პიროვნული ინტერესების და ფასეულობების პრიმატით - სახელმწიფოებრივი ინტერესები პიროვნულს უნდა დაემთხვეს, სახელმწიფო პიროვნული ფასეულობების რეალიზების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს. ვიდრე ეს მიიღწევა, პიროვნება იძულებულია უპირისპირდებოდეს სახელმწიფოს.

როცა ტარიელთან დაბრუნებას გადაწყვეტს, ავთანდილი თავის სახელმწიფო მოვალეობაზე და მეფის მორჩილებაზე მაღლა საკუთარ პიროვნულ მისწრაფებებს აყენებს. ეს უჩვეულო მოვლენაა და ავთანდილმა უნდა განმარტოს იგი - ასეთია მისი ანდერძის მიზანდასახულობა. ავთანდილის არაბეთიდან გაპარვა თავისი მნიშვნელობით ნესტანის და ტარიელის მიერ ინდოეთის მეფის უპირობო მორჩილებაზე უარის თქმის და თავიანთი პიროვნული მისწრაფებების თამამი, რისკიანი რეალიზების ტოლფასია. ავთანდილი თავისებურად იმეორებს იმას, რაც ტარიელმა ნესტანთან ერთად გააკეთა.

თავისი არაორდინარული ქცევის, მეფისადმი დაუმორჩილებლობის გამამართლებელ არგუმენტებს ავთანდილი ეძებს და პოულობს ეთიკის სფეროში. პიროვნული მისწრაფებების უზენაესობა, პიროვნული თავისუფლების უმაღლესი ფასეულობა საბუთდება ზნეობრივ ჭეშმარიტებებზე დაყრდნობით. პიროვნული ცნობიერების უმთავრეს ნიშნად იკვეთება ის, რომ იგი ზნეობრივი ცნობიერებაა, უშეღავათო ზნეობრივ მოთხოვნებს უყენებს თავისთავს და სამყაროს.

**ტრადიციული - ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული თუ რაინდული ეთიკის მცნებები ავთანდილის ანდერძში პიროვნების თავისუფლებას, ავტონომიას აფუძნებენ. ტრადიციულ ფასეულობათა წიაღიდან იბადება ახალი და დიდი ფასეულობა. ავთანდილის ანდერძი თავისი შინაგანი საზრისით პიროვნების ემანსიპაციის ქარტიად წარმოდგება.**

ზნეობრივი იმპერატივები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეფისადმი მორჩილება - ამგვარია ანდერძის ქვეტექსტი. ხოლო თვით ეს იმპერატივები არ არის ადამიანისთვის გარედან თავსმოხვეული, პიროვნება მათ საკუთარი არსების სიღრმეში აღმოაჩენს. ისინი მისი სიღრმისეული მოთხოვნილებების შესატყვისია და კი არ ბოჭავენ, ზღუდავენ მას, არამედ, პირიქით, ათავისუფლებენ.

ტრადიციული - ქრისტიანობამდელი, ქრისტიანული თუ რაინდული ეთიკის მცნებები ავთანდილის ანდერძში პიროვნების თავისუფლებას, ავტონომიას აფუძნებენ. ტრადიციულ ფასეულობათა წიაღიდან იბადება ახალი და დიდი ფასეულობა. ავთანდილის ანდერძი თავისი შინაგანი საზრისით პიროვნების ემანსიპაციის ქარტიად წარმოდგება.

ავთანდილისთვის ზნეობა და სიბრძნე განუყოფელია. ზნეობა არის ღრმა სიბრძნის, გონიერების გამოხატულება, რამდენადაც მასში კონდენსირებულია ის, რაც ადამიანისთვის ჭეშმარიტად სასარგებლოა. ბრძენმა ადამიანმა იცის, რა არის უმჯობესი მისი ამქვეყნიური თუ იმქვეყნიური არსებობისთვის და ამიტომაც აღასრულებს ზნეობრივ მცნებებს. ეს გვაგონებს სოკრატეს ეთიკურ თვალსაზრისს, რომელიც ზნეობრივ სათნოებას მის ნათლად შეცნობაზე აყრდნობს.

რუსთაველის მსოფლგაგებით, ადამიანის სრულფასოვანი ამქვეყნიური თვითგანხორციელების, წარმატებული თვითდამკვიდრების და ბედნიერების საწინდარი სხვა ადამიანებისადმი სიყვარული და თანადგომაა, რაც ამავე დროს იმქვეყნიურ ცხოვრებაში მისი სულის კეთილი ხვედრის განმსაზღვრელია. შესაბამისად, სიცრუე, სიყვარულის ღალატი, მოყვასის გაუტანლობა ადამიანს მიწიერ ცხოვრებასაც უმრუდებს და ზემიწიერსაც. "კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა, მე სიტყვასა ერთსა გკადრებ პლატონისგან სწავლა-თქმულსა: "სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა". ავთანდილის ერთგულება ტარიელისადმი ადამიანური არსებობის ამგვარი კანონზომიერების ცოდნასაც ემყარება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს კანონზომიერება მან კონკრეტულად დაინახა ტარიელის თავგადასავალში, რომლის ტრაგიკულობა უპირველესად ფარსადანის "სიცრუემ და ორპირობამ" განაპირობა. ტარიელის ისტორიის სახით ავთანდილს თვალწინ აქვს იმის აშკარა დადასტურება, თუ რამდენ ბოროტებას, უბედურებას წარმოშობს სიცრუე, როგორი მავნეა ის ყველასთვის, თვით ცრუ და ორპირი კაცის ჩათვლით. ამის შემცნობი ადამიანისთვის მოყვასის ღალატი რაღაც არალოგიკურია, აბსურდულია: "რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა, მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!"

ავთანდილი "ვეფხისტყაოსნის" ყველაზე აქტიური გმირია, პოემაში ყველა პოზიტიური იდეა თუ პრაქტიკული მიზანი მისი მცდელობით ხორციელდება. ჭეშმარიტება, რომლის განსახიერებაც არის "ვეფხისტყაოსანი", აღსრულდება, რეალობად იქცევა ავთანდილის მიერ. იგი არის სამყაროს და თავისთავის სრულმყოფელი, იდეალის, ჯერარსის სინამდვილეში დამამკვიდრებელი. ავთანდილის ადამიანურ ბუნებასთან და პოემაში მის ფუნქციასთან სრულ თანხმობაშია მისი შეხედულება, რომ ფილოსოფიასთან, სიბრძნესთან ანუ ჭეშმარიტებასთან ზიარების აზრი ეთიკურ-პრაქტიკულია - სიბრძნის, ჭეშმარიტების პრაქტიკული ხორცშესხმა ადამიანს სრულქმნილს ხდის და უმაღლეს, ღვთაებრივ რეალობას, ამ რეალობის ჰარმონიას უერთებს. "არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა! მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა". ეს არის ადამიანის დიდი შესაძლებლობების რუსთაველისეული ხედვის და აღიარების გამოხატულება. სიბრძნის წვდომის უნარი, ანუ გონება და ამ სიბრძნის განხორციელების შემძლეობა ადამიანს აღასრულებინებს თავის მაღალ დანიშნულებას, იყოს ღვთაებრივი, მეტაფიზიკური ჰარმონიის თანაზიარი. სიბრძნეზე დაფუძნებული, ეთიკური ქმედებით (და არა მჭვრეტელობით) ადამიანი - მიწიერი არსება ღვთაებრივად მაღალ სფეროთა ბინადარი ხდება.

ეს აზრი ღრმავდება და კონკრეტდება მომდევნო სტროფში, სადაც საუბარია იმ სიბრძნეზე, ჭეშმარიტებაზე, რომლის ხორცშესხმაც ადამიანს უზენაესი წესრიგის თანამონაწილედ აქცევს - ეს არის ქრისტიანული ("მოციქულთა") მოძღვრება სიყვარულის შესახებ. ამ მოძღვრების არსს რუსთაველი საკუთარი ფორმულით გამოხატავს - "სიყვარული აღგვამაღლებს". იგი სიყვარულის ქრისტიანულ გაგებაში აღმოაჩენს და აძლიერებს ადამიანის განდიდების ტენდენციას. სწორედ სიყვარულია ის სიბრძნე, რომლით გამსჭვალვაც ადამიანს "ზესთ მწყობრთა

საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობამდე" ამაღლებს. რუსთაველის თვალთახედვით, რომელიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის შემოქმედებით გააზრებას ემყარება, ადამიანი ცოდვით დამძიმებული და დამდაბლებული არსება კი არ არის, არამედ ღვთაებრივი ნიჭის - სიყვარულის ძალის მფლობელია და ამ ნიჭის წყალობით მეტაფიზიკურ რეალობაში მკვიდრდება. რუსთაველის რწმენით, სიყვარულის მეოხებით ღვთაებრივს ამქვეყნადვე შეიძლება მიწვდეს ადამიანი, რომელიც არ არის ასკეტი თუ მისტიკოსი, რომლის ურთიერთობა ღმერთთან არ არის გაშუალებული რელიგიის ინსტიტუციონალიზებული ფორმებით, ხოლო მისი სიყვარული უპირველესად მიმართულია არა ღმერთისკენ, არამედ სხვა ადამიანებისკენ.

კანონზომიერია, რომ საუბარს "ზესთ მწყობრთა წყობასთან" შერთვაზე და სიყვარულის ამამაღლებელ ძალაზე მოსდევს საუბარი ღმერთზე, რადგან ამ ფენომენების პირველსაფუძველი სწორედ ღმერთია.

ავთანდილის გაგებით, ღმერთი ადამიანს აღჭურავს სულიერი და ფიზიკური ძალებით, რომელიც მას ესაჭიროება ამქვეყნად ძნელი თვითდამკვიდრებისთვის: "ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად". ავთანდილი თავისთავში გრძნობს ღვთაებრივი წარმომავლობის სულიერი და ფიზიკური ძალის სისავსეს და ესეც უბიძგებს დაეხმაროს ტარიელს - ღვთის მიერ მონიჭებული ენერგია, ბუნებრივია, საღვთო საქმისთვის, მოყვასის სიყვარულის და თანადგომისთვის დაიხარჯოს. თვით ღმერთიც ხომ ადამიანის დამხმარეა: „ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად".

შემდეგ განსაკუთრებულად ხაზგასმულია ღმერთის სიდიადე და სამყაროსთან მისი მიმართების აქტიურობა - იგი განსაზღვრავს საგანთა ბუნებას, თვისებრივ გარკვეულობას ანიჭებს ყოფიერთა სიმრავლეს, ანდა ამ სიმრავლეს კვლავ თავის ერთიან წიაღში აბრუნებს ("ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად, იგი გახდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად"). ღმერთზე მსჯელობა შეჯამებულია ლოგიკური დასკვნით - ყველაფერი, რაც ხდება, ღმერთის ნებით ხდება ("რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების").

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია თვალსაზრისი, რომელიც ღმერთის ამ დახასიათებიდან - ღმერთის სიდიადეზე, სამყაროსთან მის აქტიურ მიმართებაზე და სამყაროში მისი ნებით დამყარებულ გარკვეულ წესრიგზე მსჯელობიდან აღმოცენდება.

ის, რომ "რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების", გამოვლინებას პოვებს, კერძოდ, იმაში, რომ "მზისა შუქთა ვერ-მჭვრეტელი ია ხმების, ვარდი ჭნების". ანუ ღმერთის მიერ არის სამყარო ისე მოწყობილი, რომ ყოველივე, რაც თავისი სიცოცხლის წყაროს წყდება, ილუპება. ღმერთის მიერ არის დამკვიდრებული ის კანონზომიერებაც, რომ მშვენიერება ადამიანს ხიბლავს, აჯადოებს: "თვალთა ტურფა საჭვრეტელი უცხოდ რადმე ეშვენების". მშვენიერებით აღფრთოვანება ღვთისგანაა და ღვთისთვის სათნოა - ასეთი თვალთახედვის აქცენტირება აღორძინების კულტურაში ხდება.

რადგან ყველაფერი ღვთის ნებაა, ანუ, კერძოდ, ღმერთმა დააწესა, რომ სიცოცხლის წყაროსგან მოწყვეტას ვერავინ უძლებს, რომ მშვენიერება ადამიანს ატყვევებს, ამდენად, ღვთის ნებაა ისიც, რომ ავთანდილს ტარიელის გარეშე არსებობა აღარ შეუძლია, მოხიბლა მისმა სულიერმა და ფიზიკურმა მშვენიერებამ და მის საშველად სურს წასვლა ("მე ვით გავსძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების!"). ამგვარად, ავთანდილის სიყვარული ტარიელისადმი თავისი წარმომავლობით ღვთიურია და ტარიელთან დაბრუნებისკენ მისი სწრაფვა ღმერთის ნების შესატყვისია.

ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი, რომლითაც ავთანდილი ტარიელთან წასვლას ამართლებს, არის თვით მისი გრძნობა მეგობრისადმი, არაბეთში მის დარჩენას შეუძლებელს რომ ხდის ("ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა; აწ წასვლა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა"). და ავთანდილი ასაბუთებს, რომ ეს გრძნობა ღვთაებრივია. მხოლოდ ასე, სიყვარულის გრძნობის ღვთაებრიობის მტკიცებით შეიძლება გახდეს მისატევებელი ისეთი მძიმე შეცოდება, როგორიც მეფისადმი ურჩობაა. რაკი არსებობს ის, ვინც მეფეზე მაღლა დგას, - ღმერთი - ადამიანმა პირველ რიგში სწორედ მისი ნება უნდა შეასრულოს და არა თავისი ამქვეყნიური სუზერენის. ღვთის ნებას კი მას სიყვარულის გრძნობა უცხადებს.

"ვეფხისტყაოსანში" სიყვარული პიროვნების ჩამომყალიბებელი და გამათავისუფლებელი ძალაა. სიყვარული აღძრავს ადამიანში თავისუფლებისკენ სწრაფვას და თვითონვე შეაძლებინებს გახდეს თავისუფალი. "ვეფხისტყაოსანი" სიყვარულის სტიქიიდან თავისუფალი პიროვნების დაბადების მაუწყებელი წიგნია. თავისუფლების უმაღლესი ფასეულობა ავთანდილს ცხადად აქვს გაცნობიერებული, თავის ღრმა სულიერ ლტოლვას თავისუფლებისკენ ის ზუსტად იაზრებს და გამოთქვამს: "სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა". თავისუფლებისკენ სწრაფვის სათავედ კი, როგორც დავინახეთ, ავთანდილი ღმერთს სახავს...

**არილი**

გრეგორ ზამზა

# სულთათანა

## ფრაგმენტი რომანიდან



გადმოცემის თანახმად, ოქროსფერი ლხასკური აფსო ერთი მკვდარი პოეტის ყველაზე უფრო საყვარელი ცხოველი ყოფილა. იმასაც ამბობენ, ძაღლის გარდა მთელი კარ-მიდამო სხვადასხვა ჯურისა და წარმომავლობის ცხოველებით იყო სავსე, მაგრამ პოეტის განსაკუთრებულ სიყვარულს მაინცდამაინც აფსო იმსახურებდაო. არცაა გასაკვირი, ოქროსფერი ბეწვის წყალობით მზეზე თვალისმომჭრელად აბზინვარებულსა და მეტისმეტად ონავარი ხასიათის მქონე ძაღლს მკვდარი პოეტის სიყვარული სამართლიანად დაემსახურებინა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ ჭარმაგსა და გამოყრუებულ მამასახლისს მისნაირად ბებერმა ცოლმა დიდი ხნის ნანატრი შვილი და, შესაბამისად, გვარის გამგრძელებელი აჩუქა. არადა, ისე მიელწიათ ორთავეს სიბერემდე, ქალს ერთხელაც არ დაეჩივლა მუცლის ტკივილებით. მამასახლისსაც რახანია ყოველგვარი იმედი გადაწურული ჰქონდა. მისდა სამწუხაროდ ცოლი ბერწი, დაუმაკებელი გამოადგა. შეიძლება პირიქითაც იყო, და ცოლს კი არა, თავად მამასახლისს მიუძღოდა წვლილი უნაშიერობაში და საკუთარი უნიათობის შედეგი იყო ცოლის ავად დადუმებული მუცელი. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო თუ ისე, მამასახლისს არაფერში ენაღვლებოდა ორიდან ერთში გარკვევა, მისი სახლის კედლები, ისევე, როგორც ქალის მუცელი, საფლავის ქვებივით დუმდნენ და ეს უკიდეგანო მდუმარება მამასახლისის წუხილსაც ისევე შემოერკალა, როგორც დამტვერილ ცხაურს მიტოვებული სასაფლაო.

მაგრამ სასწაულები სად არ ხდება. ერთ ღამით მამასახლისს უცნაური სიზმარი ესიზმრა. უცნაური, რადგან სიზმრებით სრულებით არ გახლდათ განებივრებული. ესიზმრა, თითქოს კუპრივით შავ ბედაურზე ამხედრებული, ცეცხლისა და კვამ-

ლისმფრქვეველ ვეშაპს შერკინებოდა, ვეშაპს, რომელსაც მზე გადაეყლაპა და მთელი ქვეყანა სულ ერთიანად ჩაებნელებინა. ირგვლივ ისეთი უკუნეთი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. არაფერი ჩანდა ახლომახლო, უმზეო არემიდამოზე უკუნ ღამეს გადაეფარებინა თავისი გაუმჭვირვალე კალთა. მამასახლისი დაუზოგავად იქნევდა მოკლე სატევარს. უკუნ ბნელში ვეშაპის საზიზღარ სიფათს იმის დრუნჩიდან გამოფრქვეული ცეცხლის ენების ხარჯზე არჩევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, გრძნობდა, მკლავის ყოველ მოქნევაზე ძალები ლუკმა-ლუკმა სტოვებდნენ მის სხეულს, თითქოს ხელით სატევარს კი არა, ძალ-ღონეს ისროდა აქეთ-იქით, როგორც მიწის გოროხებს, რომლებიც ძირს დაცემისთანავე მტვრად იქცეოდნენ. მამასახლისი მალე მთლიანად ოფლში გაიხვითქა, როგორც ქალი ვნების ორთქლში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერა და ვერ მიელწია ვეშაპის ქერცლიან კისრამდე. ოფლი უკვე წურწურით სდიოდა, აღარც მკლავი ემორჩილებოდა და სატევარსაც უკვე ალალბედზე იქნევდა. სადაც იყო, უკანასკნელი ძალებიც დატოვებდნენ მის უმწეო სხეულს, და უცებ, სად იყო და სად არა, მხარზე ბელურა დაასკუპდა. ფრინველი დაუსწრებლად ეჯდა მხარზე, თითქოს მას არ ეხებოდა, რაც იქ ხდებოდა, და მთელ ხმაზე ისეთი თავდავიწყებითა და ჟინით გალობდა, ვითომც, რომ არ ეგალობა, ამით გამოუსწორებელ საშინელებას ჩაიდენდა. რაღაც არაბუნებრივი ძალა იგრძნო მამასახლისმა მკლავში, უცნაური სიმხურვალე ჩაეღვარა დაძაბუნებულ სხეულში. ტანშიც სასიამოვნოდ გააჟრჟოლა, და რომ სიამოვნებისგან თხემიდან ტერფამდე გამომაფხიზლებლად გაბურძგლა, და რომ ვენებდაბერილ საფეთქლებში იგრძნო საკუთარი გულის ფეთქვა, სწორედ მაშინ იყო, სადავე ღონივრად რომ მოზიდა, ორ ფეხზე შეაყენა ბედაური, რომელსაც ურჩხულის ცეცხლის ნაპერწკლებით შეტრუსული ფაფრის მონარჩენი ყალყზე დაუდგა და ვეშაპს მიაჭრა. ამ უკანასკნელის უშნოდ გამობერილი და ქერცლიანი მუცლის კანი ბუნდოვნად გაუკრთა თვალწინ, და აღარც შეყოვნებულა, ერთი მოქნევით დაუზოგავად დაჰკრა სატევარი და იმის უზარმაზარი მუცელი ხრაშუნით გადაფატრა კისრიდან ლაჯებამდე. ვეშაპს გამაყრუებელი გმინვა აღმოხდა, აბარბაცებულმა თავი ველარ შეიმაგრა, ზურგზე გადავარდა და ნაფატრიდან მაშინვე აყროლებული ლორწო გადმოელვარა. უფრო სწორედ, მიწის წიაღიდან ამოფრქვეული ლავასავით ამოენთხია და მისი წებოვანი და აყროლებული შხეფები მამასახლისს სახეზე, ჩიტს კი ფუმფულა გულმკერდზე მიეფრქვა. ფრინველმა მაშინათვე შეწყვიტა გალობა, ნარნარით ჰაერში აინავარდა და მალე თვალს მიეფარა. ურჩხული ჯერ კიდევ გმინავდა და უშნოდ აფართხალებული კუდს მიწაზე აბაგუნებდა, როცა ნაფატრიდან სითხის დენა გაუნელდა და, როცა ნაფატრზე ლორწოს მონარჩენი ბუყბუყით დაებუშტა, აყროლებული ბუშტულებიდან კაშკაშა მზეც ამოცურდა. მნათობმა ერთბაშად დააბრმავა მამასახლისიცა და მისი ბედაურიც. ცხენის შეჭირვებული ჭიხვინი სმენადაგუბებულს სადღაც შორიდან ჩაესმა. ეგ იყო და ეგ.

ცხენის ჭიხვინი საბოლოოდ არც კი ჩაჩუმებულიყო, კაცს, თხემით ტერფამდე გაოფლილს რომ გამოეღვიძა და, ჯერ კიდევ შთაბეჭდილებებით აღსავსემ, თვალის გახელა ვერ გაბედა. ღამისეული თავგადასავალი, ეგონა, ცხადში გადახდენოდა თავს. იმდენად შთამბეჭდავად დამახსოვრებოდა სულ ახლახან ნანახი სურათი, დარწმუნებული გახლდათ, კაშკაშა მზე თვალს მოჭრიდა. არც გაემტყუნებოდა, სარკმლიდან შემოტანებული დილის მზის სხივი, ბედად, მის თვალზე გარინდებულიყო და ამის გამო ქუთუთოში ყოვლისმომცველი მსუყე ვარდისფერი სივრცე ედგა.

როდის-როდის გაახილა თვალი. ახალგამოღვიძებულს სინამდვილის შეგრძნება სიზმრისეული თვისებების წყალობით ჯერ კიდევ არ აღდგენოდა. ერთიანად ამომშრალ პირში რკინის გემოს გრძნობდა მძაფრად. ჩვეულებრივზე აღელვებული ჩანდა იმ დილით. სიზმარი რაღაცად ენიშნა, უფრო სწორედ, დარწმუნებული იყო, ღამისეული თავგადასავალი რაღაცის აუცილებელი ნიშანი იქნებოდა. თითქოს ბუნების ძალებს რაღაც საიდუმლო გაემხილათ მისთვის და, თუკი მართლაც გაუმხილეს ბუნების ძალებმა იმ სიზმრით რამე, იმ ძალებს არც მისი ცოლი ჩამორჩენია, და იმავე დილით, ჯერ კიდევ საწოლში იწვნენ, ფარდა ისე ახადა იმ საიდუმლოს, რომელსაც მთელი ორი თვის მანძილზე მუცლით დაატარებდა უჩუმრად. თითქოს თუკი დროზე ადრე გაამხელდა, ავი თვალი ეცემოდა და წყალში ჩაუყრიდა ნაწვალევს. უთავბოლოდ ნაწვალევისა და განგების წყალობით ნაბოძების შენარჩუნებას ეჭვის ქვეშ დააყენებდა.

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას უდრიდა მსგავსი ცნობა. ქალის ფეხმძიმობის ამბავმა მთელი სოფელი ელვის უსწრაფესად მოიარა. თითქოსდა სამუდამოდ დადუმებული სახლის კედლებიც კი თვალისდახამხამებაში გამოაცოცხლა. გულჩათხრობილი მა-



მასახლისიც კი მოაბრუნა და ააჭიკჭიკა. მთელი ეზო ნათესავებით გადაიჭედა. საზეიმო განწყობის შესანარჩუნებლად და გასახანგრძლივებლად სახალხო გმირზე აღმატებული, ლამის ცოცხალი წმინდანის ცხოვრებისეული სურათებით მოხატული ვეება დროშები გადმოკიდა მამასახლისმა სახლის სარკმლებიდან, რომლებიც იქამდე არ ჩამოუხსნია, ვიდრე ბოლომდე, სრულყოფილად არ მოიმწიფებდა ქალი ნაყოფს საკუთარ სხეულში და, ვიდრე თანდათან სულ უფრო მზარდი მუცლით დაატარებდა დერეფნებში აქეთ-იქით. ეზოში თუკი რამ ხე მოიძებნებოდა, ნათესაობამ ნაირფერი ჭინჭები შეაბა ტოტებზე. დროშებითა და ჭინჭებით ისე მორთეს და მოკაზმეს იქაურობა, საცხოვრებელი ეზო კი არა, სოფლის გლახების თავშეყრის ადგილი, ხოლო ხის ტოტებზე შებმული ნაირფერი ჭინჭებიც ამ უკანასკნელთა მიერ სახელდახელოდ შეკოწიწებული და გაკვანძული ოცნებები გეგონებოდა.

შვიდი თვის მანძილზე ქალის მუცელს ზრდა არ შეუწყვეტია. ისე არაბუნებრივად ებერებოდა, თითქოს ქალი ჰაერს კი ისუნთქავდა, ოღონდ ამოსუნთქვისგან თავს იკავებდა და, ჩასუნთქულ ჰაერსაც სხეულში რაც შეიძლება ღრმად და რაც შეიძლება დიდი ხნით იტოვებდა. მთელი ამ ხნის მანძილზე, ყოველ დილით, ხუშტურის ხასიათზე მოსული სოფლის ვიგინდარები საიდანღაც მოთრეულ უზარმაზარ იერიქონებში ბერავდნენ და ღმუილით აუწყებდნენ სოფელს ახალი დღის დადგომას. იერიქონებიდან ამონაბერი [illegible]ესტი ნიავი ვეება დროშებსა და ხის ტოტებზე გამობმულ ჭინჭებს მცირეოდნავ შეარხევდა ხოლმე, როგორც შემოდგომის ფოთლებს, ხოლო სმენის წამრთმევ ღმუილს ტაძრის სამრეკლოს ზარები ისეთი შორეთიდან ეხმიანებოდნენ, გეგონებოდა, ზარები სოფლიდან კი არა, ცხრა მთას იქიდან ეპასუხებოდნენ.

ყოველ ახალ დღესთან დაკავ-

შირებით მამასახლისს თავისი გეგმები ჰქონდა. ცოლის მოლოგინებამდე მიახლოებით გამონაგარიშებულსა და უსაშველოდ გაჭიმულ დღეებს მოუთმენლად ითვლიდა. გაისმებოდა თუ არა ყოვლისმომცველი ღმუილი დილის სიწყნარეში, თავის სენაკში მოსვენებული მამასახლისი მოგონილი სიმშვიდით წამოდგებოდა საწოლიდან და კედელზე ამოფხაჭნილსა და ერთმანეთის მიჯრით ჩამწკრივებული ჯადოსნური რიცხვების რიგს ისე დაჟინებით მიაჩერდებოდა ხოლმე, თითქოს სინამდვილეს არ ეგუებოდა და თვალის თვალში გაყრით ცდილობდა გამორჩენილიყო რამეს. მარცხნიდან მოყოლებული რიცხვებს იმის ნიშნად ჰქონდათ ხაზი გადასმული, რომ ისინი სათვალავში აღარ ითვლებოდნენ. მამასახლისის ნება რომ ყოფილიყო, ყველას ერთიანად გადაუსვამდა ხაზს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, მარტო მის ნებაზე არ იყო დამოკიდებული მოვლენების განვითარება. ვიდრე ღმუილი არ ჩაჩუმდებოდა და ვიდრე გამოღვიძებული, ერთიანად ახმაურებული, აგუგუნებული სოფელი ახალი დღის ხარჯვას არ შეუდგებოდა, იქამდე არ აცილებდა მამასახლისი კედელს თვალს. ამჩატებული გულიც ასეთ დროს ისე უფრიალებდა ხოლმე, როგორც ტუსაღს, რომელიც საკნის კედელზე აწარმოებს მისჯილი დღეების თვლას და რომელსაც განვლილი დღის აღმნიშვნელ რიცხვს განსაკუთრებული გულმოდგინებით გადაშლის ხოლმე ყოველ დილით. მამასახლისსაც ნუგეშად ისღა დარჩენოდა, რომ მარცხნიდან მარჯვნივ დაძრული რიცხვების შთანთქმელი მოკლე ხაზებისთვის დაჟინებით ეცქირა; ხაზებისთვის, ნელა და დუნედ, ოღონდ გეგმაზომიერად რომ შთანთქავდნენ ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულ აბეზარ რიცხვებს.

დაახლოებით ორასი დღე-ღამე გადაეთვალა მამასახლისს ცოლის მოლოგინებამდე. სენაკის კედელზე ჩამოწიკწიკებულ უმეტესობა რიცხვებზეც, რახანია, მოკლე ხაზი გადაესვა უკვე, მაგრამ დღეები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, თითქოს ყოველდღიურად კი არ ილეოდნენ დღე-ღამის გასაყარზე, არამედ, თითქოს ერთი და იგივე დღე იდგა სულმუდამ, დაუსრულებლად, და თითქოს მხოლოდ მამასახლისი ინუგეშებდა თავს რიცხვებზე ხაზის გადასმით. გარდა დაახლოებით გამონაგარიშებული ორასი დღისა, ათი დღე აქეთ, ათი - იქით, წესითა და რიგით სათვალავში არ უნდა ჩაეგდო; ეგაა, მამასახლისს არაფერში ენაღვლებოდა წესი და რიგი. დღე-ღამის შემაკოწიწებელ წამებს ყალბი, მოგონილი სიმშვიდით ითვლიდა, რის გამოც მისი გული, რახანია, კედლის საათს დამსგავსებოდა. გულისფიცრიდან ისეთი მკაცრად განსაზღვრული შუალედებით ამოესმოდა ბრაგა-ბრუგი, წამების გადათვლაში ყველაზე ზუსტი წამზომი თუღა გაეჯიბრებოდა.

კარგად ვგრძნობდი თავს? არა, ოდნავადაც კი არ ვგრძნობდი თავს კარგად. ვინმე სხვისთვის შეიძლება მართლაც დღეებს აღნიშნავდნენ უკვე დილეგადქცეული სენაკის კედელზე ამოფხაჭნილი რიცხვები, მაგრამ ჩემთვის, თითოეულ იმ რიცხვთაგანი წამების გარკვეულ რაოდენობას წარმოადგენდა. დღეებზე, საათებზე, წუთებსა და წამებზე მქონდა მოლოდინი გადანაწილებული. ჩემი გული მართლაც, როგორც საათის წამზომი, ისე ფეთქავდა. გადაიხრებოდა კედლის საათზე ცანცარა ისარი წამის მორიგ მონაკვეთზე და გულისფიცრიდან მაშინათვე ყრუ დარტყმის ხმა ამომესმოდა ხოლმე. თითო წამში მთელი განვლილი ცხოვრების არა მარტო ცხადლივ გახსენებას, მთელი ცხოვრების ხელახლა გადატანასა და განცდას ვასწრებდი. გადაიხრებოდა საათის ისარი მტკაველის მტკაველით და განვლილი ცხოვრებაც ერთბაშად გადამირბენდა ხოლმე თვალწინ. თუკი ვინმესთვის ეს მოლოდინი ორასი დღით იყო შემოფარგლული, ჩემთვის ის დაახლოებით ჩვიდმეტ მილიონ წამზე იყო გადანაწილებული, ჩვიდმეტ მილიონ ხელახალ ცხოვრებაზე. ხოლო თადარიგში შემონახული გაუთვალისწინებელი ათიოდე დღე, უხეშად რომ ითქვას, დაახლოებით მილიონ წამს გულისხმობდა. მაშასადამე, მილიონი იქით, მილიონი აქეთ, ვითომც არ უნდა მიმეჩნია რამედ, მაგრამ როგორია მილიონი ცხოვრების არად მიჩნევა?

ეგაა, ყველაფერი ოდესმე მთავრდება, ყველაფერი, თავისი არსით, დასასრულისკენ მიაბოტებს, მიექანება, მიჯლიგინებს. აღარც ქალის მოლოგინებას აკლდა ბევრი. კედელზე ჩამოწიკწიკებულ რიცხვებიდან რამდენიმელა დარჩენილიყო ხაზგადაუსმელი. მაშასადამე, რამდენიმე დღელა დარჩენილიყო, რამდენიმე ასეული ათასი წამი. მაგრამ როდესაც ქალმა ასეული ათასი კი არა, თადარიგში შემონახული მილიონი წამიც უკან მოიტოვა, მაშინ მამასახლისი აწყვეტილი გიჟივით დასაბმელი გახდა. თითქოს ქალის მხრიდან რაღაც მზაკვრობას ჰქონდა ადგილი. თითქოს მთელ სოფელსა და ქალს მის წინააღმდეგ შეეკრათ პირი და მთელი ამ ხნის მანძილზე მამასახლისს მასხრად იგდებდნენ, უნამუსოდ აპამპულებდნენ.

გადაცდა თუ არა თადარიგში შემონახულ დროს ქალის მოლოგინება, მამასახლისის გულისცემაც გაფუჭებული საათივით მოიშალა. ისე მოუჩქარა ფეთქვას, ბოლოს თითო წამში, ერთის ნაცვლად, ათი ერთმანეთში გადახლართული, ერთმანეთზე გადაბმული ცხოვრების გადატანა უხდებოდა. გეგონებოდა, მოსალოგინებელი თავად იყო და არა ცოლი. ქალი ვერ ამჩნევდა მის ფორიაქს, საბუდარში აფუყული მტრედივით აღულუნებული, გაბერილი მუცლით ისე აუღელვებლად დაგოგმანებდა უშველებელ დერეფნებში, ვითომც მუცელში მოკუნტული ადამიანი კი არ ეჯდა, არამედ, კვერცხი, რომლიდანაც დიდი-დიდი შეუბუმბლავი ხუნდი გამოჩეკილიყო. ფეხდაფეხ ადევნებული მამასახლისი აჩრდილივით უჩუმრად დაჰყვებოდა ცოლს. შეყოვნდებოდა ქალი სადმე, ისიც იმწუთას კედელს აეკრობოდა. გალურსული და კედელს აკრული, ალბათ, ვერც კი გრძნობდა უნებურად რომ იჭინთებოდა და ჭინთვისას ძლივს გასაგონ წრიპინს რომ გამოსცემდა, როგორც თვალაუხელელი წრუწუნა, თითქოს ამით, ქალის სხეულისთვის შორი მანძილიდან უნდოდა რაღაც შთაეგონებინა, ეკარნახა, ებრძანებინა. ბოლოს ისე მიეჩვია ჭინთვასაც და წრიპინსაც, ერთსაც და მეორესაც თავად ველარ ამჩნევდა, აღარც ქალის შეყოვნება იყო აუცილებელი. ცოლის კვალში ჩამდგარს ყოველი კუნთი ისეთი დაჭიმული ჰქონდა, რომ სიარულისას მთელი სხეული, როგორც კარის დაუზეთავი ანჯამა, ისე უჭრიალებდა. თან გაუთავებლად წრიპინებდა, თვალი რომ დაგეხუჭა, სოფლის თავკაცის სახლში კი არა, ვირთხებდასეულ სანაგვეში გეგონებოდა თავი. ასე რომ, ცოლი შეყოვნდებოდა თუ არა, მამასახლისს აღარაფერში ენაღვლებოდა, სოროსაცდენილი წრუწუნასავით წრიპინებდა და თავისას მიერეკებოდა.

მაგრამ ერთ დღეს უცნაურად სახეგადანათებული ქალი სხვანაირად რომ შეყოვნდა და, მხრით კედელს მიბჯენილს, არაბუნებრივი გმინვა რომ აღმოხდა, მამასახლისის წრიპინსაც ბოლო მოეღო. გუმანმა და ალღომ უკარნახა, ქალის გადამდებად



ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრუოლაშემდგარი სხეული რაღაც მნიშვნელოვანისთვის რომ ემზადებოდა. ბოლო დღეებმა მამასახლისს თვალწინ ცხადლივ გადაურბინეს და წამისწამში მიხვდა მათ უსუსურობას, მთავარი აწი იწყებოდა. ცოლისკენ ფაციფუცით გაქანებულს, ისედაც აფრიალებული გული ისე აუმჩატდა, თითქოს სულ ნარნარით ამოუფარფატდებოდა საგულედან და მალევე მიეფარებოდა თვალს, როგორც ოდესღაც მის მხარზე დასკუპებული მგალობელი მიეფარა. ერთიანად ამღვრეულ თვალში სალი აზრი აღარ ამოეკითხებოდა, მუცელგამობერილი და მხრით კედელს ახუტებული ცოლის გარდა, თვალწინ ვეღარაფერს აღიქვამდა. ის იყო, ერთიანად მოშვებული და ფეხიდან საყრდენგამოცლილი ქალი იატაკზე უნდა გაშოტილიყო, მამასახლისმა დროულად მიუსწრო. დროულად ამოუტარა მხარქვეშ ხელი, როგორც წასაქცევად დაძრულ ტანმსხვილ ოლიხნარს გრძელი სარი და ჩამუხლვა არ დაანება. მეორე წუთშივე, ხელში ატატებულს, სენაკისკენ მიაქანებდა და ქალის გახშირებული და თბილი ამონასუნთქი ლოყაზე სასიამოვნოდ ელამუნებოდა.

ლოყებაფორეჯებული და ოფლში გახვითქული ცოლი მზრუნველად გადააწვინა საწოლზე და, საწოლის გარშემო, თითქოსდა რაღაც ჯადოქრობის წყალობით თვალის დახამხამებაში გაჩენილმა ბებიაქალმა და მშობიარობის მიმღებმა ექიმბაშებმა რომ ატეხეს თავბრუდამხვევი ფაციფუცი, მამასახლისი მიხვდა, იქ აღარაფერი ესაქმებოდა, მისი ადგილი დერეფანში იყო და არა სენაკში. ქალისა და ქალის მუცელში მოკუნტულის მომავალი უკვე სხვებს ეკისრათ და იმ სხვების საქმეში მას ხელი არ მიუწვდებოდა.

ვიდრე ოთახს საბოლოოდ დატოვებდა, უკვე კარის ზღურბლზე მდგარი, იქამდე კიდევ ერთხელ შეტრიალდა, გაფაციცებული მზერა მოავლო იქაურობას, თვალში უკეთ დასარწმუნებლად, მაგრამ საწოლი ვეღარ დაინახა, რადგან საწოლს საქმის მცოდნე ფაშფაშა ქალები დასეოდნენ ისევე, როგორც ტრიალ მინდორში ერთადერთი ყვავილის გვირგვინს მუშაფუტკრების მთელი ჯარი. მამასახლისი უცებ მოეშვა, რაკი საკუთარი თვალით ირწმუნა, რომ საწოლზე მოსვენებულს საიმედო ხელში ტოვებდა. მერე თავი გაურკვეველი მისამართით გააქნია, თავის ქნევით დაამოწმა ისართქმული სიტყვები, რომელთა თქმა არც იყო აუცილებელი, რომლებიც მის გამოხედვაში ისედაც იგულისხმებოდნენ და, აღარ შეყოვნებულა, ოთახიდან გავიდა, კარიც გაიხურა.

აცქმუტებული მამასახლისი უკაცრიელ დერეფანში მარტოდმარტო იდგა, როგორც სანაპიროზე გამოლექილი ქაქი, მაგრამ მალე, დილეგში გამომწყვდეულივით სივრცე აღარ ეყო და იძულებული შეიქნა, თავაწყვეტილი ბოლთა დაეცა. არც დედა, არც მსახურთაგან ვინმე არ გაიკარა, თითქოს უსაშველოდ და საზიზღრად გაჭიმული მოლოდინით ტკბობას არავის არღვევინებდა. ორივე ყური ტკივილამდე დაჭიმვოდა, როგორც საქოფაკე სუნნაცემსა და ჩირგვში მიფარებულ ყურებდაწურულ ნაცარა კურდღელს, მაგრამ ოთახიდან გამოღწეული ბუტბუტის ნახევარიც კი არ ჩაესმოდა. რაღაც ყრუ ღმუილის მსგავსს დაეგუბებინა მისთვის სმენა, თითქოს ორივე ყურზე ლოკოკინის უხილავი ნიჟარები მიედო ერთდროულად და, ოთახიდან გამოღწეული ბუტბუტიც, თითქოს სხვა არა იყო რა, თუ არა იმავე ნიჟარებში მოგუგუნე ქარბუქი.

თავაწყვეტილი ბოლთის თითოეული ნაბიჯით თანდათან სულ უფრო და უფრო მოახლოებულ სიბერეში მიაბოტებდა. ისედაც შევერცხლილი თმაც სულ ერთიანად გადაუთეთრდა. ოფლით შეფეთქილი ხელისგულებით კი, რომ მოეწადინა და ხელი ღონივრად დაექნია, ეზოს ღობეზე აცოცებულ ხავსს დილის ცვარივით მონამავდა. ვეღარც დროს აღიქვამდა. სადღაც, წარსულისა და მომავლის გზასაყარზე გაჩხერილიყო უხერხულად, როგორც დროის ჭრილში შეყუჟული უდროობა. მაგრამ ოთახიდან გამოღწეული ბუტბუტი, რომელიც გამჭვირვალე ნიჟარაში მოგუგუნე ქარბუქად მიეჩნია, რომ აღარ გათავდა და, რომელმაც მთლიანად მოიცვა და გააჯერა არა მარტო მისი სმენა, უკაცრიელი დერეფანიც, მამასახლისს ტანმა უაზრა, რომ მოლოდინი საკმაოზე მეტად გაწელილიყო.

მან რა იცოდა, ოთახში რა ხდებოდა, რა იცოდა, თუკი ქალის მუცელში მომწიფებული ნაყოფი მუცლის დატოვებას არ ჩქარობდა, თითქოს მხოლოდ და მხოლოდ მუცელი დაეგულებინა საიმედო თავშესაფრად, ერთადერთი ადგილი მთელ ქვეყანაზე, სადაც თავის არიდებას შეძლებდა ყოველგვარი განსაცდელისგან. საკუთარ სხეულში მბორგავის ყოველ მოძრაობას ქალი მტკივნეულად გრძნობდა, თითქოს მის სხეულში მომწიფებული ნაყოფი იქვე აპირებდა გადამწიფებას. ნაყოფი ჯიუტობდა, ოღონდაც არ გამოსულიყო და დაუზოგავად ბორგავდა, ჩამოუყალიბებელი თითებით კი, გასიებულ ღვიძლზე ეკიდებოდა ქალს. ქალის შეშუპებული მუცლის კანიც ზედმიწევნითი სიზუსტით იმეორებდა მტკივნეულად და დაუზოგავად აცქმუტებულის ყველანაირ მოძრაობას. ხან მუხლისთავი ამოჭიმავდა კანს, ხან საოცრად პატარა ხელისგული, ხან კი, პაწაწკინტელა დრუნჩი გაკრთებოდა კანის ზედაპირზე. მთელი შიგნეული ქალს ლავასავით უვარვარებდა, თან ყრუდ უღმუოდა, როგორც მიწისქვეშა სამეფოში ავისმომასწავებლად აბუყბუყებული ლეთე. და ამასთან, ისე უღონოდ იჭინთებოდა, თითქოს იმას ცდილობდა, რომ დაძრული კენჭი დაებადა, მაგრამ, სამწუხაროდ, გრძნობდა, თუკი რამ დაძრულიყო, ის კენჭი კი არა, უზარმაზარი ლოდი იყო. მის ალაგ კანდამსკდარ და შეშუპებულ მუცელზე უხერხული ცვლილებები მიმდინარეობდა. ტკივილისგან გამოშტერებულს ეგონა, რომ სხეული ცვილისა ჰქონდა და მის წიაღში აცქმუტებული სულდგმული შიგნიდან უძერწავდა ცვილის მუცელს ხელის უხრტილო თითებით.

ბოლოს აღარც ჭინთვის თავი ჰქონდა. თვალებატრიალებული და ოფლში გახვითქული მხოლოდ ყრუდ გმინვას ახერხებდა. ფეხებგადაჩაჩხულსა და ლაჯებსშორის ტაშტშემდგარს გადმოსაღვრელი სითხეც, რახანია, გადმოელვარა და ტაშტიც პირთამდე ამოევსო. მეტი შეყოვნება აღარ შეიძლებოდა. უკვე ყოველი წუთი ძვირფასი იყო. ქალს არც ექიმბაშების გაზრდილი ფაციფუცი შეუმჩნევია და ვერც სადასტაქრო დანის აელვარებულმა პირმა მოსჭრა თვალი. ერთიანად მოშვებულს საოცრად დამამშვიდებელი განცდა ეუფლებოდა. განცდა, რომელიც მის ყველა კუნთს, ყოველ უჯრედს თანდათან სულ უფრო თანაბრად ეფინებოდა, და კიდევ გრილ დანაორთქლს გრძნობდა, ოფლით მონამულ შუბლზე სასიამოვნოდ რომ ეფრქვეოდა.

გრილ დანაორთქლს საწოლის თავთით მდგარი ფაშფაშა ბებიაქალი აფრქვევდა შუბლზე. ვიდრე ქალი ლაჯებსშორის შემდგარ ტაშტს გადმოსაღვრელი სითხით აავსებდა და ვიდრე ოფლით მონამულ ზეწარს - მუშტში რომ მოექმუჭნა - თითებს გაუშვებდა, და ვიდრე ფრთხილქვეშ ჩაქცეული სისხლი შვინდისფერს იკრავდა, ბებიაქალი იქამდე გაშიშვლდა. წელშიც ოდნავ მოიხარა და სანათანადოო ჩამუხლულმა ოფლიანი ხელისგულები ფაშფაშა ბარძაყებზე დაიბჯინა. განმჭვრეტელ თვალებთან ერთად შეუმოსავი სხეულიც ექიმბაშის ხელში აელვარებული სადასტაქრო დანის პირივით ულაპლაპებდა. მძიმედ, ოღონდ თანაბრად სუნთქავდა, თითქოს მხოლოდ გეგმაზომიერი შუალედებით თუ შეიძლებოდა, რომ გრილი ამონასუნთქი ქალის შუბლზე დაეფრქვია. ნესტოებიც

პოეზიის ეროვნული ბიბლიოთეკა

გახელებული კამეჩის დრუნჩივით ჰქონდა დაბერილი. მუცელგაბერილ ქალს ჯერ თვალით ზომავდა, თავისებურად სწავლობდა მას და, თვალის ერთი შევლებითაც ნათელი იყო, რომ ბებიაქალი ზედმეტი მოძრაობის გამკეთებელი არ იქნებოდა, ყოველი მიხვრა-მოხვრა წინდაწინ ჰქონდა გათვლილი, და ისიც იქამდე, ვიდრე ერთს შემაჭირვებლად არ ამოიგმენდა და ერთბაშად არ მოწყდებოდა ადგილს. ხოლო ფეხისგულებს იატაკზე რომ აბაგუნებდა, რის გამოც მთელ სენაკს აზანზარებდა, ესეც კი მხოლოდ და მხოლოდ ნაწილი იყო იმ სანახაობისა, რითაც ის ფეხებგადაჩაჩხულ ქალს უკანასკნელად ანებივრებდა.

მამასახლისი, მართალია, თვალით ვერ ხედავდა სენაკში დატრიალებულ ამბებს, სამაგიეროდ, გუმანი კარნახობდა იქაური ამბების სიავეს, და არცთუ უსაფუძვლოდ. ოთახიდან გამოღწეულმა ცოცხალი ქსოვილის გაჭრის ხმამ, ექიმბაშების ბუტბუტი რომ გადაფარა, თავისუფლად გააჯერა უკაცრიელი და, შესაბამისად, სულგაკმენდილი დერეფანი. მამასახლისს ოდინდელი სიზმრისეული ურჩხული აგონდებოდა, უფრო სწორედ ის ხრაშა-ხრუში, ურჩხულის გაბერილი მუცლის ჩაჭრისას რომ ჩაესმა ოდესღაც. ავი წინათგრძნობა გაუჩინა უსიამო მოგონებამ. ამომშრალ პირშიც მძაფრად შეიგრძნო რკინის გემო. მაინც არ უტყდებოდა თავისთავს რაიმე ცუდში, თავს იმშვიდებდა, ყველაფერი კარგად იქნებაო, ეგ იყო, ბებიაქალი სხვაგვარად სჯიდა, ეს უკანასკნელი იქამდე ჩაეხუტა ოფლში გახვითქულსა და უკვე სამუდამოდ დამშვიდებულ ქალს, ვიდრე ოთახიდან გამოღწეული ხრაშუნი მამასახლისს ოდინდელ ურჩხულს მოაგონებდა.

მუცელზე დანის დასმისთანავე ნაფატრიდან ლავასავით გავარვარებული სითხის მონარჩენი ამოიფრქვა, რომელმაც სენაკის კედლებიან-ექიმბაშებიანად ყველაფერი მოთხვარა. ხოლო თავად ქალი, დედიშობილა ფაშფაშა ბებიაქალს ადევნებოდა უკვე, როდესაც მისი ყვავილის გვირგვინივით ფენა-ფენა გადაფურჩქნილი მუცლიდან გალურჯებული ბავშვი ამოიყვანეს ქალზე არანაკლებ გაოფლილმა ექიმბაშებმა. ქალს ველარაფერი ეამებოდა, ბავშვს კი ნაღდად ბედზე მიუსწრეს. სულ ცოტაც კიდევ რომ დაეგვიანათ, ისიც დედამისის გზას დაადგებოდა.

გულისამათრთოლებელი სანახაობის მოწმენი შეიქნენ ხელებდაკაპიწებული ექიმბაშები. ბავშვი მეტისმეტად, გადაჭარბებულად ოქროსფერთმიანი გახლდათ. თოთო და გალურჯებული სხეულის ფონზე დილის მზესავით აბზინვარებული თმის კულული სიფრიფანა სისველის გამო ახალშობილს შუბლზე ჩამოლესოდა. გალურჯებით კი, კიდურებსა და კისერზე შემოხვეულ დაგრეხილ ჭიპლარს გაელურჯებინა, თითქოს არა ჭიპლარი, არამედ მახრჩობელა გველი შემოხვეოდა, ამოსუნთქვის საშუალებას რომ არ აძლევდა ყოვლად უუნარო არსებას. დედის მუცლიდან რომ ამოყავდათ, ახალშობილს კრინტიც არ დაუძრავს. არც მაშინ, როცა კისერზე შემოხვეული ჭიპლარი შეაჭრეს. სულ ის იყო, რომ უკვე ექიმბაშის ხელში ატატებული ისე დაჟინებით დააშტერდა დედის ცხედარს, გეგონებოდა, დამახსოვრება უნდოდა მუცელგამოფატრული გვამისა. მაგრამ მშობლის პირალმა გაშოტილ სხეულს მთლიან, გარემომცველი სივრცის ნაწილად კი არ აღიქვამდა, არამედ ცალკე ერთეულად, და ისიც, მხოლოდ მუცლის ღრმულს. მხოლოდ ნაფატრის ღრმულში იხედებოდა ჯიუტად, თითქოს იმას ნანობდა, შიგ ჩარჩენა რომ არ დაანებეს.

არილი



## ანდრო ბუაჩიძე

### წუხილი ლექსების გამო

ვაიმე, როგორ გამიუცხოვდით
ადრე შეთხზულო ჩემო ლექსებო,
ვარსკვლავი თქვენს თავს რომ მკარნახობდა,
მთის კორტოხებზე უნდა ვეძებო.

და თქვენ თვითონაც ზურგი მაქციეთ,
განათებული ელნათურებით,
ელნათურები სხივებს ისროდნენ,
როგორც ბადეებს მებადურები.

ვაიმე, როგორ მეუცხოებით
დავიწყებულო ჩემო ლექსებო,
მე ყელამდე ვარ სავსე ცხოვრებით
და აღარც მინდა სადმე გეძებოთ.

არადა, როგორ გწერდით კედლებზე
ხელმიბჯენილი და მოწყენილი,
თითქოს კარნახით მეწერებოდა
უკანასკნელი ღამის წერილი.

ვაიმე, როგორ გამიუცხოვდით -
როგორც ტოვებენ შვილებს მშობლები
ან მშობლებს ტოვებს შვილი უძღები...
თანდათანობით ჩვენც დავშორდებით.

სად არ ვიარე, ჩემო ლექსებო,
სად არა მდევდა ბედი მდევარი,
შუაღამისას ჩემო შემსწრენო
და ჩემთან ერთად ღამის მთევარნო.

ვაიმე, როგორ გაგიუცხოვდით,
სხვა ცხოვრებაში მოვხვდი ვითომდა,
არადა, ჩემს ჩრდილს თქვენ მიუძღოდით
და კვალში გდევდით მეც ხომ თვითონაც.

სად აღარ გწერდით - მთებზე, ბოძებზე,
ქარის ნაფლეთზე, რკინის კავებზე,
ჯერ ხომ დაგკარგეთ, მერე მოგძებნეთ,
ვერმიგნებულსაც ისევ დავეძებ.

თქვენც ასე რატომ გამინაპირეთ,
როგორც უბირი დანის მლესავი,
ტყავი გადამძვრა, ტყავი ცხრაპირი,
ვიდრე თქვენს სიტყვებს ამოვკეშსავდი.

ვაიმე, როგორ გამიუცხოვდით,
როგორ მომედო მეც სარეველა,
მეგულებოდით, ჩემო ლექსებო
ჩემივე ჯავრის უხმო მთრეველად.

ახლა რაღა ვქნა, ალბათ ერთმანეთს
ათასში ერთხელ თუ შევეყრებით,
და შემოდგომის ფართო ფოთლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავსეა ბაღში გრძელი მერხები.

* * *

შენ ალბათ გიკვირს: რა დააშავე,
შენს მყუდრო კუთხეს რომ ვერ მიაგენ
და წყნეთის ქვემოთ ქარი ნარშავებს
სულ დაუდევრად აფორიაქებს.

რა ვრცელია და უკიდეგანო
სივრცე, რომლითაც მზერა ივსება,
ხსნა არ იქნება თვითონ შენგანაც,
ამას ხომ ხვდები უკვე ისედაც.

გადახვალ ხიდზე, სადაც მდინარე
ვერე კვლავ ისევ ისე მიღელავს,
და ხედავ მწუხრის მსუბუქ მინარევს,
შენ საითაც კი არ გაიხედავ.

შენ საითაც კი არ გაიხედავ
ყველგან იდგება წყნარი ფერდობი
არ გენდობიან, კარი იღება
და იხურება, შენც არ ენდობი.

ცხოვრებას მოაქვს თავის ზვირთები
მოაქვს ფოთოლი, ხავსი, ნაფოტი
და გავიწყდება წყნარი კირთებით
რასაც ფიქრობდი და არ ამბობდი.

და გავიწყდება, დაგვიწყებია,
დაგვიწყებია უკვე მწარედაც
როცა ჩრდილები წყნარად წვებიან
ცხოვრებაც წყნარი მოჩანს გარედან.

რატომ დადიხარ, როგორც სალოსი,
ზოგჯერ ფხიზელი, ზოგჯერ ნასვამი
და ვარსკვლავების ტანისამოსი
რატომ გაცვია შენც იმათსავით.

შენ ალბათ გიკვირს, რა დააშავე,
რასაც ეძებდი, რომ ვერ მიაგენ,
ირგვლივ ლაყბობენ და ხორცს ხარშავენ
და კითხულობენ: პასუხს ვინ აგებს?

* * *

ეს სახლი, როგორც ძველი რვეული,
ეს სახლი ანდა სახლის კედელი
გაცვეთილია და შემღვრეული
და აღარსაით არგამხედველი.
სად გაიკრიფნენ ის მოსახლენი
დიდხანს შემყურე ერთი ნათურის,
და როდის შეწყდა ყეფა ძაღლების
ამ სიწყნარეში გადახლართული.
ეს ბინა, როგორც ძველი რვეული,
ეს ბინა, ანდა ბინის კედელი,
გაცვეთილია და შემღვრეული
და სუყველაფრის გადამკეტველი.
რა უნდა მოხდეს, ერთმა ვარსკვლავმა,
რომ გაანათოს ძველი სარკმელი,
ვინც ჩანს ნეტავი, ვინ განასხვავა
იმისგან, ვინც კი არ ჩანს გარკვევით.
ეს ქუჩა როგორც ძველი რვეული,
ეს ქუჩა ანდა ქუჩის მხვეტელი,
გაცვეთილია და დარღვეული
და უკვე სხვაგან გადამხედველი.

* * *

გზაზე ლიცლიცებს ერთი ნათურა
სააქაოა, ხვდები ცეცებით,
სინამდვილეში ამოწვართულა
შენც თითქოს იმის ცახცახს ეძებდი

და ხედავ გვერდით ადამიანებს
გადაფენილებს გზებზე ჩრდილებად,
ბრმებმა ხევი რომ გადაიარეს
და ტანი ძლივს რომ ემორჩილებათ.

უცნაურია, საით მიდიხარ,
არ გიფიქრია ალბათ ამაზე,
ბრკიალა სხივი სხლტება ბინდიდან
და კვეთს ჰაერში მრუდე ალმასებს.

უცნაურია, არ გიფიქრია
იმაზე, რაზეც უნდა გეფიქრა,
თითქოს საღათას ძილად მიგვრილხარ,
ველარ დაგცალდა, თითქოს ვერ იქნა -

ვერ ამოხვედი მწარე სიზმრიდან,
ვერ მოისრულე სიზმრის ნარჩენი,
თითქოს ის ბლანტი შუქი გიზიდავს,
რომლის ცქერასაც თვალებს აჩვევდი.

აქაც სმაა და აქაც ჭამაა,
ენაგეთია ეს თუ ერგნეთი,
და რა დავა აქვს ნეტავ ჯამაათს,
რა რჯით ქელეხის შემდეგ შეკრებილთ?

გზაზე ლიცლიცებს ერთი ნათურა,
მეც თითქოს იმის ცახცახს ვეძებდი,
სინამდვილეში ამოწვართულა...
და მივლასლასებ ხელის ცეცებით.

არილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოთა იათაშვილი

* * *

ჩემი სიზმარი კვდებოდა და
ცოცხლდებოდა ჩემი ხორცი.
დედაჩემის ჭკნობადი ხელით
იღებოდა ფანჯარა
გაზაფხულის მიმართულებით და
ჩიტის ჭიკჭიკი შემოდიოდა
ჩემს ცოცხალ-მკვდარ ამ სიზმარ-ხორცში.

გაუგებარი იყო,
რა საით მიისწრაფვოდა,
და მაინც,
ამ მისწრაფებათა სიზუსტეში
ძნელი იყო შეტანა ეჭვის.

იშლებოდა ჩემი ოცივე თითი და ცდილობდა
შეხებოდა მიწისა და ცის ზედაპირებს.
ხამხამებდა ჩემი ორივე თვალი და
წონასწორობას ეძებდა
დანახვადსა და დაუნახავს შორის.

ხოლო ერთადერთზე ერთადერთი გული
ოცნებობდა მეორე გულზე მაშინაც კი,
როცა ის მეორე
გვერდით უცემდა სწორედ.

სიზმარი კი -
სიზმარი კვდებოდა კვლავინდებურად,
ოღონდ რაც დრო გადიოდა,
სულ უფრო და უფრო ვერ ცოცხლდებოდა
ფლაშე სხეული ჩემი,
რომლისკენაც გაზაფხული მუყაითად
აღებდა ფანჯრებს და
ბროუნის მოძრაობასავით უშვებდა
მილიონამდე ჩიტის ჭიკჭიკს.

### ბუმბული, კონვერტი, თოვლი...

ზურგით მიეყრდნო ჩიტის ზურგს,
თანაც ცაში.
ჩიტი ფრთებს ამოძრავებდა,
ის - ორ დასტად გაყოფილ
შეყვარებულების წერილებს.
მარჯვენა ხელით - სასიხარულოებს,
მარცხენათი - სევდიანებს.
ჩიტი ზურგსუკნიდან ეჩურჩულებოდა:
ასეთ წონასწორობას
ჩემი ფრთებიც კი ვერ იცავენო...
ის პასუხობდა:
უბრალოდ, შენ ფრთები უფრო დაგეღალა,
ვიდრე მე ბარათებიო...

ასე ისხდნენ ლურჯ მინდორზე
პირშექცეულები და ზურგგამთლიანებულები,
უმზერდნენ იქვე მობალახე ღრუბლებს და
ანგელოზებს, ზამთრისთვის ორმ ცელავდნენ ცის ბალახს...
ორი ფრთა და წერილების ორი დასტა
მოზომილად მოძრაობდა და მხოლოდ ხანდახან
ცვიოდა თოვლის დამატებად დედამიწაზე
ღერა-ღერა ბუმბული და კონვერტი...

მე, ამ ამბის მთხრობელმა,
სწორედ დღეს მივიღე ეს იშვიათი კორესპონდენციები
და შევეცადე, მათ ჭეშმარიტ,
და არა შემთხვევით ადრესატად წარმომედგინა თავი,
სანამ ისინი, ფანტელებს შორის არეულნი,
საბოლოოდ დამადნებოდნენ თავზე...

### უმცროსკლასელის სასთუმალი

დაფის საწმენდ ბალიშზე რომ დავდე თავი,
ჩემი სათამაშო ცხენი მესიზმრა, რომელსაც ვუთხარი:
მოვა დრო, როცა შენგან მხოლოდ ჩლიქი დარჩება
და ჩემგან მხოლოდ მენჯი,
ხოლო იმ ზონდისთვის, რომელიც დღეს სკოლაში გადამაყლაპეს,
აღარ იარსებებს გზა, ჩემს სხეულში სამოგზაუროდ.

დაფის საწმენდ ბალიშზე რომ დავდე თავი,
თმა მოხუცივით გამითეთრდა იმ ცარცისაგან,
რომლითაც ქართულის მასწავლებელი
დღეს სკოლაში მაწერინებდა ზმნებს:
"ამოვარდნა, გადმოყუდება, გაყურსვა, დაზრა..."
და მავალებდა მათ უღლებას დაუსრულებლად,
თითქმის სიკვდილამდე.

დაფის საწმენდ ბალიშზე რომ დავდე თავი,
გამახსენდა მეორე, ოდნავ უფრო პატარა, ვარდისფერი ბალიში,
რომლითაც დღეს ნინო ცომაია შლიდა
მის მიერ გამოყვანილ არითმეტიკის ამოცანებს
და მომინდა,
ეს ბალიში მიეტყუპებინა ჩემი ბალიშისთვის
და თავისი ბაფთიანი თავი ჩამოედო ზედ.

ჩვენი საკლასო ოთახის ფანჯრის რაფაზე
კაქტუსები ალაგია და მორიგეები ყოველ დილით რწყავენ მათ.
ჩვენი სკოლა წითელი კრამიტითაა გადახურული და
ამითი განსხვავდება სხვა, ბრტყელსახურავიანი, რუხი სკოლებისგან.
ზარი როცა ირეკება,
ყველანი გამოვრბივართ და ვცდილობთ,
ერთმანეთს დავასწროთ მოაჯირზე შეხტომა და ჩამოსრიალება.
ყველაზე უცნაური მასწავლებელი კი ხატვის მასწავლებელია,
რომელიც, თუ ფანქარი ან ცარცი არ უჭირავს ხელში,
აუცილებლად კრიალოსანს მარცვლავს და
თავისთვის ბუტბუტებს რაღაცას.

სწორედ მას მოვუყვები მე ხვალ,
თუ რა უცნაური შეგრძნებები დამეუფლა,
როცა დაფის საწმენდ ბალიშზე დავდე თავი და
ხან სათამაშო ცხენს ველაპარაკებოდი და
ხან ნინო ცომაიას ვნატრულობდი ჩემს გვერდით.

ვინ იცის, იქნებ ჩემმა ხატვის მასწავლებელმა
ქარბორბალას, სერვისის და მსგავსი სისულელეების ნაცვლად,
დაფის საწმენდ ბალიშზე დადებული თავების
დახატვა მასწავლოს.

არილი



# "ლიტვური დივერტისმენტი"

ქვეყანა და ლიტერატურა, რომელიც დღეს "არილის" მკითხველს გვინდა გავაცნოთ (უფრო სწორად, შევახსენოთ), ძალზე უცნაურია თავისი წარმოშობითაც და ხვედრითაც. ლიტვურ ლიტერატურას საინტერესო წარსული აქვს და მასში ამ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე მიმდინარე პროცესებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ლიტვური ენა, ფონეტიკური და მორფოლოგიური თვალსაზრისით, ყველაზე არქაულია ცოცხალ ინდო-ევროპულ ენებს შორის, თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთიანი სალიტერატურო ენა ლიტვაში სულ რაღაც საუკუნის წინ ჩამოყალიბდა.

ამ ქვეყნის ლიტერატურა თავდაპირველად (XIV-XV საუკუნეებში) ლათინურ, პოლონურ და რუსულ ენებზე იქმნებოდა, მაგრამ ეს გაუცხოება ე.წ. "ერთიანი ლიტერატურული სივრცის" ჩამოყალიბების შემდეგაც ვერ იქნა დაძლეული; გაჩნდა სხვა, სწორედ ამ "სივრცესთან" დაკავშირებული გაუცხოება.

ქვეყანა, რომლის საზღვრებიც ერთ დროს შავ ზღვამდე აღწევდა, XVIII საუკუნის ბოლოსთვის უკვე აღარ არსებობდა, 1831-1863 წლების აჯანყებათა შემდეგ კი ენის არსებობაც საფრთხის ქვეშ დადგა.

XX საუკუნის დასაწყისში ლიტვამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ მალე იგი ისევ რუსეთის (ამჯერად, საბჭოთა რუსეთის) უღელქვეშ აღმოჩნდა და ლიტერატურაც დაუბრუნდა თავის, უკვე ჩვეულ, სტატუსს; იგი კვლავ უსახლკაროდ დარჩა; მწერალთა უმრავლესობამ ქვეყანა დატოვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ლიტვური ლიტერატურა ემიგრაციაში შეიქმნა - გენრიკას რადაუსკასით დაწყებული, ტომას ვენცლოვათი დამთავრებული. თუმცა იყვნენ გამონაკლისებიც, როგორც მაგალითად, ი.მარცინკიავიჩუსი, მ.მარტინაიტისი, ს.გიადა.

დღეს წარმოდგენილი მასალები ნათლად გვაჩვენებენ სხვაობას ამ ორ კერას შორის: პირველებისთვის ემიგრაციაში წასვლა ნორმალურ კულტურულ პირობებს ნიშნავდა და მათთვის უცხო იყო სახელმწიფო მხარდაჭერის, მაღალი ჰონორარებისა თუ პრემიების სიამენი. სამაგიეროდ, შინ დარჩენილები შეწუხდნენ თავიანთი ისტორიული მისიის დაკარგვის, "მწერლის როლის აშკარა დაკნინების" გამო და ეჭვიანი მზერა დაასეს დასავლეთ ევროპასა თუ შორეულ აღმოსავლეთში მოხეტიალე ახალგაზრდა ლიტველ ყარიბებს (იმ დროისთვის დამწყებ მწერლებს).



აქ წარმოდგენილ ავტორთა უმრავლესობა ამ ახალ თაობას მიეკუთვნებიან და სწორედ მათ შემოქმედებასთან გაცნობის სურვილი იქცა წინამდებარე თემატური ნომრის გამოსვლის მიზეზად; თუმცა კი, როგორც ხედავთ, ზემოთხსენებული ორ "კერის" ბინადარი, მარტინაიტისიცა და ვენცლოვაც არ დავივიწყეთ. განსაკუთრებით "გაუმართლა" ვენცლოვას, ვისადმი მიძღვნილი ლექსის სახელწოდებითაც შევამკეთ დღევანდელი ჩვენი არმაღანი ("ლიტვური დივერტისმენტი" იოსიფ ბროდსკიმ თავის ვილნიუსელ მეგობარს 1971 წელს მიუძღვნა).

ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენს მომავალ მეტოქესა და ყოფილ მოძმე რესპუბლიკასთან, ლიტვასთან ურთიერთობის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ისტორიაში ჩვენი "დივერტისმენტიც" დაიმკვიდრებს ადგილს, მით უმეტეს, რომ წელს ლიტვა დამოუკიდებლობის მეათე წლისთავს ზეიმობს.

*რედაქცია*

**Šis žurnalo numeris yra skiriamas lietuvių literatūrai. Jame pateiktos lietuvių dainos, Marcelijaus Martinaičio eilėraščiai, J.Brodskio "Lietuviškas divertismentas", interviu su Tomu Venclova, Malchazo Charbedijos apybraiža, skirta T.Venclovos kūrybai. Taip pat Jūratės Sprindytės ir Ričardo Gavelio esse apie lietuvių literatūrą. Renatos Šerelytės bei Birutės Jonuškaitės apsakymai.**

**Redakcija dėkoja visiems, kurie padėjo išleisti šį numerį:
Malchazui Charbedija, Tamarai Abramišvili, Andro Buačidze, Tedo Bekišvili, Zaurui Molaschija, Rusudan Kaišauri, Nana Devidze.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მარცელიუს მარტინაიტისი

# ტექსტები სინათლის შუქზე

მარცელიუს მარტინაიტისი (დ.1936) - ცნობილი ლიტველი პოეტი; 1964 წელს დაასრულა ვილნიუსის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. იბეჭდება 1954 წლიდან. არის ოცამდე პოეტური კრებულის ავტორი. ლიტვურად თარგმნილი აქვს ს.ჩიქოვანის ლექსები.

მინდა ვიმსჯელო უფრო კითხვაზე, ვიდრე ლიტერატურაზე, ვინაიდან კითხვა ზოგჯერ შემოქმედების ტოლფასია, ზოგჯერ კი ტექსტთან შედარებით უფრო ღრმა და უფრო გააზრებულიც კი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კითხვა გაცილებით დიდ და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ვიდრე ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე მრავალფეროვან გამოცემათა უზარმაზარი მთა.

იმაზე ფიქრისას, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე ლიტვური ლიტერატურა, რა ხდებოდა და რა ხდება მის სიღრმეებში, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ლიტერატურის ფენომენალურ მნიშვნელობას გასული და ახლანდელი საუკუნეების შესაყარზე, მის ფართო გავრცელებას. ხანდახან გეჩვენება, რომ ლიტვის ისტორიის პროექტირებას სწორედ პოეტები ახდენდნენ. რამდენიმე წლის წინ, ამჟამინდელი დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, საიუდისის პირველ მასობრივ მიტინგებზე ხალხი ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის პროგრამებით კი არ მიდიოდა, არამედ გასული და ამ საუკუნის კლასიკოსების ლექსებით. მათ არა მხოლოდ კითხულობდნენ, არამედ მღეროდნენ კიდევაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა ასე მძიმე დრო დაუდგა ლიტვას. უფროსი თაობის ადამიანები ამ ლექსებზე სიმღერებს ქმნიდნენ, მერე კი ამ სიმღერებს ციხეებსა და გადასახლებებში მღეროდნენ.

და აი ის პოეზია, რომელიც კონსპირაციული მეკავშირის როლს ასრულებდა, დამთავრდა. ამგვარი როლი ითამაშა თანამედროვე პოეტების - მარცინკიავიჩიუსის, გიადას, სტრელკუნასის ლექსების ტექსტებმა. ისინი წაკითხული და აღქმული იყო დროის იმ გარკვეულ კონტექსტებში, რომელიც ახლა უკვე აღარ არსებობს. ვფიქრობ, ეს, როგორც რუსი, ისე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოეტების აღქმისთვისაც არის დამახასიათებელი.

ლიტვაში დაბადებულ ნობელის პრემიის ლაურეატ პოლონელ პოეტს - ჩესლავ მილოშს, რომელიც კარგად იცნობს აქაურ რეალიებს, როგორლაც წამოსცდა, ლიტველი ერი და სახელმწიფო დამწერლობიდან, ლიტერატურიდან, კითხვიდან აღორძინდაო. მეფის რუსეთის მიერ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ლიტვური დამწერლობის (ბეჭდვის) მკაცრმა აკრძალვამ უნიკალური უკუქმედება - აკრძალული ლიტერატურის საყოველთაო კითხვა გამოიწვია, რაც მუდამ ენისა და ლიტერატურის შენახვა-შენარჩუნების გარანტად აღიქმებოდა.

შემოქმედებას თან რისკი და მსხვერპლიანობა ახლდა, იგი მასთან ხელიხელჩაკიდებული მიედინებოდა. და აი, უცებ დაემხო სისტემა, რომელსაც ლიტერატურა ან უპირისპირდებოდა, ან მხარს უჭერდა. უცებ ერთიათად შემცირდა ტირაჟი.

პრობლემა ისაა, ზუსტად განისაზღვროს, ცოტა ხნის წინანდელ მწერლობაში, სად იყო ჭეშმარიტი ლიტერატურა და სად იყო კითხვა, რომელიც გამოეყო ლიტერატურას და რომელმაც პუბლიცისტიკის, ესეისტიკის, პროტესტის, ინტელექტუალური იატაკქვეშეთის სახე მიიღო. კითხვა ხატავდა ლიტერატურის რაღაც ახალ ხატს, რომელიც შორს იდგა იმისაგან, რაც ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის ან კრიტიკოსების შეფასების შედეგად შეიძლებოდა შექმნილიყო.

რა თქმა უნდა, არის ის, რაზედაც შეიძლება გული



დაგწყდეს. მაგალითად, როდის წაიკითხავენ კიდევ ლიტერატურას, თანამედროვე ლიტერატურას ისე, რომ არაფერი გამოტოვონ ტექსტში, რომ თავიანთი თანამშრომლობითა და თანაგრძნობით ყოველნაირად შეეცადნენ, დაეხმარონ მწერალს ბოლომდეართქმულის გამოთქმაში? მინდა ვიკითხო, რა უფრო საშიში იყო რეჟიმისთვის - ნაწერი თუ ნაწერის წაკითხვა? ცენზურას ხშირად მხოლოდ ის როდი გადიოდა, რაც დაწერილი იყო, არამედ ისიც, რაც შეიძლებოდა მკითხველს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში მოსჩვენებოდა. უნდა ემართათ, ხელჩაკიდებული ეტარებინათ არა მარტო მწერლობა, არამედ ლიტერატურის აღქმაც, მისი წაკითხვაც - აი რა იყო ამისწინა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა, რომლის გადასაწყვეტად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ, საბოლოო ანგარიშში კი - ადამიანებს, ყმაწვილს, რომელმაც ეს-ესაა გაიგო რა არის წიგნი, უნდა ესწავლა გარემოს, საგნების, წიგნის კულტურული ფასეულობების უაპელაციო განსჯა.

ყველაფერ ამას უპირისპირდებოდა “კონსპირაციული” კითხვა. დევნილი, დაზარალებული მწერლების სახელები ყველასათვის არის ცნობილი, მაგრამ საეჭვოა შესაძლებელი იყოს იმ ადამიანების ჩამოთვლა, ვინც კითხვის გამო იქნა მსჯავრდებული, გადასახლებული, სამუშაოდან დათხოვნილი თუ განდევნილი, მაშინ, როცა სწორედ იმ ადამიანების მიერ იქნა აწეული იმ ლიტერატურის ფასი, რომელსაც ასე დავტირით ახლა, მისი დაკარგვის შემდეგ.

მწერლობის ავტორიტეტის დაცემას, საზოგადოებაში მკითხველის როლის მათი აზრით დაუმსახურებელ შეცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას ბევრი მეტად მტკივნეულად აღიქვამს. თანამედროვე პოლიტიკურ სინამდვილეში ლიტერატურა უკვე აღარ თამაშობს გმირის როლს. ახლა მწერალს და მის გავლენას წარმატებით უწევს კონკურენციას პოლიტიკოსი, მეწარმე თუ მასკულტურის ესა თუ ის კერპი. თუ მწერლობის ერთი ნაწილი ყოფილი სისტემის მიერ მინიჭებულ პრივილეგიებს კარგავს, მეორე ნაწილი კარგავს მკითხველებს, მესამე ნაწილი იმ შიშს, რომელიც მისი შემოქმედების მთავარ სტიმულს, მისი ცხოვრების წესს და სტილს წარმოადგენდა. დიდ შიშს დიდი სარგებელი ჰქონდა.

ახლა ლიტვაში ხშირად დგება ცნობილ ადამიანთა რეიტინგები, მაგრამ იმ ადამიანებს შორის მწერლები არ არიან. მაშინ, როცა, სულ ცოტა ხნის წინ, მათ პირველი ადგილები ეჭირათ, მათ დეპუტატებად, მინისტრებად, პრეზიდენტებად ირჩევდნენ. მწერალს აღარავინ ეკითხება, როგორ იცხოვროს, რას ფიქრობს ხელისუფლებაზე, აწმყოსა და მომავალზე, რას ფიქრობს ფულზე, ბანკებზე, სიყვარულზე, ბავშვებზე, ერზე... რაც მთავარია, აღარავის აინტერესებს, როგორ წერს ან რის შესახებ წერს. მისთვის თითქმის სრულიად ხელმიუწვდომელია ტელეეკრანი. გამომცემლობები აღარ ელიან მის ახალ შედევრებს.

მწერალი, რომელიც ეროვნულ ლიტერატურას ქმნის, განსაკუთრებით პატარა ქვეყანაში, არათუ მდიდარი, სათანადოდ უზრუნველყოფილიც ვერ იქნება. იშვიათი გამონაკლისი შეიძლება იყოს ის, ვინც მოახერხებს და "გაალწევს" თავისი ქვეყნის საზღვრებს. კვლავ ჩნდება მოთხოვნილება ლიტერატურული ურთიერთობებისა თუ მხატვრულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლისა, მაგრამ სულ სხვა დონითა და სხვა ფორმით, ვიდრე ეს სოცბანაკის დროს იყო. ვხედავ, როგორ ჩნდება სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატორთა სოლიდარობები და მათი შექმნა განპირობებულია არა ცენზურის წინააღმდეგ, არამედ სიღარიბის, ანგარების, უგემოვნების წინააღმდეგ საბრძოლველად.

შეიძლება ფული ბლომად და სწრაფადაც იშოვო, ოღონდ სარეკლამო, საიუბილეო თუ საქორწინო კუპლეტებით, ეროტიული სცენებით, სიყვარულსა და განშორებაზე დაწერილი უაზრო სიმღერებით, კრიმინალური ქრონიკებითა და საპნის რომანებით. ბევრი ჩვენი ლიტერატორი გადის კიდევაც ამით იოლას. ეს არის აბსოლუტური თავისუფლება, რომელიც თვითონვე სჭამს საკუთარ თავს.

ბიზნესისა და რეკლამის დროს დააფასებენ უფრო ხორცს, ვიდრე სულს. ბევრი დღემდე ვერ ურიგდება ამ უსიამოვნო აღმოჩენას, ვინაიდან სამართლიანად მიაჩნია, რომ ლირიკული მინიატურა გაცილებით მაღლა დგას, ვიდრე გამართული ტექსტი ხორცის კონსერვის ქილაზე.

დღეს რომ კულტურა მართო და აკონტროლო, ფულით მართვა უნდა შეგეძლოს. მაგრამ უნდა მართო ადამიანურად, რათა რაიმე გამოუსწორებელი არ მოხდეს. ის ყბადაღებული, არც თუ მცირე ფულითა და შემოსავლიანი რეკლამებით უზრუნველყოფილი დასავლური - ის კი არა, ახლა უკვე ადგილობრივი - მასობრივი კულტურაც აკი სულ უფრო ხშირად და ხშირად გვისაფრდება იქ, სადაც ყველაზე ნაკლებად ველით.

აი, მეც დავიწყე თუ არა ლიტერატურაზე ლაპარაკი, ფულამდე მივედი. რა უნდა ვქნა, თუკი დღეს ნებისმიერ, თვით შემოქმედებით ჩანაფიქრსაც კი წინ მატერიალური გაანგარიშება უნდა უძღოდეს. ვერ ვიტყვი, თითქოს ლიტვის ხელისუფლება კულტურისათვის სახსრებს არ გამოყოფდეს. რა თქმა უნდა, გამოყოფს, მაგრამ იგი საკმარისი არ არის, არ არის და არც იქნება. ვფიქრობ, არა მხოლოდ ლიტვაში, მსგავსი ისტორიული გამოცდილების სხვა ქვეყნებშიც თავს ერთი და იგივე პრობლემა იჩენს - როგორ გამოვიყენოთ ეს სახსრები, ფული ვისი საშუალებით და ვის ხელში უნდა შემოვიდეს, როგორ უნდა გადავიდეთ ჩვეული რაოდენობრივიდან ხარისხობრივის მხარდაჭერაზე, რათა კონკურენციის პირობებში გამოვავლინოთ და მხარში ამოვუდგეთ იმას, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ტელერეკლამებისა და გასართობებისათვის, არამედ სულიერი განვითარებისთვისაც. ჯერ კიდევ ცუდად მუშაობს ფონდების სისტემა, ხოლო არსებული ფონდები ეროვნული კულტურული პოლიტიკის არარსებობის გამო ხშირად ნაკლებმნიშვნელოვან პროექტებს უჭერს მხარს.

ბოლო ხანებში მკითხველი ისევ უბრუნდება ლიტერატურას, მაგრამ სრულიად სხვა განწყობით, ახლა იგი სულ სხვა წიგნებს იღებს თაროებიდან. მწერალიც თანდათან უფრო თავდაჯერებული ხდება, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი ცოტათი მაინც ცნობილია და წარმოდგენა აქვს, როგორ უნდა მოიქცეს წიგნის გამოცემის ახლანდელი სისტემის პირობებში, მაშინ, როდესაც რიგიანი ტირაჟიც კი შესაბამის ჰონორარს არ გპირდება. ლიტერატურისა და ლიტერატორების მხარდასაჭერად ჩნდება სხვადასხვა საშუალებები, ახალი შესაძლებლობები, რათა საზოგადოება ეზიაროს კულტურას, გაეცნოს მის შემოქმედთ. ეს არის სახელმწიფო სტიპენდიები, ნაციონალური და სხვა სახის პრემიები, პროგრამის დაფინანსებები, კონტრაქტები თუ საერთაშორისო ჰუმანიტარული ფონდების გრანტები. თანდათან ყალიბდება მხარდაჭერის სისტემა, მწერლებიც თანდათან ეჩვევიან მას, სწავლობენ, როგორ გამოიყენონ, როგორ ისარგებლონ მისით. ამ ვითარებაში ცუდი არ იქნებოდა მიგვემართა შვეიცარიის, ნორვეგიის და ზოგიერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილებისათვის, რომელთაც შეძლეს და შეინარჩუნეს კულტურა და მწერლობა.

ვხედავ, ამ "ჯუნგლებში" როგორ სწრაფად პოულობენ ადგილს ახალგაზრდა ლიტერატორები. ისინი თხზავენ, სწერენ, ღებულობენ, მიემგზავრებიან, ეცნობიან, ხდებიან ცნობილები საერთაშორისო ინტელექტუალურ მიეთმოეთში, რაღაც დროით ევროპასა ან ამერიკაში იკარგებიან, უკან ახალ-ახალი ზრახვებით, ახალ-ახალი ჩანაფიქრებით ბრუნდებიან და ისევ მიდიან... იბადება მწერლის სრულიად ახალი, ჩვენთვის სრულიად გაუგებარი ტიპი, რომელიც სწორედ ამგვარი საშუალებებით იხვეჭს სახელს, იძენს მხარდაჭერას, ახერხებს თავისი შემოქმედების თარგმნას. ჩვენთვის, ვინც მიჩვეული ვართ დაჩაგრული მწერლის რომანტიკულ ტიპს, სრულიად მიუღებელია ამგვარი პერსონაჟი. უფროსი თაობის მწერლებისათვის, ვისაც თავი საწერი მაგიდის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ყოველივე ამის გათავისება და ცხოვრების წირის შეცვლა გარდა იმისა, რომ ფსიქოლოგიურად ძალზე ძნელია, მეტისმეტად გვიანაცაა. დაბოლოს, მნიშვნელოვანია არა იმდენად მატერიალური სიძნელეები, რამდენადაც შემოქმედებითი ცხოვრების მოშლა, მწერლის როლის აშკარა დაკნინება, მისი სოციალური მნიშვნელობის დაცემა, მოქმედი პირის სტატუსის დაკარგვა.

თარგმნა **ლილი მჭედლიშვილმა**

**არილი**



# თომას ვენცლოვა:
# ვილნიუსელი ტარტიუფი იელის უნივერსიტეტში



**- თუ შეიძლება, თქვენი გამგზავრების ამბავი მოგვიყევით.**

- საბჭოთა მოქალაქის სტატუსით გამიშვეს, მამოწმებდნენ როგორ მოვიქცეოდი. ბერკლიში სემიოტიკის კურსს ვკითხულობდი, მაგრამ იმავდროულად რადიოთიც გამოვდიოდი და სსრკ-ში ადამიანთა უფლებებზე ვსაუბრობდი. ლიტვის "ჰელსინკის" ჯგუფის - ძალზე თავგანწირული დისიდენტური კამპანიის - წევრი ვიყავი და ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა ამ თემის აქცენტირება. ბუნებრივია, მოქალაქეობა მალე ჩამომართვეს და იძულებული გავხდი, პოლიტიკური თავშესაფარი მომეთხოვა. ახლა უკვე ორი პასპორტი მაქვს: ამერიკული და ლიტვური. მრავალი წელია იელში ვასწავლი, დავიცავი დისერტაცია და ფილოსოფიის დოქტორი გავხდი.

**- რა ერქვა დისერტაციას?**

- "არამდგრადი წონასწორობა: რვა რუსული პოეტური ტექსტი" - ლექსების გარჩევაა ლოტმანის სკოლის ყაიდაზე.

ვწერ ლექსებს, მაგრამ ძალზე არაპროდუქტიული პოეტი ვარ, ერთხელ გამოვთვალე და მივხვდი, რომ გადარჩევის შემდეგ მხოლოდ 157 ლექსი დარჩებოდა. ყველა ისინი ლიტვასა და ამერიკაშია გამოქვეყნებული. ამასწინათ ლიტვაში გამოვიდა ჩემი რჩეული პოეზია და მე მასში 50 გამგზავრებამდე დაწერილი და 50 ამერიკაში შექმნილი ლექსი შევიტანე: ეს მათ ჯინაზე გავაკეთე, ვინც ფიქრობს, რომ პოეტი ქკნება ემიგრაციაში. ცოტ-ცოტას ლიტვურადაც ვთარგმნი.

**- თქვენი სხვა წიგნების შესახებ გვესაუბრეთ.**

- დისერტაციის გამოსვლის შემდეგ პოლონელი პოეტის, ალექსანდრ ვატის შესახებ დავწერე წიგნი. იგი უკიდურესი ფუტურისტი იყო, დაახლოებით კრუჩონიხის დონის; შემდეგ კომუნისტი გახდა - ომამდე - მოგვიანებით კი მიატოვა პარტია და სსრკ-ში, მავთულხლართებს მიღმა აღმოჩნდა.

გათავისუფლების შემდეგ დასავლეთში წავიდა. ორი შესანიშნავი პოეტური კრებული გამოსცა - მეტაფიზიკური ტიპის - და მოგონებების წიგნი, რომელიც მნიშვნელობით ნადეჟდა მანდელშტამის წიგნსაც შეგვიძლია შევადაროთ. ეს წიგნი რომ გამოვიდა, 1967 წელს ვატმა თავი მოიკლა, პარიზში. ინგლისურად მის შესახებ თითქმის არაფერი არსებობდა, თანაც მეორე წიგნი მჭირდებოდა უნივერსიტეტში ადგილის მოსაპოვებლად და მეც ვატი ავირჩიე. ოთხი წელი ვწერდი, ინგლისურ ენაზე, 90-იანებში გამოვიდა და ახლა პოლონურადაცაა თარგმნილი: რადგანაც პოლონელებისთვის ვატი დაახლოებით იგივეა, რაც ჩვენთვის მაიაკოვსკი, ოღონდ მას ჯერ ბანაკებში უნდა მოეხადა "ვადა", შემდეგ კი უცხოეთში უნდა გაქცეულიყო.

ჩემი მესამე წიგნი - "თანამოსაუბრენი ნადიმზე" - ვილნიუსში გამოვიდა რუსულ ენაზე. ესაა სამეცნიერო სტატიების კრებული სხვადასხვა ლიტერატურულ თემაზე და სულ ახლახან, მოსკოვში გამოიცა ჩემი პუბლიცისტიკის წიგნი ცოტათი პრეტენზიული სახელწოდებით "თავისუფლება და სიმართლე". სათაური გამომცემლის დარქმეულია და წიგნში შესული წერილებიც რუსულადაა თარგმნილი. მასში შესულია გასული წლების პუბლიცისტიკა, რომელთაგან დიდი ნაწილი ლიტვის დამოუკიდებლობის შემდეგაა დაწერილი. აქაა სტატიები ლიტვური თვითშეგნების თავისებურებების, მისი უკიდურესობებისა და შეცდომების შესახებ. საქმე იმაში გახლავთ, რომ მე პრინციპული მოწინააღმდეგე ვარ ვიწროდ გაგებული ნაციონალიზმისა, ამის შესახებ ბევრს ვწერ და ვსაუბრობ, რაც, როგორც ჩანს, ვერ უწყობს ხელს ლიტვაში ჩემს დადებით პოპულარობას.

**- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენ ხომ, უპირველეს ყოვლისა, პოეტად აღიქვამთ თავს. მე მგონი, დადგა დრო, თქვენი ლექსების კრებული რუსულ ენაზეც გამოვიდეს?**

- აქტუალური შეკითხვაა. მართლაც, მირჩევნია პოეტი ვიყო, რომელიც, სხვათა შორის, მასწავლებელიცაა, მთარგმნელიც და ა.შ... როდის გამოვა ჩემი ლექსების რუსული კრებული, ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, მთარგმნელებთან ბედმა გამიღიმა: ჩემი ლექსები თარგმნეს ცხონებულმა იოსიფ ალექსანდროვიჩმა (ორი ლექსი, რომელიც ჩემი უკვდავების გარანტიად იქცა), გორბანევსკაიამ, კუშნერმა, განდელსმანმა, კულემ - წიგნისთვის მართლაც საკმარისი იქნება, მაგრამ არავინ მთავაზობს ამ იდეის განხორციელებას. მე ხომ არ დავტრიალდები, უხერხულია. მითუმეტეს, რომ ძალზე წყნარი ცხოვრებით ვცხოვრობ და ვერიდები სიტუაციებს, სადაც უარის მიღების დიდი შანსია.

**- როგორ განსაზღვრავდით საკუთარ პოეტიკას - აქამდე ხომ თქვენ მუდამ სხვისი პოეტიკის განმარტებით იყავით დაკავებული?**

- მე ერთგვარი კლასიცისტი ვარ, მანდელშტამის, ბროდსკის ხაზის გამგრძელებელი (თუმცა საკუთარ თავს მათ არ ვადარებ, რა თქმა უნდა), ამიტომაც ჩემი პოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზია მკაცრია, რეტროსპექტული, თუმცა რაღაცით ექსპერიმენტულიც - რადგანაც ვმუშაობ გარითმვის სქემებზე, რომელიც ჩემამდე არავის გამოუყენებია ლიტვაში.

**- რამდენად განსაზღვრავს ლიტვური ენა ზოგადად პოეტიკას?**

- ბევრი რამ მეტრიკაზეა დამოკიდებული. სხვათა შორის, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლიტვური სიტყვები, როგორც წესი, ერთი ან ორი მარცვლით გრძელია, ვიდრე რუსული, რაც ცოტათი ართულებს რუსული ტრადიციული საზომების თარგმნას. ჩვენი პირველი კლასიკური ნაწარმოები ჰეგზამეტრით იყო დაწერილი. შემდეგ სილაბიკით წერდნენ და ეს სილაბური ლექსი დღემდე შემორჩა ენას, ამიტომაც მე რამდენიმე ლექსი სპეციალურად ამ საზომით დავწერე. შემდეგ იყო XIX საუკუნის რეფორმა, როცა მკაცრი სილაბოტონიკით დაიწყეს წერა, პუშკინის ყაიდაზე და ამავე სილაბოტონიკას იყენებდნენ საბჭოთა პერიოდშიც, რის გამოც იგი, უპირველეს ყოვლისა, სოცრეალიზმთან ასოცირდებოდა. ამიტომაც, 60-იან წლებში პოეტებმა უარი თქვეს მასზე და შეიძლება ითქვას, რადიკალურ ზომებს მიმართეს. ჩემი რადიკალიზმი კი სხვა რამეში მდგომარეობდა - მეტაფორას, კომპოზიციასა და გარითმვას მე ისევ და ისევ სილაბოტანიკაზე ვამყარებდი. თუმცა ხანდახან ვერლიბრსაც ვწერ.

**- თქვენთან საუბრისას, ყოველთვის მიჩნდება სურვილი,პოეტ ლევ ლოსევს - და უფრო ფართოდ კი - პოეზიის პეტერბურგულ სკოლას შევადაროთ. როგორ მოგწონთ ამგვარი შედარება?**

- ლევ ლოსევი მიყვარს და პატივს ვცემ, ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ იგი ძალიან ირონიული პოეტია, მე კი არა. სხვა მხრივ, ბევრი მეუბნება, რომ დიახ, მე პეტერბურგულ სკოლას წარმოვადგენ ლიტვაში. გარკვეულწილად, ეს მართალია, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ლიტველებს თავისი პეტერბურგული სკოლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჰყავდათ, როცა ლიტველი პოეტები - მაირონისი და ბარანაუსკასი - პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ამ ქალაქის ორგვარ აღქმას იზიარებდნენ: პუშკინისეულს და მიცკევიჩისეულს. ასე რომ, თუკი მე პეტერბურგის სკოლას ვეკუთვნი, ეს უფრო ძველი, მაშინდელი "ლიტვური პეტერბურგის" სკოლა იქნება, სადაც მკაცრი ფორმა და კულტურული მეხსიერება ბატონობს.

**- როგორ მიმართებაშია თქვენი აზრით, დიდი პოეტიკა და ჩვენი დროის პოეტური სიტუაცია?**

- პოეტიკები საერთოდ არც ისე ბევრია, სულ შესაძლოა მხოლოდ ოთხი პოეტიკა არსებობდეს: რომანტიკული, კლასიცისტური, ავანგარდული და სუპერავანგარდული. ამიტომაც პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ავტორს, რაც არ უნდა გაახუროს, მაინც მათთან უწევს მუშაობა: ვერსად წაუვა. უბრალოდ, ზოგჯერ ამ ავტორის ნამუშევარი გრგვინავს ხოლმე, ზოგჯერ კი არაფრად ვარგა. ამიტომაც ვცდილობ ერთი სტილის ერთგული ვიყო, რომელიც გარეგნულად ძალზე რადიკალურ ხერხებშიც ინარჩუნებს თავის სახეს.

**- რა ხდება ახლა ლიტვურ პოეზიაში, რა ტენდენციები შეინიშნება?**

- ერთი ტენდენცია ყველაზე უფრო თვალშისაცემია, ესაა იდიოტიზმამდე დასული ბუნდოვანება. ეს უკვე ობიერიუც კი არაა, მათ ხომ თავისი ხიბლი ჰქონდათ და ეს ნაწარმოებები სასიამოვნო საკითხავი იყო. ამასთან, უბრალოდ, გეზარება კითხვა, მოიწყენ.

**- თანამედროვე რუსულ პოეზიაზე რას იტყოდით?**

- თანამედროვე რუსულ პოეზიაში მომწონს... ვთქვათ, კიბიროვი.

**- მაგრამ კიბიროვი ხომ თქვენი სრული ანტიპოდია.**

- ალბათ იმიტომაც მომწონს, რომ ასე არასდროს დავწერ. მას იუმორის გრძნობა აქვს და თანაც, საბჭოთა ეპოქის ხატს ქმნის, ეპოქის, რომელიც თვალსა და ხელს შუა ირღვევა, მისი ეპოქის ხატს. თუმცა, რა თქმა უნდა, მე ჩემს თანატოლებს უკეთ ვიცნობ - რეინს, კუშნერს, გორბანევსკაიას. მათ ვადევნებდი თვალყურს. რაც შეეხება პოეტების ახალ თაობას, მე აქ არა ვარ სპეციალისტი.

**- გავიგე, რომ თქვენ ოდესღაც ოდენი გითარგმნიათ ლიტვურად. მართალია?**

- დიახ, ძალიან დიდი ხნის წინ, რამდენიმე ლექსი იყო, "უ.ბ.იეიტსის ხსოვნას", "1939 წლის 1 სექტემბერი" და კიდევ რაღაც. გავუგზავნე კიდეც, რის შემდეგაც პასუხი მივიღე, სადაც ოდენი ზრდილობიან მადლობას მიხდიდა გარჯისთვის. როცა ბროდსკი მეემგზავრებოდა, ვუთხარი: "ვიცი, იქ პირველ რიგში ოდენს შეხვდები, მე კი თარგმნილი მყავს ეგ კაცი და "მიმოწერაც" მქონდა, ამიტომ სახსოვრად აი, ეს ბოთლი მინდა გაგატანო"-მეთქი. და გადავეცი ერთი ბოთლი ძალიან მაგარი - 70 გრადუსი - ლიტვური სასმელი, ვთხოვე ოდენთან ერთად დაელია, როცა შეხვდებოდნენ ერთმანეთს. ასეც მოიქცნენ. აი, ასეთი ურთიერთობა მქონდა ოდენთან. ერთი სიტყვით, სულელური.

**- რატომ სულელური. ასეთი ისტორიებიდან იბადებიან პოეტები, შესაძლოა თავად ლიტერატურის ისტორიაც კი ამ ამბების გამო იწერება. სხვათა შორის, თქვენზე მსმენია, რომ ძალიან ბევრი საინტერესო რამ გადახდომიაო თავს. მართალია?**

- კი, იყო ერთი-ორი. უცხო ისტორიებსაც მე მაბრალებენ ხოლმე - მაგალითად, დოვლატოვს ერთი ამბავი მოუყოლია და მან ჩათვალა, რომ ყველაფერი ეს მე გადამხდა თავს.

არადა, ეს ყველაფერი ერთ პოლონელ მწერალს, აწ გარდაცვლილს, ლეოპოლდ ტირმანდს დაემართა. ტირმანდი პოპულარულ დეტექტიურ რომანებს წერდა და საშინლად ვერ იტანდა საბჭოთა ხელისუფლებას. ბოლოს და ბოლოს, დასავლეთში გაიქცა და პროფესიონალი ანტიკომუნისტი გახდა. წერას თავი დაანება და ძირითადად, ლექციებს კითხულობდა საბჭოთა ხელისუფლებაზე. ასე რომ, თავისი დასავლური კარიერის დასაწყისში, კითხვაზე ლექციების შესახებ იგი ხშირად პასუხობდა: "მე სამი ტიპის ლექციებს ვკითხულობ. ერთში 50 დოლარს ვიღებ, მეორეში 100-ს, მესამეში კი 200-ს. ორმოცდაათიანს, რა თქმა უნდა, არ გირჩევთ".

ეს ისტორია დოვლატოვს მოუყოლია და მან, ეტყობა კარგ ხასიათზე იყო, წარმოიდგინა როგორ ვვაჭრობდი ჩემი ლექციებით, რაც, რა თქმა უნდა, არ მომხდარა. ისე, ისტორიები ჩემს შესახებ ისედაც ბევრია.

**- მაგრამ რატომ მაინცდამაინც თქვენ გემართებათ ეს ამბები?**

- ძალზე აქტიური ადამიანი ვარ, ავანტიურისტი და ხშირად ჩემი ინიციატივით ვეხვევი ხოლმე ამბებში. თავის დროზე ძალიან ბევრს ვსვამდი და ამანაც, რა თქმა უნდა, ხელი შეუწყო... ამ ისტორიებიდან ბევრმა ლიტერატურაში "დაიმკვიდრა" ადგილი. რეინს აქვს ლექსი "სამი აღდგომა", სადაც რაღაც ვილნიუსელ ტარტიუფს ვგავარ... რეინისვე ლექსებში ხშირად ვფიგურირებ როგორც "მილიონების მემკვიდრე", რაც მამაჩემის, ცნობილი ლიტველი მწერლის მემკვიდრეობაზე მიანიშნებს, თუმცა ეს თანხა ნამდვილად არ იყო ასეთი კოლოსალური.

**- ამერიკაში როგორ არის საქმე, ხშირად ხდება ხოლმე თქვენს თავს უცნაური ამბები?**

- ადრე ისტორიებს ჩემს შესახებ სტუდენტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმნიდნენ, მათ ასეთი ინგლისური ზმნაც კი მოიფიქრეს, to venclova, რაც "გამოთაყვანებული სახით ბოდიალსა და ბუტბუტს" ნიშნავს.

**- როგორ გაიცანით ტანია, თქვენი მომავალი მეუღლე? რამდენადაც ვიცი, ესეც ფანტასტიკური ისტორიაა - პოეტმა ევგენი რეინმა, ყოველ შემთხვევაში, ასე დამიხასიათა იგი. მინდა დედანი მოვისმინო.**

- ო, ეს კლასიკური ისტორიაა. ჩვენ ერთმანეთს გორბაჩევსკაიამ გაგვაცნო, თანაც ძალზე მოულოდნელად მოხდა ეს. 1967 წლის ზაფხულში იგი ვილნიუსში ჩამოვიდა. ეს ამბავი წითელ მოედანზე მის გმირობამდე ერთი წლით ადრე მოხდა, თუმცა უკვე მაშინ ძალზე რისკიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. ღამის სამ საათზე მირეკავს და მეუბნება, რომ სადგურშია და ქალაქში ავტოსტოპით ჩამოვიდა. იგი ყოველთვის ავტოსტოპით მოძრაობდა და მეც ხშირად ვიქცეოდი ხოლმე ასე. ბროდსკი ამგვარ სიტუაციებში მეუბნებოდა: "თუკი მძღოლი გკითხავს, სად მიდიხარო, უნდა უპასუხო: "ნაშასთან" ან "ნაშასგან". თავს დაგანებებს და აღარ ჩაგეკითხება". ასეც ვიქცეოდი.

ჰოდა, მივდივარ სადგურზე და ქალაქში ვსეირნობთ მისი ჩემოდნით (სადაც ასიანი რაღაც აკრძალული წიგნები ჰქონდა, ან სამიზდატი). ვუხსნი, სახლში ვერ მიგიყვან, მშობლებთან ერთად ვცხოვრობ და ამიტომ ნაცნობებთან დაგასახლებ-მეთქი. მაგრამ არ გინდა, ღამის ოთხ საათზე დაადგე იმ ხალხს? სირცხვილია! დილამდე უნდა მოგვეცადა. სამაგიეროდ, დავდივართ და ვათვალიერებდით დილის ვილნიუსს. ცხრა საათზე ვენიჩკა ეროფეევივით დასალევად გავიწიე. შევედით სასადილოში, სადაც კონიაკი და ყავა ჰქონდათ და მაგიდას მივუჯექით; იქ უკვე ვიღაც იჯდა, ვკითხე, თუ შეიძლება-მეთქი, თანაც სახეზე არც შემიხედია. მოგვიტანეს ეს კონიაკი, ავწიე სირჩა და დავინახე, რომ ჩემს წინ გოგონა იჯდა. ეს იყო ტანია. მაშინ იგი საბჭოთა კავშირის ყველაზე ლამაზი ქალი იყო, ალბათ. ფანტასტიკურად ლამაზი, დავბრმავდი, გავქვავდი და გამოვქლიავდი. ოცი წლის იყო, მე ოცდაათისა და ვიფიქრე, ეს რომ არ გავიცნო, მთელი დარჩენილი ცხოვრება ვინანებ-მეთქი.

მაგრამ როგორ, რანაირად უნდა გავიცნო?

ნატაშა კი ამ დროს ალიკა გინზბურგზე მელაპარაკება, იმის შესახებ, რომ საავადმყოფოში წევს და ა.შ. უცებ, გოგონა თვითონ ჩაერთო საუბარში. თურმე ალიკას დედას იცნობდა და მთელი საქმის აზრზე იყო. ასე გავიცანით ერთმანეთი. ტანია ერთი დღით ჩამოვიდა ვილნიუსში და ისე მიემგზავრება, რომ არც არაფერი უნახავს ჩვენს ქალაქში. "ერთი დღით მაინც დარჩით და ჩემზე უკეთ ვერავინ დაგათვალიერებინებთ-მეთქი აქაურობას", - ვუთხარი. "კი მაგრამ, მე ხომ თქვენ არ გიცნობთ", - მიპასუხა გოგონამ და აქ გორბანევსკაიამ მთავარი ფრაზა წარმოთქვა: "ნუ გეშინიათ, ეს ადამიანი თქვენ არაფერს გავნებთ". გოგონა დათანხმდა, დავათვალიერებინე ვილნიუსი და კაუნასშიც ვიყავით. ერთი სიტყვით - რომანი დაიწყო. მეც სხვა რა მინდოდა...

შემდეგ ჯარები შევიდნენ ჩეხოსლოვაკიაში და ჩემმა მეგობარმა მითხრა: "ტომას, რაღაც უნდა ვიღონოთ (მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ გორბანევსკაია წითელ მოედანზე გამოვიდა), მოდი, ტრანსპარანტები დავწეროთ და ქუჩაში გავიდეთ. სირცხვილია". ამ ჩალიჩში ვართ და ტანიამ, ან ტრანსპარანტები, ან მეო. ერთი სიტყვით, მას სრულიად საფუძვლიანად ეშინოდა, რომ დამიჭერდნენ. დავუჯერე და ამით ეროვნული გმირის ტიტულის მოპოვების შანსიც დავკარგე. თუმცა მე და ტანია მაინც დავშორდით ერთმანეთს, ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, ორივე დავოჯახდით და შვილებიც გვეყოლა და მხოლოდ 23 წლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს, როტერდამში. უფროს ქალიშვილთან ერთად ვიყავი იქ. ჩემმა გოგონამ რომ მკითხა, "შენი ძველი girlfriend-ია"-ო, "ჰო, დაახლოებით"-მეთქი. "აი, ქალი, ვინც შენ გჭირდება!" და მეც დავუჯერე ქალიშვილს, რასაც სრულიად არ ვნანობ.

**- თქვენ ეროფეევი ახსენეთ: ესეც ხომ ისტორიაა?**

- რა თქმა უნდა. ერთხელ მოსკოვში ერთ ნაცნობ ქალთან ასვლა დავაპირე, პუშკინსკაიაზე; ფხიზელი ვარ და მივუყვები კიბეს, ამ დროს ვხედავ: კიბეებზე მურდალი ტიპების დიდი კოდლაა ჩამომჯდარი, ბლომად არიან და სვამენ. ვორობიანინოვივით, ვიგრძენი, რომ შეიძლებოდა გავეძუყნე ამ ტიპებს, გამორიცხული არ იყო, ფეხებითაც შემდგომოდნენ. მაგრამ რას ვიზამდი, განწირული ვიყავი, წინ მივიწევ, ამ დროს დგება ამათი ატამანი, სიმპათიური, მაგრამ მურდალი სიფათის კაცი და მეკითხება: "ვინა ხარ?" - "მე ტომას ვენცლოვა ვარ, შენ?" - "მე ვენედიქტ ეროფეევი. მოდი დავლიოთ". ეტყობა, გაგონილი ჰქონდა ჩემს შესახებ, მეც შორიდან ვიცნობდი - "მოსკოვი-პეტუშკი" უკვე დაწერილი იყო. აღმოჩნდა, რომ ესენიც ამ ნაშასთან მიდიოდნენ, მაგრამ არ შეუშვეს, ადგნენ და პირდაპირ კიბეებზე შეუბერეს. მეც, რა თქმა უნდა, მათთან ერთად გავილეშე და ქალთან აღარც ავსულვარ.

**- მახსოვს, ორიოდე წლის წინ კრაკოვში შეგხვდით, პოეტურ ფესტივალზე, სადაც მილოშიც იყო, და აი, რამ გამაკვირვა მაშინ: როცა პოეზიაზე იყო საუბარი, თქვენც და მილოშიც, თითქოს პასიურობდით. პოლიტიკაზე კი გაუთავებლად შეგეძლოთ გესაუბრათ. კი მაგრამ, რატომ? ცოდო არაა პოეზია?**

- მეუხერხულება პოეზიაზე ლაპარაკი და მე მგონი, მილოშსაც იგივე სჭირს. ცოტათი არ გვიყვარს, როცა ამ საქმეს ვუღრმავდებით, განსაკუთრებით კი საჯაროდ. პოლიტიკაზე საუბარი გაცილებით იოლია. თანაც, პოლონეთისა და ლიტვის რეგიონებში პოლიტიკა იმდენად დახლართულია და საინტერესო, რომ მართლაც უსასრულოდ შეგიძლია ამის შესახებ ისაუბრო. ამ რეგიონის ისტორია - სათავგადასავლო რომანივითაა, თანაც ეს რომანი XIV საუკუნიდან იწყება და დღემდე გრძელდება დაუსრულებლად. მეცა და მილოშიც ფანატიურადა ვართ შეყვარებულნი ამ ისტორიაზე - კარგად ვიცნობთ მას და გვიყვარს, როცა ამის შესახებ ვსაუბრობთ.

**- რით ხართ გატაცებული ლიტერატურის გარდა?**

- ძალიან მიყვარს მოგზაურობა. მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მაქვს მოვლილი.

**- ემიგრაციის დროს დაბრუნებაზე ხომ არ გიფიქრიათ? რაიმე სცენარი ხომ არ არსებობდა?**

- თავში ავანტიურული აზრები მიტრიალებდა და საქციელიც ასეთივე მქონდა. მაგალითად, ერთხელ ესტონელმა, ლიტველმა და ლატვიელმა ემიგრანტებმა გემით ბალტიის ზღვაზე გასეირნება მოვაწყვეთ. ამ აქციაში სხვებთან ერთად მონაწილეობას ვლადიმირ ბუკოვსკიც იღებდა და ბევრი სხვა. იდეა შემდეგში მდგომარეობდა, რაც შეიძლება ახლოს უნდა მივსულიყავით კლაიპედასთან, რიგასთან და ტალინთან, გემბანიდან პროკლამაციებიანი ბოთლები უნდა გადაგვეყარა, რადიოთი ვიყავით აღჭურვილები და ა.შ. ერთი სიტყვით, აგიტნაოსნობა იყო დაგეგმილი. ჩერნენკოს დრო იდგა - პერესტროიკის წინა პერიოდი. ჰოდა, როცა სტოკჰოლმში დაქირავებულ გემზე ავედით, TACC-მა განცხადება გააკეთა, რომ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაურობას არ ჰქონდა ტურისტული ხასიათი და რომ იგი ЦРУ-ს მიერ იყო დაგეგმილი; ЦРУ კი, მათი აზრით, იმდენად ვერაგი ორგანიზაციაა, რომ ამბობდნენ, ამ გემს ჩაძირავენ და მერე ყველაფერს საბჭოთა წყალქვეშა ნავებს დააბრალებენო. ასე რომ, ТАСС-ი უფლებამოსილი იყო განეცხადებინა,რომ თუკი გემი ჩაიძირებოდა, საბჭოთა ნავებს ამასთან არანაირი კავშირი არ ექნებოდათ. ამის შემდეგ ბევრი მონაწილე უარზე დადგა. ჩვენ მაინც გამოვცურეთ. რა თქმა უნდა, დროის უდიდესი ნაწილი რესტორანში გავატარეთ, დაახლოებით “ვის უხმობს ზარის” სიტუაცია იყო, ფრანკისტები გვაკლდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არავინ გვესროდა, მაგრამ პერიოდულად ჰაერზე გამოვდიოდით ხოლმე და ვკითხულობდით: “სადაა საბჭოთა ტორპედოები?”

შემდეგ, 1988 წელს, მე ერთ-ერთი პირველი ჩამოვედი ინკოგნიტოდ საბჭოთა კავშირში, ამერიკელთა ჯგუფთან ერთად, ვიყავი პიტერში, გამოფენებზე შევიარე, სადაც ღმერთმა უწყის, რა იყო გამოფენილი - ერთი სიტყვით, ძალიან საინტერესო დრო იყო, ახალი დროება, რაღაცით 1905 წელს ჰგავდა: არ იცი, რით დამთავრდება ყველაფერი ეს, მაგრამ ჯერ საინტერესოდ მიდის. მაშინ სსრკ-დან რაღაც ლიტერატურა გამომქონდა, აეროპორტში ერთი-ორჯერ კინაღამ დავიწვი, მაგრა მეშინოდა, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდი იყო. თუმცა გადავრჩი და ლონდონში ჩამოვფრინდი, სადაც ბი-ბი-სი-ზე უნდა გამოვსულიყავი მოგზაურობის შთაბეჭდილებებით. ლონდონში არასდროს მიცხოვრია, არაა ჩემი ქალაქი, მაგრამ სწორედ იქ, პიკადილიზე მივხვდი პირველად, რომ დასავლელი ადამიანი ვარ: იმიტომ, რომ ტაქსიდან გადმოვედი თუ არა, თავს ვუთხარი: “ღმერთო ჩემო! როგორც იქნა, სახლში ვარ...”

თარგმნა **მათე ჭრავეიშვილმა**

**არილი**



**რენატა შერელიძე**

# სარკის ზედაპირზე



გზა ვაფლის პირსახოცივით ნაზი იყო.

მიწიდან ამოხეთქილი ბალახის სველი ღეროები კაბის კალთებზე ეკვროდა. ხელში ფეხსაცმელები ეჭირა. ჩხვლეტია კენჭებს ვერც გრძნობდა, ისე დაერბილებინა უხმოდ დაფენილ ხამს, ობობას ქსელივით რომ აუბურდა თმა და ახლა წამწამებზე უგროვდებოდა.

- დედი, ნუ წყრები, ნუ წყრები დედი... - სირბილით მიუყვებოდა ხვინჭიანი გზის პირს და იმეორებდა: - არ მინდოდა, - სრუტუნებდა, - რა საზიზღრობაა ეს მშრალი ღვინო. მუცელი ამატკივა. საწოლზე მივწექი, ტკივილს რომ გაევლო და ჩამეძინა. არ გამიწყრე დედი...

შედგა. მოეჩვენა, მინდორზე დაფენილ ფერფლისფერ ნისლში კარმა ისე გაიჭრიალა, თითქოს ძილ-ღვიძილში მყოფი დედაბერი, ეზოში საჭიროებისთვის რომ გამოვიდა, უკან შებრუნდაო.

- დედი, ნუ მიწყრები...

რაზამ მსუბუქად, მაგრამ მკაცრად დაიჩხაკუნა.

- მე... - თვალებიდან ნამი ჩამოიფერთხა და გაჩუმდა. ნისლში მისი დროის კარი იღებოდა და იკეტებოდა, ოღონდ გოგონამ არ იცოდა, წარსული იყო ეს თუ მომავალი. წამის სიდიადეს ვერ აღიქვამდა, რადგანაც სმენას უფრთხობდნენ ხმები; წვრილი, მდორე კრწიალი, ხმაჩახლეჩილი კატის კნავილს რომ ჩამოჰგავდა, უცაბედი გასროლა თუ რაზის ჩხაკუნი.

- ვაი, იესო! - აღმოხდა გოგონას და შეშინებულმა მიმოიხედა. ღვინისაგან უხურდა ცარიელი მუცელი - მოჩვენებითი ბუხარი, უსინათლო და უცეცხლო.

ფრენა მოუნდა. სურდა, გაყინული, უძრავი ჰაერი ხელის მკვეთრი მოძრაობით გაეპო. ფრენას იქნებ გამოესყიდა რაღაც, რაც ჯერ ვერ გაეაზრებინა, მაგრამ გრძნობდა, რომ ის მასში გაყურსულიყო. სახლამდე კი ცოტაღა დარჩა, გადაივლიდა მეზობლის ბოსტანს, სადაც ცისფრად ყვაოდა კარტოფილი და შინ ამოჰყოფდა თავს.

რალა საჭირო იყო ფრენა?

ფეხსალაგთან ქრისტესისხლას ტერფები შეაწმინდა და გაუკვირდა, რომ აქამდე ვერ ამჩნევდა, როგორ მოსდებოდა ეს ბალახი აქაურობას.

ფეხსალაგის შეღებული კარიდან გარეთ იჭრებოდა ნისლზე მუქი ლურჯი კვამლი. მაგრამ მას არც ყალიონის, არც სიგარეტის მძაფრი სუნი არ უგრძვნია. ვის უნდა მოეწია აქ, ახლა, დილის ხუთ საათზე, როცა მზე ჯერ არ ამოწვერილიყო, როცა ხის კენწეროები ცივ ნისლში ირწეოდნენ?!. განავლის სუნიც არ იდგა. განთიადის სილურჯესაც არ სურდა მიწაზე დაშვება.

გოგონამ შეშის საწყობ ფარდულს ჩაურბინა.

სახლის შავი ღრიჭოებიდან გარეთ აღწევდა დიდი ხნის ჩალაგებული ლოგინის სუნი, ქაფურის სპირტის, ოფლით გაჟღენთილი ბამბაზიის სიმძაღე და მძინარეთა მშვიდი სუნთქვა...

ამან დაკრძალვა გაახსენა, როცა გვირგვინებს გამხმარი წიწვები სცვივა და რკინის კარკასი მეჩხერი კბილებით იღიმის. ხოლო სასაფლაოს ყოვლისმშთანთქმელი სილა ყრუ შხრიალით ყლაპავს სასახლის მაქმანებს.

ეს ყველაფერი ჰგავდა დასასრულის მოახლოებას, დასაწყისის თვალყურის მიუდევნებლად.

უამრავი საგანი, ერთი შეხედვით საშინლად ბანალური, პრეტენზიას აცხადებდა დასაწყისზე; კარტოფილის ცისფერი ყვავილები, მზით გადაწითლებული კარის სახელური, ყვითელი ფარსმანდუკები, სარდაფის სარკმელში გაჩრილი კრცხილის წვერისმაგვარი ძენძი, გზის მოსახვევი – გაცოფებული იასამანი, რომლის მიღმა, სიზმარში, ჭვრეტდა, წითელ სამოსში გამოწყობილ ბოსტნის საფრთხობელას აუჩქარებლად, მაღლა რომ სწევდა ჯერ ერთ, ნამდვილ და მერე მეორე, წარმოსახვით, ფეხს და მტვერზე სხვადასხვაგვარ ნაკვალევს ტოვებდა.

და არც ერთი არ იყო არც პირველი და არც ბოლო.

გოგონა ბალახში ჩაჯდა.

ბალახის წამახული წვერები ნემსებივით ესობოდა შიშველ ბარძაყებს.

გოგონას გაეცინა.

ჩხვლეტამ გაახსენა ტერარიუმის მაგვარი საპროცედურო კაბინეტი, სადაც ახალგაზრდა, ლამაზი ქირურგი, რომელიც ელვის პრესლის ჩამოჰგავდა, აპენდიციტის ოპერაციის მერე ძაფებს უღებდა. გოგონას უკვირდა, ქირურგი წარამარა რომ წითლდებოდა. ეგონა, პროფესიონალური გულმოდგინების გამო მოსდიოდა ასე.

ტკიოდა, ისე ტკიოდა, თითქოს ძაფებს კი არა, უწვრილეს ძარღვებს აძრობდნენ. მერე თვალები დახუჭა იმ იმედით, რომ მოხდებოდა სასწაული და ქირურგი ხავერდოვანი ბარიტონით ამღერდებოდა: "Love me tender, love me true". ეს, რასაკვირველია, არაფერს შეცვლიდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა შეჩერებულიყო წამი, ილუზიებს დამონებული.

კოინდარი ზღვის ბალახივით და ნაპირს შერჩენილი უსიცოცხლო შლამივით სველი იყო. მან ხელი გადაუსვა ბალახს და გადააწვინა. ვერ გაერკვია, რა იყო ეს, ლოგინი თუ წყლის მორევი.

მერე მოეჩვენა, რომ სარკის გაყინულ ზედაპირზე იწვა.

ყვითელი ფოთლები ნელი ბორიალით ეფინებოდნენ სარკეს და უხილავი მოცეკვავის ფეხსაცმელებივით უხმოდ დასრიალებდნენ ზედაპირზე. ნელ-ნელა ნესტი აიღეს, დამძიმდნენ და თანდათან დანებდნენ მის სიგლუვეს. სარკე უკვე აღარ ირეკლავდა საგნებს, ის თავად ფლობდა მათ.

საგნებით სავსე მორევი ჩამოჰგავდა ავეჯით გადატვირთულ ოთახს, სადაც დიდი ხანია არავის გადაეწმინდა მტვერი და სადაც ობობას ქსელში გაბმული, გაშეშებული ჩრჩილი ნელა ირხეოდა.

ის გულგრილად შეჰყურებდა ნაპირზე მდგარ საკუთარ თავს, რომელიც აკვირდებოდა, თუ როგორ იძირევდა წყალი სიღრმეში წიგნს. ეს, ალბათ ელიოტის პოეზია იყო. უკვირდა, რალა ელიოტი, საკუთარი არაფერი გაგვაჩნიაო? წიგნს არ უნდოდა ჩაძირვა, თუმცა ფოთლებზე მეტად დამძიმდა. მისი ყდა გონდაკარგული პეპელას ფრთებივით ფარფატებდა. ფსკერის სიღრმეში მკითხველის მკაცრ და მომთხოვნ მზერას ლანდავდა და ეს აშინებდა.

გვერდი იცვალა. იგრძნო საკუთარი სხეულის სიმძიმე და უმაქნისობა.

ესმოდა სიტყვები, რომელსაც საოცრად ნაცნობი ტემბრის ხმა წარმოთქვამდა. მერე კარს ებღაუჭებოდა და ხელისგულში ციცქნა ხიჭვები ესობოდა. თავში კი მექანიკური ჩიტივით ქანქარებდა აზრი, რომ ყველაფერი იყო ლოგიკური და უსამართლო.

ზეწარს ვალერიანის სუნი აღარ უდიოდა. მოკუნტული გრძნობდა, როგორ უჭკნებოდა სხეული და უგუნური ცხოველივით ცახცახებდა.

– დედი, არ გამიწყრე...

მუცელი ისევ ტკიოდა, ოღონდ ღვინისა და არა წინასამშობიარო სპაზმების გამო. ამან ცოტა დაამშვიდა, ტბაში ჯერ კიდევ არ ჩაძირულიყო წიგნი, არც ზეწარს უდიოდა ვალერიანის სუნი. დასასრული არ ჩქარობდა. ის ხავერდოვანი ხმით ღიღინებდა: "Love me tender..."

– უფალო! – ლოგინის სითბოგამოყოლილმა ხელებმა გოგონა წამოსვა. მან დამძიმებული ქუთუთოები ასწია და დედის უკმაყოფილო სახეს წააწყდა. – რა სულელი ხარ! აქ რამ დაგაძინა? ახია შენზე ფილტვების ანთება!

მან გოგონა შეაჯანჯღარა და ღამეული სიზმრები დაურღვია.

– თვალებს ამოვჩიჩქნი იმ ძროხას. ვეღარ გაბედავს დაგათროს და გაგრყვნას. შენც კარგი ვინმე ხარ. რას დაბრძანდები იმასთან?!

შეჯანჯღარებული გოგონა კანკალმა აიტანა, იგრძნო, ჟრიალმა შიშველი ფეხებით ზურგზე ჩაურბინა და შეცბუნებულმა ღიმილით ჩაიჩურჩულა: – ნუ მიწყრები, დედა!

სამზარეულოდან შემწვარი კარტოფილის სუნი აღწევდა. საკვამურიდან გუნდ-გუნდად ამომავალი კვამლი ჩამოჰგავდა აზრს – ჯიუტსა და დაუოკებელს.

დედამ ვედროები აახმაურა. ერთ-ერთში საწური ჩაბრახუნდა.... და გოგონამ სიცივის უკანასკნელ შეხებასავით იგრძნო, როგორ ტოვებდა მოუსვენრად ვიბრაციული ელექტრონული ველი, განცდა, რომ რაღაც იყო და დამთავრდა, გაქრა, გაშორდა, დავიწყებაში ჩაინთქა...

კიბისაკენ გაქანდა, რამდენიმე საფეხურს აახტა და ბოლომდე შეაღო ოთახის კარი.

მძინარეთა სუნთქვა შეიგრძნო.

კარს რომ ხურავდა, ერთხელ კიდევ გახედა საკვამურიდან ამომავალ კვამლს, გაიფიქრა, რომ დედას ძალიან არ გაულანძღავს, ალბათ საღამოსათვის შემოინახა. დაამთქნარა და საგნების შეუმჩნევლად სიზმარში შეაბიჯა.

ამ სიზმარს კი ნაღდად უნდა ჰქონოდა თავისი სითბო, სუნი, ფერი და ისეთივე ხელშესახები უნდა ყოფილიყო, როგორც პაწია ცხოველები, როგორც კარტოფილის ცისფერი ყვავილები, მზით გადაწითლებული კარის სახელური, ყვითელი ფარსმანდუკები, სარდაფის სარკმელში გაჩრილი კრცხილის წვერისმაგვარი ძენძი, გზის მოსახვევი – გაცოფებული იასამანი, რომლის მიღმა, სიზმარში, ჭვრეტდა წითელკაბიან ბოსტნის საფრთხობელას, აუჩქარებლად, მაღლა რომ სწევდა ჯერ ერთ, ნამდვილ, ფეხს და მერე მეორე – წარმოსახვითს – და მტვერზე სხვადასხვაგვარ ნაკვალევს ტოვებდა.

ქარში გაშლილი კაბის კალთებით ის გოგონასკენ მიდიოდა. და გოგონამ იგრძნო: ხელიდან უსხლტებიან პაწია ცხოველები, მირბიან და ტოვებენ მარტოს უკაცრიელი გზის მოსახვევთან.

ლიტვურიდან თარგმნა **ნანა დევიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირუტე იონუშკაიტე

# ნაცრისფერი ქალი




ბირუტე იონუშკაიტე დაიბადა 1959 წელს პოლონეთში, ლიტველი მოსამსახურის ოჯახში. საშუალო სკოლა 1978 წელს დაამთავრა და იმავე წელს ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარა, რომლის დამთავრების შემდეგ პოლონეთში დაბრუნდა და ერთ-ერთ გაზეთში დაიწყო თანამშრომლობა.

მისი პირველი მოთხრობები 1986 წელს დაიბეჭდა. არის მოთხრობების ორი კრებულისა და ორი რომანის ავტორი. მიღებული აქვს ორი ლიტერატურული პრემია.

ეს ქალი ყოველდღე მხვდებოდა. დილაობით სამსახურში მიმავალს, შესვენებაზე - ყავის დასალევად გასულსა თუ კვირა დღეს - ქალაქის ქუჩებში უსაქმოდ მოხეტიალეს.

პატარა, მოქნილი, სხარტი, წრუწუნასავით ერთიანად ნაცრისფერი იყო. ზოგჯერ მიჭირდა მისი ფილაქანისაგან გამორჩევა, ისე ერწყმოდა მის ფერს. მხრებზე ხელოვნურად დახვეული თმის ნაცრისფერი კულულები ეფინა. შუბლზე წინამო ჩამოფშეკოდა.

თავჩაღუნული დადიოდა. ალბათ ამიტომაც გადანაცრისფერებულ, უსიცოცხლო სახეზე ცხვირი, ტუჩები თუ თვალები მძიმედ დაშვებოდა. მამაკაცები გვერდს ისე უვლიდნენ, ვერც კი ამჩნევდნენ. და თუ ვინმე, ფიქრებში წასული, უნებურად გაჰკრავდა მხარს, აზრადაც არ მოსდიოდა მოებოდიშებინა ან ზრდილობის გულისთვის მაინც მოეხედა უკან. დრო და დრო ავედევნებოდი ხოლმე, რომ გამეგო, ასეთი რა სჭირდა?

ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ქალი იყო. ნორმალური სიმაღლის, მოქნილი, სწორფეხებიანი. არც ლამაზი და არც უშნო. არც ძონძებში გამოწყობილი, არც ზედმეტად გადაპრანჭული. ატარებდა მშვიდი, ნაზი ფერის ტანსაცმელს. ზაფხულში კი გაუხდელად ეცვა მოთეთრო-მონაცრისფერო ბლუზა და მუქი ლურჯი ქვედატანი. ჭრელი ტანსაცმელი, მგონი, საერთოდ არ ჰქონდა.

ერთხელაც ქალაქის ცენტრში, გაზეთების ჯიხურთან შევნიშნე, პატარა სკვერში, სადაც თავს იყრიდა ქალაქის უსაქმურთა "ბანდა". აქ ყოველთვის ნახავდით ორ-სამ ლოთს, რომლებიც ერთმანეთს ლოშნიდნენ, მზესუმზირის ჩენჩოს გადაფურთხებაში გაწაფულ ძველ ბიჭებს, რომელთაც თავზე კეპიანი ქუდები დაეკოსებინათ; რკინის კნოპებიან ქურთუკებში გამოწყობილ, ჭუჭყიანი ჯინსის სუნით აქოთებულ პანკებს და ზომაზე მეტად დახატულ, თმაგაწეწილ გოგონებს.

ის ნაცრისფერ ბელურასავით შემკრთალი და შეშინებული დახტოდა სკვერის მუდმივ სტუმრებს შორის. რა უნდოდა აქ? ქალაქში არც თუ დიდად სახელგანთქმულ ადგილას? გადავწყვიტე, იქვე, შორიახლო, ავტობუსის გაჩერებაზე დავმდგარიყავი და ბოლოს და ბოლოს გამეგო რაიმე ნაცრისფერ ქალზე, რომლის ყოველდღე ხილვასაც მივეჩვიე ქალაქის მღელვარე ქუჩებში.

სანამ ჩემთვის ვთხზავდი ათასნაირ ისტორიებს, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ქალის წინ ორმეტრიანი ოყრაყი აღიმართა. მაისური ცისფერ, სპორტულ შარვალში ჰქონდა ჩატანებული. გრძელი ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, ფართო მხრებზე დიდი ხნის შეუკრეჭავი თავი კომბოსტოსავით უქანავებდა. თვალებჩასისხლიანებული, დაკიდებული ულვაშებით ბულდოგს ჩამოჰგავდა. ის კი არ ლაპარაკობდა, თავს აქნევდა და ყეფდა... ამ... ამ... ამ. ქალი ოდნავ გახსნილი, უფერო ბაგეებით წყნარად და მშვიდად აძლევდა პასუხს.

ცნობისმოყვარეობამ მძლია. მივუახლოვდი, ცალი თვალით გაზეთების ჯიხურს ვათვალიერებდი, მეორეთი - იმ უცნაურ წყვილს, ნაცრისფერ წრუწუნასა და ლუდის ბარში გამობრუჟულ ლომს, ვუთვალთვალებდი. სიმთვრალისგან ფეხზე ძლივს იდგა, ჰაერს ეპოტინებოდა და ქანაობდა. წრუწუნა ცდილობდა, როგორმე ხელი წაევლო და ადგილიდან დაეძრა. მის ნაზ, ჰაეროვან გარეგნობაში ვედრება იხატებოდა. გოლიათი ისევ ირწეოდა, აქეთ-იქით იხრებოდა და ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს გაბრაზდა, ხელების ქნევას მოჰყვა და ახლა მარტო მე კი არა, მოშორებით გაჩერებაზე მდგარი მგზავრებიც კი შეაშფოთა იქიდან რუსულ ენაზე დაძრული გინების ნიაღვარმა. რუსულ ენაში ყველაზე პოპულარულ ადგილას ლანძღვა-გინებით გაგზავნილი ქალის ირგვლივ ცნობისმოყვარეებმა შეკრეს წრე: გნიასითა და ხორხოცით მოგროვდნენ პანკები, დაიძრნენ ქალაქის "უმუშევრები", 07, 09, 08 მარკის "ჟიგულის" პატრონები, სენსაციის მოყვარული, დახატული გოგონები. "ნორმალურები" კი ქუჩაში ისე მიმოდიოდნენ, თითქოს ვერც ამჩნევდნენ და ვერც ხედავდნენ, რა ხდებოდა. მაგრამ ყველა ვერ უძლებდა ცდუნებას. ცოტა ხნით მაინც ჩერდებოდა და შესცქეროდა წყვილს, რომელიც საჯაროდ არკვევდა ურთიერთობას. მე ქალაქში ახალი ჩამოსული ვიყავი, თითქმის არავის ვიცნობდი, დიდად არც აქაურ ამბებს დაგიდევდით, სამაგიეროდ ქალაქელები იძიებდნენ ყველაფერს. დარწმუნებული ვარ, ჩემი ვინაობა, ბაბუის ბაბუიდან მამაჩემამდე, ძირის ძირობამდე გამოკვლეული ჰქონდათ. ახლაც ყველანი იმ წყვილს შეჰყურებდნენ. ზოგი თვალებდაჭყეტილი, ზოგი ამრეზით. ზოგიერთი კი, აშკარად მოხიბლული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაკაცური მსუყე გინებით, ვითომც აქ არაფერიიო, არხეინად მიაბიჯებდა თავის გზაზე.

ბოლოს ქალი შეტრიალდა, ერთხელ კიდევ ესროლა სევდიანი, მავედრებელი მზერა კაცს და ნელი ნაბიჯით გაშორდა. კაცმა გინება შეწყვიტა და რაღაცის ბურდღუნით უკან გაჰყვა. გამიკვირდა! თვალებს არ ვუჯერებდი. ასე დამშორდნენ: ჯერ ქალი, ნელი, მომლოდინე ნაბიჯებით, მერე ღვინით გამსკდარი ოყრაყი, რომელიც გაბრაზებული იფურთხებოდა და ნაბიჯის აჩქარებას არ აპირებდა. სულმა წამძლია და ავედევნე. მთელი ძველი უბანი გავიარეთ. საკუთარი სახლებით ჩარიგებულ ქუჩას მივადექით. ცოტა ხნის შემდეგ ქალი ქვის ორსართულიან სახლთან შეჩერდა. ოყრაყიც მიჩანჩალდა.

- მოიცა, რამუნელის, ახლავე! - უთხრა ქალმა, ეზოს კარი შეაღო და იქვე მიმაგრებულ ღილაკს თითი დააჭირა. ამ დროს კი კარებზე გადაკიდებული რამუნელისი მანამ ქანაობდა, სანამ გრძნობა არ დაკარგა და ძირს არ გაიშხლართა. უწმაწური გინების კორიანტელი დაცემის ხმამ შთანთქა. და ასე ცემენტის ბორდიურზე ჩაკეცილი, ზურგით მოღიავებულ კარს მიყრდნობილი დარჩა. სახლიდან შუა ხნის ჭაღარა ქალი გამოვიდა.

- ღმერთო, ღმერთო! - ამოთქვა ქალმა, ხელები ბეღურას ფრთებივით დაიქნია და რამუნელისის გვერდით ჩამოჯდა. ნაცრისფერი ქალიც მას მიჰყვა. ისინი ცდილობდნენ, ფეხზე წამოეყენებინათ კაცი, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეეძლო. როგორც იქნა, მიზანს მიაღწიეს. მაშინ უფროსმა წელზე მოხვია ხელი და მშვიდი საუბრით შინისკენ წაიყვანა. კიბეზე ასვლაში წრუწუნაც დაეხმარა, მაგრამ შინ არ შეჰყოლია. კარი გამოიხურა, სახლის უკან გავიდა და კედელში ჩამაგრებული ონკანი მოუშვა. ისე დიდხანს იბანდა ხელებს, თითქოს დაავიწყდა, რას აკეთებდა. მერე სველი ხელისგულები ისვა და ისვა სახესა და თმებზე, ბოლოს წელში გასწორდა და კარგად მოვლილ ფერად ყვავილებს შორის გაკვალულ ბილიკზე მოკლე, სხარტი ნაბიჯებით წინ და უკან სიარულს მოჰყვა. უცებ გადავწყვიტე, მივალ და ვეტყვი: "სულელო, შე სულელო, რას შვრები? ეს როგორ შეიძლება? ამ გამოლენჩებულ ლოთის გამო თავს როგორ იტანჯავ? იმიტომ, რომ შუა ქალაქში სახალხოდ გაგინოს? მერე სახლამდე რომ ათრიო და დედიკოს მზრუნველობით ჩააბარო? აუცილებლად, აუცილებლად უნდა დაველაპარაკო. უნდა დავარიგო, თვალები ავუხილო. ახალგაზრდა ქალია, ჯერ კიდევ არა უშავს რა... ის კი მოჩვენებასავით მთლად გადანაცრისფერებული დადის. გაგონილა?! აუცილებლად ვეტყვი: "ჩვენ რა, სხვანაირად ვცხოვრობთ? მიმოიხედე. ყველა მეორე ქალი ლოთის გვერდით წევს... "არა, ასე მკაცრად არა"... - "ყველა მეორე ქალი მსმელის გვერდით წევს".. არა, არა ღირს, ორივე ერთი ოხერია... "ხო, ყველა ასეა, მაგრამ ისინი შენსავით ცხვირჩამოშვებულები არ დადიან. პირიქით, იმასაც ახერხებენ, ფეხის ფრჩხილები მოიწესრიგონ. შენ რაღა დაგემართა? რიგიანი ტანსაცმლის ყიდვა არ შეგიძლია?.. დაივარცხნე, დაიხატე, თავი მაღლა და... მიდი! კაფეშიც შეიარე, არც კინო დაიკლო და არც თეატრი. რისთვის ცხოვრობ, იმისთვის, რომ ამ ლოთს სდიო კუდში? ბარემ ბაწარში გაყავი თავი. მე შენ გეტყვი, დიდი დანაკარგი იქნება! მიმოიხედე, უკეთესის პოვნა არ შეიძლება? არა, მაინც რა ჩაიდინე, ჰა. მოაბრძანე, დედიკოს ჩააბარე და ერთგული ძაღლივით ზღურბლზე დაძრწი: "გამოუშვებს თუ არ გამოუშვებს?.. საბრალო, შე საბრალო, შენა..." ხო, იმასაც ვეტყვი... ფიქრი კარის ხმაურმა გამაწყვეტინა. მოხუცმა ქალმა კიბე ჩამოიარა, წრუწუნას მიუახლოვდა, მისი ხელები ხელისგულებში მოიმწყვდია და:

- გმადლობთ, შვილო, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა. - წრუწუნას პაწია ხელებს არ უშვებდა: - შენ რომ არ მყავდე, რა მეშველებოდა, - თვალებზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა. - სხვას არავის უჯერებს. არც მე, არც ლორეტას. თუმცა, ლორეტა მაინც არ წავიდოდა მის მოსაყვანად... შენ, მხოლოდ შენა ხარ ჩემი მშველელი... - მადლიერი მზერა ისევ მიაპყრო წრუწუნას.

- რას ბრძანებთ, რისთვის მიხდით მადლობას, მე რა შუაში ვარ. ნუ ტირით, - წრუწუნამ როგორც იქნა ხელები გაითავისუფლა და მოხუცს მხარზე გადაუსვა. - თუ კიდევ დაგჭირდით, დამირეკეთ, არ მოგერიდოთ, აუცილებლად მოვალ. ღმერთმა ქნას, აღარ დაგჭირდეთ.

- მადლობა ღმერთს, შვილო, რომ მაშინვე ჩაიძინა და მეზობლის აუდრიუსივით ლეწვა-მტვრევას არ მოჰყვა. გმადლობთ, გმადლობთ, ემა, - უთხრა და ხელის ზურგზე გადაუსვა ხელი. მერე შებრუნდა და სახლისკენ წავიდა.

ემამ კარი გამოიხურა და ჩემსკენ გადმოუხვია. არც გავნძრეულვარ. როგორც ვიყავი ხეს ამოფარებული, ასევე გავშეშდი. წელანდელი ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება სადღაც გაქრა. ქალი კი ჩემს წინ იდგა და... დედაო ღვთისავ, ის სულაც არ იყო ნაცრისფერი. დიდი, ღრმა, უსაზღვროდ ლურჯი თვალები ისეთი სინაზით, სითბოთი და სიყვარულით მიმზერდნენ, რომ გაოცებისგან ყბა ჩამომივარდა და დავრჩი ასე ყბამოღრეცილი.

- მოხდა რაიმე? დახმარება ხომ არ გჭირდებათ? ისე შეწუხებული ჩანხართ... - ოდნავ შეატოკა ბაგეები. თვალებიდან დაძრულმა სინათლემ სახეზე თბილი ნიავივით გადამიარა. მსგავსი სხივიანი თვალები ჩემს ცხოვრებაში არ მენახა. - არ მოგერიდოთ, მითხარით თუ გიჭირთ რაიმე. იქნებ შემიძლია დახმარება.

ხმა რომ ვერ ამომაღებინა, კიდევ ერთხელ შემომანათა თავისი სხივიანი თვალები, რომელშიც სიკეთე და ღვთიური სიმტკიცე აღბეჭდოდა. მისი თბილი მზერა ჯერ სახეზე მომელამუნა, მერე მთელ სხეულზე დამიარა. ერთ წუთს კიდევ შეჩერდა, პასუხი რომ არ გავეცი, დახარა უფერო, გრძელი წამწამებით შემორკალული თვალები და გამშორდა: პატარა, კოხტა, მოქნილი, ნაცრისფერი... ცოტაც და მხედველობიდან დამეკარგა, ისე შეერწყა მასავით ნაცრისფერ ფილაქანს.

ლიტვურიდან თარგმნა **ნუცა ჭავჭავაძე**

**არილი**



იურაძე სარინდიძე

# მონატრებული უბრალოება

პროზაული ნაწარმოებები, რომლებიც 96-98 წ.წ.-შია შექმნილი და რომელზედაც აქ ვილაპარაკებთ, ყველაზე უკეთ ასახავს ტენდენციას ლექსიკის შერჩევის სტრატეგიის შეცვლისკენ, ჟანრთა გადაჯგუფებისა და სხვადასხვა სტილის ნოვატორული სიმბიოზისკენ. სერიოზული და ჩაფიქრებული ლიტვური პროზა გამოცოცხლდა, გახდა უფრო მხიარული, გათავისუფლდა და შეფერადდა წარმოსახვა, თავი იჩინა იუმორმა და იდუმალებამ.

სწორედ ასეთ ფონზე გამოჩნდა სხვაგვარი შემოქმედება. პირველ ყოვლისა, ისევ ძველებურად მიმზიდველია დღიურის ჟანრი; კვლავინდებურად ლაკონური და აფორისტულია ბიტე ვილიმაიტეს ნოველისტიკა ("გზას აცდენილი მატარებელი"). მის ორ-სამგვერდიან ნოველებში, სადაც ერთმანეთს ერთვის დეტექტივი და ოჯახური დრამა, სენტიმენტები და სარკაზმი, დასმულია საზოგადოების მდგომარეობის დიაგნოზი. წიგნი ნაძალადევ სიკვდილზეა, რომელმაც პოსტსაბჭოთა არეულ-დარეულობისა და არომტრიალის დროს ბავშვები და მოხუცები იმსხვერპლა. უსახლკარო, გაყინული ბიჭის კუჭში გაკვეთის დროს მხოლოდ მაყალოს პოულობენ. გათავისუფლებული პატიმარი მონაზონ ქალს იმიტომ კლავს, რომ მას ხელთ არა აქვს საწყობის გასაღები, სადაც ქველმოქმედთა მიერ შეგროვილი ნივთებია შენახული. ვილიმაიტეს მიერ შექმნილი ყველა მხატვრული დეტალი არის აშკარა, დაუნდობელი და ამ კრებულში - სურეალისტურიც. აფეთქებული გოგონას თვალები პრეზიდენტს უმზერს: ერთი ბალახიდან, მეორე - ხის კენწეროდან. რადიაქტიულ ზონაში უსაშველოდ გაზრდილი კოლო გოგონას მშობლებს ნთქავს. მოქმედების ადგილს მნიშვნელობა არა აქვს. მწერალი მიგვანიშნებს, რომ განადგურების შლეგური სურვილი ყველაფერს ემუქრება და მთელი გარემო საფრთხეშია. ვილიმაიტემ ლაკონური, შინაგანად ზუსტად გაწონასწორებული ნოველის მოდელი შექმნა და მისმა ორიგინალურმა სტილმა (განსაკუთრებით შედარებებმა) უდაოდ არა ერთსა და ორ პროზაიკოსზე იქონია გავლენა.

იურგა ივანაუსკაიტემ დროულად იგრძნო, რომ პოსტმოდერნიზმის კანონებს ყავლი გასდიოდა და წერის მანერა კარდინალურად შეიცვალა. იგი ერთხანს ინდოეთსა და ტიბეტში ცხოვრობდა და იქიდან დაბრუნებულმა, გამოსცა წიგნი, სადაც მიმოიხილავდა აღმოსავლეთის კულტურას, მოაწყო თავისი ხელით ჩახატული მანდალების გამოფენა. ეს იყო გარემოს გამანადგურებელი გავლენის თავიდან არიდებისა და პიროვნების ინტეგრაციისკენ მიმავალი გზის თვალსაჩინო მაგალითი.

კარლ გუსტავ იუნგი თავის ბიოგ-



რაფიაში წერდა, რომ ყრმობის ასაკში, როდესაც მანდალებს ხატავდა (უნებლიედ), ამით ყველა ღონეს ხმარობდა, შეეღწია ცენტრში - თავის ბუნებაში. და ამას წინათ ივანაუსკაიტემაც საჯაროდ განაცხადა, რომ მას აღარ აინტერესებს არც ბელეტრისტიკა, არც ბოჰემა და მხოლოდ ერთი სურს: იცხოვროს სადმე ბურიატიაში და არატრადიციული მეთოდით განკურნოს ხალხი. საკუთარი შამბალას ამგვარი ძიება ნიშანია პიროვნების სიმწიფისა, - მისი მზაობისა, უარყოს ეგზისტენციალური ამაოება; ეს არის ლტოლვა ჰარმონიისკენ, სიბრძნისკენ, კოსმოგონიური საზრისისკენ, ანუ ყველაფერ იმისკენ, რისი ბატონ-პატრონიც იყვნენ ჩვენი წინაპრები, რომლებიც თავიანთ სოფელს არ გასცდენოდნენ. "სოფელში ერთ დღესაც ვერ გავძლებ", - ამბობდა ერთხანს ივანაუსკაიტე, - ძირძველი ქალაქელი, ინტელიგენტური ოჯახისა და წინაპრების შვილი. სიმშვიდის ოაზისად მისთვის შამბალა იქცა, რომელიც თავდაუზოგავი ძიებით მოიპოვა.

ჰაერში უბრალოების მონატრების სუნი ტრიალებს, ამიტომაც მოსწონს მკითხველს მარტივი, აღმოსავლური პოეზიის დარი, მინიმალისტური ესთეტიკა, - წიგნები, რომელიც გულისხმიერად ეკიდება ყველა არსს, გულისყურით აკვირდება ცხოვრების ნიშნებს და კრძალვითა და მედიტაციით არის სავსე (ნიიოლე მილიაუსკაიტეს პოეზია, ჰენრიკას ჩიგრეუსის ნოველისტიკა, ბირუტე იონუშკაიტეს პროზა). სულ ცოტა ხნის წინ, ცნობილ რეჟისორ ეიმუნტას ნეკროშუსს, "ჰამლეტის" დამდგმელს, რომელიც მკაცრი პოეტიკის მიმდევარია, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში უნებლიედ წამოსცდა, რომ თავი მოაბეზრა ირონიამ და უბრალოება მოენატრა. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ანასტას რამონასის წიგნმა - "სიმშვიდის ბორცვმა", რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა და რომლის სათაურიდანვე - ცალკეული ფრაზებიდან, ესეში ჩადებული სიბრძნიდან - სიმშვიდის მკურნავი სიო უბერავს. ანასტას რამონასი შეიძლება მივაკუთვნოთ ტრადიციულ ავტორებს, რომლებიც ყოველდღიურ ჭირსა თუ ლხინზე წერდნენ, მაგრამ ამასთან ერთად, იგი უაღრესად ეკონომიურად იყენებს სიტყვებს; მისი ნოვატორობის საიდუმლო ლექსიკური სტრუქტურის სიღრმეში დევს და ამიტომაც უცბად არ გხვდებათ თვალში. რამონასის მოთხრობა "წარსული ზაფხულის თეთრი ღრუბლები" - წიგნი, რომელიც ერთი შეხედვით, ცოტა ბანალურიც კია (ქვრეტაში ჩაძირული გმირი ძველ ვილნიუსში დაიარება, შედის პატარ-პატარა კაფეებში, ქალაქის შემოგარენში, ბორცვებზე დაეხეტება), ჯერ კიდევ 1992 წელს აღიარეს საუკეთესო ნაწარმოებად. მოთხრობის აზრია თავისუფალი სულის ემანაცია, - კაცის ყოფა, რომელიც დამოკიდებული არ არის არც იდეოლოგიის ორპირ ქარზე, არც სიმდიდრესა თუ სიღარიბეზე, არც პოლიტიკურ თუ ადამიანურ ვნებათაღელვაზე და არც კარიერაზე. იგი "ფიქრობს და იქცევა ისე, როგორც უნდა". ანასტას რამონასის პროზას "შინაგანი ემიგრაციის" პროზას უწოდებდნენ; მის პროზაში მეტონიმია მეტაფორას ჯაბნის, ხოლო თხრობა არ არის სიტყვაკაზმული, არამედ შესაბამისი და ზუსტია. სულ სხვანაირი, ფსიქიკური რღვევის ზღვარზე მდგარი, გონებააფორიაქებული გმირი გამოჰყავს მას "მიკელეში" - თავის მეორე მოთხრობაში, რომლის სინტაქსსა და თვით თხრობის კილოს აშკარად ეტყობა ბრონიუს რაძივიუჩუსის (მან 90-იან წლებში გაითქვა სახელი და სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც, ლიტველების კერპი იყო) სტილისა და თავად მისი პიროვნების გავლენა. მიკელესი, პოსტსაბჭოთა ცვლილებების შემდეგ, ცხოვრებას ვერ ერგება: მისი აზროვნებისთვის დამახასიათებელია "არქაული" მსოფლმხედველობა; იგი სხვა განზომილებაშია, ენატრება ისტორიული ავთენტიკა - ყველგან და ყველაფერში. ანასტას რამონასი საინტერესო ისტორიულ ნოველებს წერდა, გულმოდგინედ აღადგენდა წარსულის ყველა წვრილმანს (მისი მრწამსი იყო: "ერთი ისტორიული ნოველის დასაწერად არქივებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი წელი უნდა იმუშაო") და აღშფოთებული იყო ხოლმე თავისი კოლეგების ისტორიული დილეტანტიზმით. მწერლის ამგვარი ლტოლვა აღდგენისადმი - ტოტალური დესტრუქციის პირობები, ჩვენ დროში, ფრიად იშვიათია.

რომულდას გრანაუსკასის ესე, "სიტყვის აგონია" - დღევანდელ გაშმაგებულ სწრფვაში ხელაღებით განადგურდეს ყველაფერი - ყველაზე საშიშ მოვლენად სიტყვის დევალვაციას ასახელებს. ბიბლიაზე, ფოლკლორსა და კლასიკურ ლიტერატურაზე აღზრდილ გრანაუსკასს ენატრება ესთეტიკური შეხმატკბილება - ჰარმონია, რომელსაც სიტყვა აღარ ემსახურება. მისი მოთხრობების პირველი კრებული "წითელი ტყეები" ადასტურებს, რომ სემანტიკურად დაყურსული, ნოყიერი ტექსტი არ ძველდება. მეტსაც ვიტყვი, ეს ტექსტი ერთგვარი საბუთია ათწლეულების მანძილზე ლიტვური პროზის განვითარებისა და წარმატებისა. გრანაუსკასი პროზაში არტერიული ჭაბურღილების გათხრის დიდოსტატია: იგი ცოტას წერს, მაგრამ მისი ყველა მოთხრობა, ამბავი თუ ესე უეჭველად მკვიდრდება დიდების კვარცხლბეკზე. ცოტა ხნის წინ გამოვიდა მისი ახალი წიგნი "ცხოველთა საგალობელი". გრანაუსკასის პროზამ მწვერვალს მიაღწია და ცხადია, თავისი ანტიპოდი შვა. ლიტვურ პროზაში ურბანისტული მიმართულება ჩამოყალიბდა.

ახალგაზრდა ავტორები თავგამოდებით ედავებიან ტრადიციებსაც და მამებსაც. ნიჭიერმა ნოველისტმა და კრიტიკოსმა რენატა შერელიტემ გამოსცა მეორე წიგნი "მარის წრე" (პირველი წიგნი "თევზის განაწილება" 1995 წელს გამოიცა). ულიმღამო პროვინციული ცხოვრების სიმძიმილი ("არაფერი ხდება"), მუდამდღე შეზარხოშებული ქალიშვილები, წრეზე სიარულივით მომაბეზრებელი ყოფა, ასეთია ამ ნოველების გმირთა სამყარო, რომელიც ბასრი სტილითა და ბრწყინვალე შედარებებით არის გადმოცემული. ამ ნოველების ყველაზე ტიპიური სათაურია: "ანგელოზი კარტოფილით სავსე ვედროსთან" (ლიტვური პროზის საფუძველთ-საფუძველს - აგროკულტურის მიკერძოებულ ყოფას - მისი მოახლეღა შემორჩა: ალკოჰოლი და ანგელოზის გამოცხადება); მეორე ახალბედა მწერალმა - მარიუს ივაშკიავიჩიუსმა, რომლის იმედიც ლიტვაში ბევრს ჰქონდა, პირველი ნოველების კრებულის ("რის მაქნისია შვილი", 1996) გამოსვლის შემდეგ, ხელი მიჰყო რომანის წერას, რომლის ფრაგმენტებიც პერიოდულ ჟურნალში ქვეყნდებოდა ("ნაწყვეტები მთელიდან"). უნდა ითქვას, ამ ნაწყვეტებში, თხრობა გაცილებით მიმზიდველი ჩანდა, ხოლო როდესაც "მთელი" რომანი გამოიცა ("ამბავი ღრუბლებიდან") აღმოჩნდა, რომ სიტყვამრავალი ტექსტის წაკითხვა სტატიკური თხრობის, ჭარბი დაშიფრული სიმბოლოების, უსაშველოდ მონოტონური, თანაც რიტმული და რაღაცნაირი ნაფლეთი სტილის - ვითომდა "პოეტური პროზის" - გამო, შეუძლებელი იყო. მის რომანში პროზაული ტექსტი ლირიკის მთავარ პრინციპებს იყენებს და აშკარად მის ხარჯზე მუქთახორობს. მ.ივაშკიავიჩიუსი არად აგდებს მკითხველს, ამძიმებს ნაწარმოებს მრავალმნიშვნელოვანი გამოთქმებით, რომელიც მხოლოდ ავტორისთვის არის გასაგები და ამგვარად, ლიტერატურული სასწაული, სამწუხაროდ, არ მოხდა.

გამომსახველობითი ხელოვნების დარად, რომელიც ხელოვნების ალტერნატიული სივრცის მოსაძიებლად დიდიხანია ქუჩაში გავიდა, პროზაულმა სიტყვამაც გადალახა თავისი საზღვარი და შუკებისკენ გაიწია. სლენგმა (ბოჰემურმა, მოზარდულმა), ჟარგონმა, ლიტვურ-სლავური ენების კონგლომერატმა, ბილწსიტყვაობამ, უხეშმა სიტყვებმა, სალაპარაკო ენამ თავისი სინტაქსით ლიტერატურული ენის დაბანილ-დავარცხნილი ნორმატიული ლექსიკა აწენა.

ყველანაირი სტილით მანიპულირება და სიტყვიერი მოდელების გამოყენების უნარი დღესდღეობით მწერლის "ზარისხის ნიშანია" (გავიხსენოთ კუნჩინასი, ერლიცკასი, კასპარავიჩუსი, რომლის ორიგინალური მოთხრობა - "ოთხი დაიკოს ბალი", - სწორედ დამდაბლებური ფაქტურითა და უხეში ლექსიკით გამოირჩევა, რაც "ზალხთა აღრევის" ენობრივი სიტუაციის გამოხატულებაა).

დაბოლოს, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ლიტვურ პროზაში ფეხს იკიდებს უფრო რთული მსოფლმხედველობაც, რომლის გამოსახატავადაც მწერლები თხრობის არაკანონიკურ ფორმებსა და უფრო დაუნდობელ, "დაუბანელ" ლექსიკას ეძიებენ. ამიერიდან თხზვა ნაკლებად არის შემოსაზღვრული, უარყოფილია ტაბუ. მეორე მხრივ, ჟანრთა დიფუზია "დღემოკლე" მწერლებს უფრო შეშვენით, რომლებიც სრულყოფას არ მიელტვიან. ვირუსივით გავრცელდა ესეისტიკა. დროთა განმავლობაში ამან შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ლიტვურ პროზას, რომელსაც ლირიკული სიტყვაკაზმულობის დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ არა აქვს ინტელექტუალური დისციპლინა. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა წავახალისოთ ნაირნაირი ავანგარდი, რათა ლიტერატურის ძარღვი არ გაწყდეს. ახლაც, როგორც მუდამ, შედეგი პირველ ყოვლისა, მწერლის პიროვნების მასშტაბზეა დამოკიდებული.

"ყველანაირი ხელოვნება თამაშს ჰგავს, მაგრამ პროზა ყველაზე მეტად ერთობა ასეთი თამაშებით", ამბობს ლუდას გუტაუსკასი.

თარგმნა **თამარ აბრამიშვილმა**

**არილი**

## რიჩარდას გავიალისი

# ლიტერატურის თვითმკვლელობა

ლიტველი მწერლის დღევანდელი დილა საკმაოდ მძიმეა. ფანჯრებში შეიძლება მზე კაშკაშებდეს, ჰაერი იქნებ არაჩვეულებრივად გამჭვირვალე იყოს, მეზობლები იქნებ ღიმილითა და სიყვარულით ესალმებოდნენ, მაგრამ ლიტველ მწერალს ეს ყველაფერი ვერ შველის, რადგან გაღვიძებისთანავე სიზმრებიდან გამოყოლილი სიმწარე იპყრობს.

დრო და დრო გგონია, რომ ეს სიმწარე ყველაზე ნაღდი რამაა ჩვენს მუხთალ და თავხედ ყოველდღიურობაში, მაგრამ იგი სიზმარშიც ვერ დაბობღავს, რადგანაც ჩვენს მწერლებს უძილობა სჭირთ. იმ ხატებსა და სიუჟეტებს, ღამით რომ აკითხავენ მათ, შეუძლებელია სიზმრები დაერქვას. მათში არც ნამდვილი სურვილია, არც საშინელება, არც კოსმიური საფრთხე და არც სიძულვილი. ღამეული ხატები გულისგამაწვრილებლად ბანალურია. ისეთივე მოსაწყენი ყოველდღიური ისტორიებია, რომლებმაც დღისით უკვე საშინლად მოგაბეზრეს თავი. ეს არაა სიზმრები. ეს ხატში განზავებული უდიდესი ტკივილია, რომელსაც არარაობა შობს. ის ღამით იმუხტება, მერე გაარღვევს ჩვენს კუთვნილ ღამეულ ხატებს, გააქრობს მათ ვერსაცნობამდე. ამახინჯებს ამ ხატების წიაღს. ამოჭრის მათგან მეტაფორას და ტოვებს მხოლოდ ბანალურ გარსს. რჩება მარტოოდენ უდიდესი სიმწარე, მეტაფიზიკური ტკივილი და თვითმკვლელობის სურვილი.

ხშირად დილ-დილობით ეს სიმწარე გულში ტკივილს იწვევს, რადგან ლიტველი მწერალი დღეს უფრო მეტსა და საშინლად სვამს, ვიდრე იმ შემაძრწუნებელ დროებაში. იქნებ იმიტომ, რომ ის დროება მართლაც შემაძრწუნებელი იყო. ეს დროება კი მხოლოდ და მხოლოდ მოსაწყენი, უნამდვილესი სიზმრებია, მარტო მეტაფიზიკური სიმწარითა და თვითმკვლელობის სურვილით აღვსილი.

ლიტველი მწერლები და პოეტები თვითმკვლელობის სურვილს ხმამაღლა და ღიად გამოხატავენ. ლექსი იწერება დაუშიფრავი ტექსტით, რიტუალურად იმეორებენ ინტერვიუებს საზოგადოებრივ საუბრებში, ხოლო ჩონჩხების მოსაწყენ სუფრასთან კი თვითმკვლელობას განიხილავენ, როგორც განვლილ მოვლენას. გასიებული ტუჩებით ბუტბუტებენ სამარესა და მომავალ ხსოვნაზე. სიკვდილთან სურთ დაქორწინება და გულუბრყვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ იმედოვნებენ, რომ ამ ქორწინებიდან მემკვიდრეობით მიიღებენ სიკვდილის შემდგომი ლეგენდის თუნდაც სულ უმნიშვნელო წილს. მიამიტები არიან, რადგანაც არ იციან, რომ ცდებიან. სიკვდილთან ქორწინება ხომ მუდამ მორგანატიკულია და ასეთ ქორწინებაში სუსტ მხარეს მემკვიდრეობაზე არავითარი უფლება არ გააჩნია.

თვითმკვლელობა კვლავ იქცა ლიტერატურული საუბრების მოდურ თემად. რამდენიმე ათეული წლის წინათ ერთი ფრანგი მწერალი აღნიშნავდა - თვითმკვლელობის საკითხი ფილოსოფიის საკუთრებააო. აუცილებლად იკითხე: ღირს კი ცხოვრება იმად, რომ იცოცხლოო? მხოლოდ ამ გზით შეძლებ სამყაროსთან კავშირს და იქ შენი ადგილის მოძიებასო. ასე აზროვნებდა ის ფრანგი ეგზისტენციალისტი. ძალიან ღრმად მოაზროვნე კი იყო.

ფილოსოფიური თვითმკვლელობის პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, გაცილებით ძნელია, შეეწინააღმდეგო სევდას რეალურ თვითმკვლელობაზე, გაექცე ლიტერატურულ ხარაკირს, იმიტომ, რომ ამის შესრულებას ლიტერატურული სამურაის ღირსება, ლიტერატურული ბუშიდოს წმინდა წესები ესაჭიროება. თუკი ლიტერატურის მეომარს ძალა არ შესწევს აღასრულოს თავისი წმიდათაწმიდა მოვალეობები - რჩება მხოლოდ ხარაკირი.

სამწუხაროდ, უბედურება და ტრაგედია ისაა, რომ ვერავინ შეძლო აზრიანად გაეცა პასუხი კითხვაზე: როგორია ან როგორი უნდა იყოს ლიტერატურული ბუშიდოს წესები.

ათი წლის წინ რა წესებით ხელმძღვანელობდნენ, ბევრს არც ახსოვს. მაგრამ ისინი ყველასთვის ნათელი და გასაგები იყო. მაშინ გარკვევით ჩანდა, რა იყო ნაღდი და სუფთა და პირიქით. დაახლოებით მაინც ხვდებოდი, რა გზით უნდა გევლო, თუმცა ის არ იცოდი, სად მიგიყვანდა ეს გზა. მერე კი ყველაფერი საბოლოოდ აირ-დაირია.

მხოლოდ რამდენიმე, ტკივილისგან გატანჯულმა მწერალმა შეამჩნია, რომ ახლოვდებოდა მაგიური იუბილე. პირველი წიგნები, უცენზურო მეტრიკით შვიდი წლის წინ გამოჩნდა. დასანანია, მაგრამ ეს შვიდი წელი ლიტერატურის გამოფიტვის წლები იყო. ფორმალურად და რეალურად თავისუფლებამიღებულმა მწერლებმა ბოლომდე ვერ გაიაზრეს, რა ექნათ მისთვის. გისოსებიდან გათავისუფლებულმა ხელოვნებამ მხოლოდ ერთი რეალური თავისუფლების მოპოვება შეძლო: არ ჰყოლოდა მკითხველი!

ამ შვიდი წლის მანძილზე, ლიტერატურის გამოფიტვის წლებში, წიგნების ტირაჟი მნიშვნელოვნად, თითქმის ათჯერ და მეტადაც შემცირდა.

დღეს ყველაზე მონდომებულ ამერიკულ დეტექტივებსაც კი არ ძალუძთ დაძლიონ იმ ტირაჟის ნახევარი, რომელსაც ათი წლის წინათ ნაკლებად ცნობილი ლიტველი მწერლის უხეირო რომანი ძლევდა. რაღაც დალპა ლიტვის სამეფოში - საფუძლეთა შიგთავსი თუ შეხედულება ბეჭდვით სიტყვაზე? კატასტროფულად დაეცა ყოველკვირეულთა ტირაჟები, მით უფრო წიგნების.

როცა არა სურთ მწერლის წიგნის წაკითხვა, იგი დილიდანვე მეტაფიზიკურ ტკივილს გრძნობს და ვერანაირი რაციონალური ახსნა-განმარტებით ვერ დაარწმუნებთ, რომ ის ამაში დამნაშავე არ არის. არა და მომხდარის გამო, მწერალი მუდამ თავის თავს დებს ბრალს.

მწერალი დამნაშავეა იმაშიც, რომ სამყარო ისეთია, როგორიც არის, არა მარტო დღეს და არა მარტო ლიტვაში. მწერლის ბრალია ისიც, რომ გუშინ

---

**ლიტველი მწერლები და პოეტები თვითმკვლელობის სურვილს ხმამაღლა და ღიად გამოხატავენ. ლექსი იწერება დაუშიფრავი ტექსტით, რიტუალურად იმეორებენ ინტერვიუებს საზოგადოებრივ საუბრებში, ხოლო ჩონჩხების მოსაწყენ სუფრასთან კი თვითმკვლელობას განიხილავენ, როგორც განვლილ მოვლენას. გასიებული ტუჩებით ბუტბუტებენ სამარესა და მომავალ ხსოვნაზე. სიკვდილთან სურთ დაქორწინება და გულუბრყვილოდ იმედოვნებენ, რომ ამ ქორწინებიდან მემკვიდრეობით მიიღებენ სიკვდილის შემდგომი ლეგენდის თუნდაც სულ უმნიშვნელო წილს.**

---

მოხდა ზუსტად ის, რაც გუშინ უნდა მომხდარიყო. ხვალ კი ყველაფერი სხვანაირად შებრუნდება, ისე, როგორც გვგონია და როგორც უნდა შებრუნებულიყო ხვალ. ამიტომაც იგი დილიდანვე თვითმკვლელობის სევდასა და მეტაფიზიკურ ტკივილს გრძნობს. მით უფრო თუ საღამოდანვე კარგად გამოთვრა. სულში საძაგელი გრძნობა ჩაებუდა, გულიც ცუდად გაუხდა ე.ი. ღებინება დააწყებინა. ასეა თუ ისე, ხელები უკანკალებს და ვერ პოულობს ვერც ადგილს, ვერც საქმეს. ენა კი გამუდმებით თვითმკვლელობაზე ბუტბუტებს.

გგონია, რომ თავად ლიტერატურა აპირებს ხარაკირის შესრულებას. არადა, ყველაზე არაეთიკური - ეთიკური თვითმკვლელობაა. უსიამოვნო განცდა გეუფლება, გეჩვენება, რომ თვითონ ლიტვურმა ლიტერატურამ გადაწყვიტა ფილოსოფიის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა: კერძოდ, კი ის, რომ ეგზისტირებას აზრი არა აქვს. ჩვენ კი ყველას, მწერლებსაც და, უფრო მცირერიცხოვან, ჯერ კიდევ მკითხველებს გვევალებოდა, პასუხი გაგვეცა სულ სხვა კითხვაზე: მართლა გვაშინებს კი ლიტერატურის თვითმკვლელობა? ლიტვური ლიტერატურა ნამდვილად გახდება სამურაის მსგავსად ამაყი და თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ცოტა ვინმე სცემს მას პატივს? თუ შეძლებს ღირსების მსხვერპლად მიტანასა და სრულიად სხვა ფასეულობების მოძიებით ჩაებღაუჭოს ცხოვრებას?

ამ კითხვებზე პასუხს თვით ყველაზე დიდი ბრძენიც ვერ გასცემს. ამგვარ კითხვებს დრო პასუხობს, ხოლო თუ მეტად მაღალფარდოვანნი ვიქნებით, შეგვიძლია განვაცხადოთ: ასეთ კითხვებზე პასუხს ლიტერატურის ისტორია იძლევაო.

ასე იწინასწარმეტყველეს ღმერთებმა: ტკივილითა და სევდით ნამთვრალევი მწერლები ლიტერატურის ისტორიის არც თუ ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. სწორედ ამიტომ შეიძლება იმედი გქონდეს, რაკი არც ერთი ისტორია თვითმკვლელობას არ ექვემდებარება და არც ერთს არ დაუმთავრებია თვითმკვლელობით ცხოვრება, ამას არც ლიტვური ლიტერატურის ისტორია იზამს, და მნიშვნელობა არა აქვს, გაანაწყენებს თუ არა ეს ამპარტავან მკითხველს. თანაც თუ ყველა მწერალმა მეტაფიზიკური თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე, მაშინ აუცილებლად გაჩნდებიან სხვები.

სანამ იქნება ლიტვური ენა, იქნება ლიტერატურაც, სანამ ხალხს ექნება ინტერესი - იქნება ამ ლიტერატურის მკითხველიც. დღეს მეტყველების კულტურა უიმედოდ ეცემა, მაგრამ მას უფრო უიმედო, კომიკურ ტერორს მიკუთვნებული, აზროვნების პოლიცია გადაარჩენს.

აზროვნების პროცესი თითქმის არავის აინტერესებს, რადგანაც დღევანდელი ლიტვის აზროვნება არც პოპულარულია და არც მოთხოვნაა მასზე. ისიც სიმართლეა, რომ სწორედ ეს ექაჩება ლიტერატურას თვითმკვლელობისკენ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა სამყაროს დასასრული. ეს მხოლოდ მჭლე ლიტერატურის ეპოქის დასასრულია.

ბიბლია ამტკიცებს, რომ მჭლე ძროხების შვიდწლეულს აუცილებლად მოსდევს მსუქანი ძროხების წლები.

არავითარ შემთხვევაში არ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ეს პროცესი ახლავე იწყება.

"შვიდი წელი" უპირველეს ყოვლისა მეტაფორაა. აკი ბიბლიაც ლიტერატურული ნაწარმოებია.

ლიტვურიდან თარგმნეს
**რუსუდან კაიშაურმა**
**და ირენა ჩემერისმა**

**ბრილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მარცელიუს მარტინაიტისი



* * *

გერმანული ქუჩიდან ვჩანვარ
ჩანს
მე როგორ გამოვდივარ შინიდან
როგორ ვკეტავ კარებს
გავივლი წინაეზოს და ქუჩას -
უდანაშაულო ვარ.

მე ვჩანვარ
ფარდებს მიღმა, საქარე მინის მიღმა
ვიტრინებს მიღმა,
ბავშვის ეტლიდან, სასაუზმედან -
უდანაშაულო ვარ.

მე ვჩანვარ,
მე მხედავს მაწანწალა ძაღლი და მტრედი,
ბოშა ქალი, პოლიციელი, ბაკალავრი, ღვთის გლახა -
უდანაშაულო ვარ.

მე ვჩანვარ
წინიდან, გვერდიდან და უკანიდან:
სანტექნიკოსი თავახდილი ჭიდან
ჩემი ფეხსაცმლის ლანჩებს ათვალიერებს.
ზემოდან კი უღმერთო ცაში გამოკიდული
ერთადერთი ყორანი დამცქერის. -
უდანაშაულო ვარ.

მე ვჩანვარ
საღამოობით, მოპირდაპირე სახლის განათებული
ფანჯრიდან
მაცივრის წინ, მუხლმოდრეკილი,
თითქოს საკურთხეველთან ვლოცულობდე -
უდანაშაულო ვარ.

ჩანს
მე როგორ ვაქრობ სინათლეს
- მთელი დღის ხსოვნას
და როგორ ვეფლობი წყვდიადში -
უდანაშაულო ვარ.

### ვილნიუსის ბაზრობაზე. კაზიუკასი

ვიყიდი კაზიუკასთან
ბაზრობაზე
თეთრ
შაქრით შეფიფქულ სოფლის ეკლესიას,
მეძველმანისგან შევიძენ,
ნაცნობ შარაგზას,
სუფთა წერის რვეულს,
ძველი ბალახით გადაბიბინებულს.

დახლზე ნაირგვარ ტკბილეულთან ერთად
ჩემი სახლიც ძევს
ახლა ეს სახლი კეთილმოსურნეა,
ადრე კი თრთოდა სიბრაზისაგან.

ერთ ასეთ სახლს კალნუიასთვის ვიყიდი -
შოკოლადის ჭით და შაქრის წეროებით
დაწყებითი სკოლის მოსწავლე გოგონათი დამშვენებულს.

ტირიფებს, საბნებს და პირსახოცებს შორის
მოვძებნი სამყურათი მოქსოვილ ქოხმახს,
სავსეს მათრობელ ფუტკრის ბზუილით.
ფირფიტაზე აღბეჭდილ შენი ხმის ხავერდს
მარწყვის გემო აქვს.

მე შენ დაგაბრუნებ ნაცნობ შარაგზით
ქვაფენილზე დავდგამ სამყურათი მოქსოვილ ქოხმახს
ძირს, ბალახზე გავიშხლართებით
და მოვისმენთ იმ ფირფიტას
სადაც სიკვდილით განრიდებულნი
სოფლები ერთად მღერიან წყნარად.

### სამება

ირგვლივ ღია სივრცეა.
მზე იმზირება საშუადღეოდან.
ღმერთი უძრავია.

დღის სინათლეა მხოლოდ
და... სასაფლაო!
სასაფლაოზე დღეა!

ოდნავ რეკს ზარი -
მინდვრები და მდელოები
ქრისტიანობად გადაქცეულან.

სასაფლაო და ლაჟვარდი ლურჯი,
პირნათელია და თან...
უძრავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოველი თრთოლვას,
და უძლური ვარ მკვდრების წინაშე!
არ შემიძლია კვლავაც ქვაძქცევა.

## კეთილსაიმედოობის შესახებ

დედ-მამის ხელშეწყობით
1936 წელს მოვევლინე ქვეყნიერებას.
მას აქეთ არ ვწყვეტ მჭიდრო კავშირს
სინამდვილესთან.
განსაკუთრებით მის იდუმალ კუთხე-კუნჭულთან,
რომელსაც მხოლოდ პოეზია თუ მოიხილავს.

იდუმალწერის მეშვეობით მე ვატყვევებ შეყვარებულებს,
მათ ყოველ ნაბიჯს მზერით ვნუსხავდი.
ვნუსხავდი მათ კანს, ხმის ტემბრსა და კანის ნაკეცებს.

მე მოვიპოვე ნდობა მას აქეთ,
რაც ქვეტექსტი ოსტატურად გამოვიყენე.
ნამდვილ მიზნებს ხომ საფარველი გადავაფარე
მე ბუნების სიყვარულით შთაგონებულმა.
ყოველივე ეს ხდებოდა მუდმივი შფოთის
იჭვისა და ფარისევლობის გარემოცვაში.

პასპორტის ნომერში ჩემი გენეტიკური კოდი ფიქსირდება.
ამ ნიშნით უმალ თუ შემიცნობს უზენაესი.
გენეტიკური ჩემი კოდი წინაპართა საფლავთა შინა
გადანახულა.
ლიტვა, რასეინის რაიონი...
აქ ძევს, გასაღები ყველაფრისა.

მკვდრების სულები შემეწევიან
მფარველები ქალების და მაწანწალების.
მათ დანაშიფრს ლექსებში და სურათებში
ხშირად ვეძებდი.

მე მაქვს კონტაქტები სტოკჰოლმთან, ოსლოსთან
ტალინთან და მოსკოვთან.
(სიტყვა “კუკუტისი” - ტიპიური ჯაშუშური შიფრია)
სასამართლოს ვატყობინებ უტყუარ მისამართებს
და გვარებს.

როგორც თქვენ იცით,
მე საიდუმლო კონტაქტი მქონდა ცხოველებთან -
ამ გზით ვხვეწდი ადამიანებს.
მე ვაწვდიდი მცენარეებს ცნობებს
დაბადების, განვითარების, ზრდის შესახებ.

უკვე გამორკვეულია - იატაკქვეშეთში კარტოფილს
ვმალავდი
ყოველ გაზაფხულს ვინახავ სხვა მცენარეებსაც,
რომლებიც მთვარის შუქს მიელტვიან
მათ მემბრანებზე მკვდრების ხმები აღიბეჭდება.

აი, ამგვარად, ბატონებო
და თუკი სხვა წვრილმანები გაინტერესებთ
მაღალი ღმერთი შეაწუხეთ,
უტყუარი ცნობები ხომ მას გააჩნია.

## ნანგრევებში ნაპოვნი საოჯახო ალბომი

საქორწინო ფოტოსურათი.
სურათი ბავშვთან ერთად გადაღებული.
პირველი კბილის ამოსვლა.
ნატიფი გოგონა.
გაივლის მცირე დრო.
მისი კაბა იატაკს სწვდება.
ყვავილების თაიგული. ზიარება. ეკლესია.
ის უკვე მოზარდია, შეუხედავი,
ენაჭარტალა.
ფორტეპიანოს გაკვეთილები. საბალეტო სკოლა.
ვიოლინო. ინსტრუმენტს მიბჯენილი ნიკაპი.
ჩავარდნილი მკერდი.
ნაზი ყელი. ქალიშვილური სიმწიფე.
გამკვირვებელი მზერა,
თვალები!? ოდნავი ნელსაცხებელი.
მამაკაცი. მაგარი საყელო.
საკურთხეველთან დგანან.
ფატა ამშვენებს.
იგივე ქალი.
უკვე ორნი არიან ბავშვის თანხლებით.
გვერდი ალბომში ამოგლეჯილია.
სხვა სურათში ქალი ასაკმოყრილია.
ბიჭთან და გოგოსთან ერთადაა.
მოწაფური ვინიეტკა.
პოლონელებთან ერთად ტრიბუნასთან.
ამოგლეჯილია.
მამაკაცი გარმონით ხელში.
დევნა. ვიწრო ოთახი. ქორწილი.
ყველაფერი იცვლება.
ჩრდილოური ყინულოვანი ცა, ბარაკები.
იგივე ქალი. სხვა მამაკაცი.
ტყეში გაჭრილი გზა. მორები.
ვაგონი ქალების გუნდი.
ბნელი, უხეიროდ გამჟღავნებული ფოტოები.
ვაჟიშვილი ახალ ფორმაში გამოწყობილი.
ჯარისკაცების რიგი. ახალგათხრილ საფლავთან.
ამოგლეჯილია. ქალების ჯგუფი.
იგივე ქალი ქალიშვილთან ერთად.
სხვა მამაკაცი. ბავშვები ნაძვისხის ირგვლივ.
დიუნებში. ავტომობილის გვერდით.
სხვა მამაკაცია. ამოხეულია.
პირველი ფერადი ფოტოები.
ორი ბერიკაცი. მათ თავზე
კედლის საათი, კალენდარი.
ფოტოგრაფია ჩარჩოშია მოთავსებული.
ამოხეულია.
მოხუცი ქალი მუქ ტანსაცმელშია გამოწყობილი
მარტოდმარტოა. იქვე ფანჯარაა.
ამოხეულია.
ბოლოში კი ცარიელი ფურცლების წყებაა.

თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ ტრევორი

# მისტერ მაკნამარა



ცნობილი ირლანდიელი მწერალი, უილიამ ტრევორ კოქსი 1928 წელს დაიბადა ქალაქ მიტჩელსთაუნში. 1958 წელს გამოვიდა მისი პირველი რომანი "ქცევის წესები", ექვსი წლის შემდეგ კი მეორე, "ძველი ბიჭები", რომელმაც კრიტიკის საყოველთაო აღიარება და ჰოთორნდენის პრემია მოუტანა ავტორს. უკანასკნელი წიგნი, "სიკვდილი შუა ზაფხულში", შარშან გამოვიდა, თუმცა განსაკუთრებული პოპულარობით მისი მოთხრობები სარგებლობს, რომელსაც იგი "The New Yorker"-სა და სხვა ამერიკულ თუ ბრიტანულ ჟურნალებში ბეჭდავს. 1992 წელს მისი მოთხრობების კრებული "The New York Times"-მა წლის ათი საუკეთესო წიგნის სიაში შეიტანა.

- როგორ არის? - იკითხა დედამ. დილის საუზმეს ვუსხედით. იმ დღეს ცამეტი წელი შემისრულდა.

იგი მამას ჩაის უსხამდა უშველებელ მოხატულ ტოლჩაში, რომლის ფსკერსაც ყვავილები ამშვენებდა. ეს ერთადერთი ნივთი იყო კლემეს სერვიზიდან რომ შემორჩა ოჯახს. მამას ჰქონდა აგრეთვე საგანგებოდ შერჩეული დანა და ჩანგალი. დანაც რელიქვია გახლდათ, ჩანგალი კი ამდროული იყო, მაგრამ განსაკუთრებული, ზედმიწევნით გამძლე, რადგან ჩვეულებრივი ჩანგლები მუდამ ხელში ატყდებოდა.

- არის რა, არა უშავს, - მიუგო მამამ, მე ამასობაში მოთმინებით ველოდი, როდის გაახსენდებოდათ ჩემი არსებობა, - მხოლოდ მოხუცებულ დეიდას ისევ მოუარეს ხუშტურებმა.

დედამ გაგებით დაუქნია თავი და ტოლჩა წინ დაუდგა. მერე განაცხადა, ჩემი აზრით, მისტერ მაკნამარას დეიდა კარგა ხანია კლინიკაშია დასაწვენიო. დედა ამას იმეორებდა მუდამ, როცა კი სიტყვა მაკნამარას დეიდაზე, ქრონიკულ ალკოჰოლიკზე, ჩამოვარდებოდა.

დედაჩემი მაღალი ტანთხელი ქალი იყო, მაგრამ ამავე დროს - ძალზე ნაზი. მასში არაფერი იყო მკვეთრი ან კუთხოვანი, ტლანქი ან მძიმე. მონისლული ცისფერი თვალები კეთილად უციმციმებდა, სახე ღიმილისთვის მზად ჰქონდა. მამაჩემი დედაზე კიდევ უფრო მაღალი, მოსული კაცი გახლდათ. მზემოკიდებული სახე ჰქონდა, გამტკიცული პურისფერი მძიმე ხელები და დედასავით ნისლოვანი ცისფერი თვალები. მაღალი შუბლი შეთხელებული თმის გამო კიდევ უფრო ფართო უჩანდა. მშობლები გაგებით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, რაც ძლიერ აახლოებდათ. კამათის დროსაც კი არასოდეს აუწევდნენ ხმას. შეიძლებოდა, ჩვენზე გაჯავრებულიყვნენ, მაგრამ ერთმანეთზე - არასოდეს. დატუქსვითაც შეთანხმებულად გვტუქსავდნენ და ერთნაირი სასჯელით გვსჯიდნენ. რამეს თუ დავაშავებდით, სირცხვილით ვიწვოდით მათ წინაშე.

- მატარებელი კი არა, ნამდვილი საყინულეა, - თქვა მამამ, - ორსაათნახევარი დააგვიანა. საბრალო ფლენეგანს ჩემს მოლოდინში ლამის ფილტვების ანთება დაემართა. მთელი ეს ქვეყანა - განაგრძობდა იგი, - აკლდამასავით სუროთია შესუდრული! - მამა თავისი დანით ჭრიდა ბეკონსა და სოსისს, და დაგემოვნებით შეექცეოდა, თან თავს იქნევდა, თითქოს საკუთარ ფიქრებს ეთანხმებაო - ირლანდია სუროშია ჩაფლული - განაგრძო მერე - მანქანები ანთრაციტზე მუშაობენ, სამხრეთ მაგისტრალზე ვაგონები მაცივრებად იქცა და, იცი მოლი, დუბლინში ამბობენ, ო კონელიზე მალე უცხო ქვეყნების ჯარები დადგებიანო - გერმანელები თუ ინგლისელები - რა განსხვავებაა, დასწყევლოს გამჩენმა!

დედამ გაიღიმა და ამოიოხრა, მამამ კი ჩვენს გასამხიარულებლად მისტერ მაკნამარას მონაყოლი ამბის თხრობა დაიწყო ერთ ნახშირით მოვაჭრეზე. ამ ვაჭარს ცუდად მორგებული კბილის პროთეზი ჰქონია, ერთხელ რინგსენდში ბანაობისას პროთეზი პირიდან გამოვარდნია და წყალში ჩაძირულა.

დუბლინიდან რომ დაბრუნდებოდა ხოლმე, მისი მაკნამარასთან შეხვედრის მერე, მამაჩვენს ყოველთვის მზად ჰქონდა ამისთანა ამბები. არ ავიწყდებოდა აგრეთვე წვრილად გადმოეცა მისტერ მაკნამარას მოსაზრებები ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასა და მის ომში ჩათრევის შესაძლებლობაზე, კარგად ვიცოდით, რომ სიტყვები "დუბლინში ამბობენ", სინამდვილეში ნიშნავდა, რომ ამგვარად სწორედ მისტერ მაკნამარა ამბობდა, ბენზინი რომ დაეზოგა, მისტერ მაკნამარა მანქანას გაზზე ამუშავებდა. გაზი მიიღება ანტრაციდიდან, რომელსაც მისტერ მაკნამარა თავისი რვაცილინდრიანი ფორდის საბარგულში მოთავსებულ სპეციალურ ქურაში ყრისო, გვიხსნიდა მამა.

მისტერ მაკნამარა ხშირად ატანდა მამას ჩვენთვის საჩუქრებს - ნამცხვარს ან შოკოლადის ფილას და გულთბილ მოკითხვასაც აბარებდა. მას ცოლი არ ჰყავდა. ცხოვრობდა მემკვიდრეობით მიღებულ სახლში პალმერ სტოუნის გზაზე, თავის ნათესავებთან, - ალკოჰოლიკ დეიდასთან, დასთან და სიძესთან ერთად. დეიდა დიდი ხანია, სამკურნალო იყო; დას, მისის მატჩეტს, თავისი პრობლემები ჰქონდა. იგი ოდესღაც მსახიობობაზე ოცნებობდა, მაგრამ ქმარმა, ეროვნული ბანკის კლერკმა, აიძულა ეს ოცნება თავიდან ამოეგდო. მამას არასოდეს უნახავს შერეკილი დეიდა, არც მისის მატჩეტი და მისი ქმარი. მის წარმოსახვაში ისინი მაკნამარას მონათხრობით ცოცხლდებოდნენ, ჩვენ კი ჩვენის მხრივ მამასგან ვეცნობოდით მათ და მთელს ოჯახს თითქოს თვალნათლივ ვხედავდით. იქ იყო ბალახის ღეროსავით გალეული მისის მატჩეტი. სიგარეტს სიგარეტზე რომ ეწეოდა და მთელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასეანსებს შლიდა, იყო მისი მეუღლე - ტანდაბალი გაბღენძილი კაცი ფუშფუშა ულვაშით. შეთხელებული თმით და, როგორც მისტერ მაკნამარა ამბობდა, დაჭყლეტილი შუბლით. თვით მისტერ მაკნამარა ისე ნათლად გვედგა თვალწინ, თითქოს ცხადლივ ვხედავდით - ქერათმიანი, სოლიდური, მძიმედ მოძრავი და დინჯად მოსაუბრე. იგი ხშირი სტუმარი გახლდათ ოტელ ფლემინგის ძველმოდური ბარისა, სადაც ტრადიციულად აბოლებდა სიგარეტს, ყნოსავდა ბურნუთს, სვამდა ფინჯან ჩაის, ყავას ან რაიმე უფრო მაგარ სასმელს. მამაჩემი დუბლინში ყოფნისას სწორედ ამ ბარში ხვდებოდა მას. რა ჯობია საქმიანი დღის შემდეგ რბილ სავარძელში მოკალათებას და ძველ მეგობართან ლაყბობას, - გვეტყოდა ხოლმე მამა. ბარში თამბაქოს მსუბუქი კვამლი ტრიალებს, მაკნამარა ზის და ყვება ახალ ამბებს პალმერსტოუნის გზაზე ძველ სახლში მცხოვრებ ადამიანებზე, სპანიელზე, რომელსაც მგელ ტონს ეძახიან, სკიბერენელ მოახლე გოგოზე სახელად კიტი ო□ში. ეს უკვე ტრადიციად იყო ქცეული. მამა აბოლებს და უსმენს. მეორე დილას კი, ჩვენს სოფლის სახლში, საუზმეზე, უკვე ჩვენ ვუსმენთ, მამა კი აბოლებს და გვიამბობს.

ოჯახში ოთხი ბავშვი ვიყავით - მე, ერთადერთი და უფროსი ვაჟი, და ჩემი სამი და. ვცხოვრობდით მამაპაპისეულ სახლში, კარანსბრიჯიდან სამი მილის დაშორებით, სადაც დუბლინიდან მომავალი მატარებელი მხოლოდ მგზავრთა მოთხოვნით ჩერდებოდა. მამას იქ ბეღელი და წისქვილი ჰქონდა. ბენზინის დეფიციტის გამო კარანსბრიჯამდე ფეხით უწევდა სიარული - სამ-სამი მილი აქეთ-იქით. ზოგჯერ ჩვენს მებაღეს ფლენეგანს სთხოვდა, საღამოს ორადგილიანი მცირელიტრაჟიანი მანქანით მიეკითხა მისთვის. დუბლინიდან დაბრუნებულ მამას სადგურზე იგივე ფლენეგანი ხვდებოდა. ხანდახან დილაობით მოტორის გუგუნი ჩამესმოდა, შემდეგ - ბორბლების ხრეშზე გაშხრიალება. რა ბედნიერებაა ისევ შინ ყოფნა - იტყოდა მამა, საუზმეს რომ მივუსხებოდით, ჯერ დედას გადაკოცნიდა, მერე ჩვენ ყველას რიგრიგობით. ამგვარი სცენები უცვლელად მეორდებოდა თითქმის ყოველ თვე. ჯერ გამგზავრება - შემოსასვლელში მდგარი პატარა ჩემოდანი, ტვიდის საგარეო კოსტუმში გამოწყობილი მამა და მანქანის საჭესთან მჯდომი ფლენეგანი. რამდენიმე დღის შემდეგ - შინ დაბრუნება და საუზმე "მისტერ მაკნამარასთან ერთად", როგორც ჩემმა დაიკომ შარლოტამ მოსწრებულად შეარქვა.

ჩვენი ოჯახი გარდასულ დროთა ნაშთი იყო. პროტესტანტები ვიყავით კათოლიკურად მოქცეულ ირლანდიაში. ოდესღაც ძალაც გვქონდა და გავლენაც, მაგრამ დრო შეიცვალა. ძველი ავლადიდებიდან დაგვრჩა მხოლოდ სახლი და ხორბალში აღებული მცირე შემოსავალი. ავტორიტეტი დავკარგეთ. "ეი, მწვანენიფხვიანებო!" - გვიკიჟინებდნენ კარანსბრიჯელ კათოლიკეთა ბავშვები. "წადით, გაიქეცით თქვენს მესაზე, ეშმაკის უკანალში!" - ვუღრენდით პასუხად. ფერი ფერსაო, სწორედ ჩვენზე ითქმოდა. თუმცა მტრობა ყოველთვის როდი მესახებოდა ასე სასტიკად და გადაულახავად. იგი ხან სუსტდებოდა, ხანაც ისევ ძლიერდებოდა. თავისუფლად შეიძლებოდა, ყველაფერი სხვარიგად აწყობილიყო, ამის დასტურად თუნდაც ის კმაროდა, რომ ჩვენს ოჯახში ასე რიგად პატივდებული მისტერ მაკნამარაც კათოლიკე გახლდათ.

ჭეშმარიტი ლიბერალია! - ამბობდა მასზე მამა, - ფანატიზმის ნიშანწყალიც არ სცხია! ოდესმე ირლანდიაში სარწმუნოებრივი განსხვავებები გაუქმდება. ამას ომი მოუღებს ბოლოს, თუმცა ირლანდია ჯერაც არ ჩაბმულა ომში, - ამბობდა მამა, - ომი რომ დამთავრდება, მიუხედავად იმისა, ირლანდია იომებს თუ არა, ჩვენში რელიგიური შუღლი უეჭველად აღმოიფხვრება. მის ამ მოსაზრებებს, ვგონებ, მისტერ მაკნამარაც იზიარებდა.

მთელი ჩემი ბავშვობა ამგვარად გავიდა: დები - შარლოტა, ამელია, ფრანსისი; ურთიერთმოყვარული და გულისხმიერი მშობლები; მებაღე ფლენეგანი, მოახლე ბრიჯიტი; და როგორც გულკეთილი მამისძმა - აჩრდილი მისტერ მაკნა-



მარასი. იყო აგრეთვე მისი შვილი, რომელიც ყოველ დილით ველოსიპედით მოდიოდა და გვამეცადინებდა, რადგან ჩემს მშობლებს კარანსბრიჯის სკოლაში დამკვიდრებული წესები თვალში არ მოსდიოდათ.

ჩვენი სახლი, ფასადიდან თუ შეხედავდი, გეორგიანულ ოთხკუთხედს წარმოადგენდა. აგურის უკანა კედელს სურო ჰქონდა მოდებული და სამზარეულო ეკრა. იქით ბაღი ინყებოდა. სადარბაზო შესასვლელის წინ, ხრეშით მოკირწყლული მცირე მოედნიდან მინდორ-მინდორ მიემართებოდა გზა, რომელიც მილნახევრის იქით, ცხვრის საძოვრებთან ეფარებოდა თვალს. ჩემი დები თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, მე მათი ინტერესები არ მიზიდავდა. შარლოტა ჩემზე ხუთი წლით უმცროსი იყო, ამელიას ექვსი წელი შეუსრულდა, ფრანსისს - ხუთი.

- ეს კაცი ბრწყინვალე ფორმაშია, - ანგარიშს გვაბარებდა მამა საუზმეზე, სწორედ იმ დილას, როცა ცამეტი წლის გავხდი, - რა ჯობია, როცა მთელი დღე ათასი სისულელის სმენით დაღლილი გონიერ კაცთან ერთად ჭიქა ლიმონათით პირს გაისველებ.

ფრანსისმა წაიფხუკუნა. მუდამ იცინოდა, როცა მამა ვისკის "ჭიქა ლიმონათად" მოიხსენებდა ხოლმე. და საერთოდაც, მხიარული გოგონა იყო. ჩემი საჩუქრები კარადაზე ეწყო იმის მოლოდინში, როდის დაამთავრებდა მამა ტრაპეზს და ახალი ამბების თხრობას. პრიორიტეტი რა თქმა უნდა მამას ეკუთვნოდა, თუნდაც იმიტომ, რომ სამი დღე შინ არ ყოფილა, მატარებელში დაიქანცა, გაიყინა და, როგორც ყოველთვის, როცა საუბარი მის დუბლინურ საქმეებს ეხებოდა, რაღაცით უკმაყოფილოც ჩანდა.

დანამდვილებით ვიცოდი, რომ მამამ დუბლინიდან საჩუქარი ჩამომიტანა. ოცი წუთის წინ, სასადილოში რომ შემოდიოდა, ხელში რაღაც შეკვრა დავუნახე. "გილოცავ დაბადების დღეს, შვილო!" - მითხრა და შეკვრა კარადაზე, დების გამზადებულ საჩუქრებს მიუდო გვერდით. მამაჩემის მიერ შემოღებული წესის თანახმად საჩუქრების გახსნა შეიძლებოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც საუზმეს დავამთავრებდით და უკანასკნელ ლუკმას გადავყლაპავდით.

- ირლანდია სუროშია ჩაფლული! - განაგრძობდა მამა - ეს მისტერ მაკნამარას ფრაზაა და ჩვენს ნეიტრალიტეტს ეხება. მამას მიაჩნდა, რომ ირლანდიას უნდა დაეთმო უინსტონ ჩერჩილისათვის და თავის პორტებში ინგლისელი ჯარისკაცები შემოეყვანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პორტებს გერმანელები დაიკავებდნენ, დედა კი მის აზრს არ ეთანხმებოდა. ჰიტლერმა დე ვალერას ტელეგრამა გამოუგზავნა, ბოდიშს იხდიდა ზეთსახდელი ქარხნის შემთხვევით დაბომბვის გამო, რაც თავისთავად საეჭვოდ გამოიყურებოდა. მისტერ მაკნამარამ, რომელსაც აგრეთვე მიაჩნდა, დე ვალერამ პორტები ჩერჩილის განკარგულებაში უნდა გადასცესო, თქვა, გერმანელი ფიურერის ნებისმიერ მშვიდობიან ჟესტს უეჭველად ვანდალიზმის აქტი მოჰყვებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისტერ მაკნამარა, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკე გახლდათ, მოხიბლული იყო ვინძორების სამეფო სახლით და ინგლისელებით.

არ არსებობს მსოფლიოში არისტოკრატია ინგლისელებს რომ შეედრებოდეს, - ამბობდა იგი, - არ არსებობს ინგლისელთა უმაღლეს ფენაზე უფრო კეთილშობილი და სულგრძელი საზოგადოება. ინგლისელთა კლასობრივი ტრადიციები პირდაპირ სანიმუშოა, - ამტკიცებდა მისტერ მაკნამარა.

მამამ ჯიბიდან ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი ამოიღო, თითქოს დათქმული ნიშანი იყო, ჩემი დებიც სკამებიდან წამოხტნენ, კარადასთან გაქანდნენ და საჩუქრები წინ, მაგიდაზე დამილაგეს. მშობლების საჩუქარი დედამ გადმომცა - ეს იყო ორნახევარი ფუტის სიგრძის და რამდენიმე დუიმის სიფართის მქონე შეკვრა, ხელის შეხებით წნელების კონას რომ წააგავდა. სინამდვილეში კი ფრანის კონსტრუქცია გამოდგა. შარლოტამ წიგნი მომიძღვნა, "აბეზარი დიკონი", ამელიამ - კალეიდოსკოპი.

- ფრთხილად გახსენი, - მითხრა ფრენსისმა. მისი საჩუქარი მურაბიანი ქილა მეგონა, მაგრამ არა, - ოქროს თევზი იყო.

- ეს კი მისტერ მაკნამარასაგან, - თქვა მამამ და ყველაზე პატარა შეკრულა დამანახა, - შემთხვევით წამომცდა, დღეს ოჯახში განსაკუთრებული დღე გვაქვს-მეთქი. - ამას კი აღარ ველოდი, რადგან საჩუქრები უკვე ყველამ გადმომცა.

შეკრულა საკმაოდ მძიმე იყო. ვიფიქრე, ალბათ, კალის ჯარისკაცს ან ცხენზე ამხედრებულ მეომარს მჩუქნიან-მეთქი, შევცდი. პატარა და ძალზე კოხტა დრაკონი შემრჩა ხელთ. ოქროსი მეგონა, მაგრამ მამამ მითხრა, თითბერისააო. დრაკონს მწვანე თვალები ჰქონდა, ფრენსისმა თქვა ზურმუხტისააო, ზურგზე ჩამწკრივებული თვლები კი ლალებად მონათლა.

- პატიოსანი თვლები! - დაიჩურჩულა მან.

მამამ გაიცინა და თავი გაიქნია.

- ეს მხოლოდ უბრალო შუშებია, - თქვა მან.

ასეთი ლამაზი სათამაშო არასოდეს მქონია. ვუცქეროდი, როგორ გადადიოდა დრაკონი ხელიდან ხელში მაგიდის ირგვლივ და მოთმინებით ველოდი, როდის მოაღწევდა ჩემამდე.

- უეჭველად მისწერე წერილი მისტერ მაკნამარას, - მითხრა დედამ, - ძალზე კეთილი ადამიანია, - დასძინა მერე და ოდნავშესამჩნევი საყვედურით გადახედა მამას, თითქოს უნდოდა ეთქვა, საჩუქარზე რატომ დათანხმდიო. მამამ დაბნეულად გააქნია თავი და სიგარეტი გააბოლა.

- წერილი მე მომეცი, - მითხრა მერე, - ოთხი დღის შემდეგ ისევ დუბლინში უნდა გავბრუნდე.

მე მივურბენინე დრაკონი ფალენეგანს, ბოსტანში ჭარხალს რომ მარგლიდა და ბრიჯიტს, ჩვენს მოახლეს.



- გაგიმართლა, რაინდო, - მითხრა ფალენეგანმა, დრაკონს მიწით მოთხვრილი ხელებით დასწვდა და შეატრიალშემოატრიალა.

- იმ მაკნამარას, მადლობის ნიშნად, ხუთფურცლიანი წერილი მაინც უნდა მისწერო, - გაიღიმა ბრიჯიტმა და ჩემი დრაკონი საგანგებო საცხით გააპრიალა.

იმ დღეს მომართვეს შოკოლადის ნამცხვარი, სარდინიანი სენდვიჩი, რომელზეც ჭკუას ვკარგავდი, და ჩემი საყვარელი ქლიავის ჯემი. ნაჩაიევს მთელი ოჯახი გარეთ გამოეფინა. გვიცქეროდნენ როგორ გავრბოდით. ბოლოს და ბოლოს ფალენეგანმა იმარჯვა. არასოდეს დამავიწყდება როგორ ვღელავდი დაჭიმულ კანაფს ხელი რომ შევავლე, როგორ გაჰყვიროდა ბრიჯიტი, მსგავსი არაფერი მინახავსო და ითხოვდა, ამიხსენით, რა საჭიროა საერთოდ ფრანიო.

- არ დაგავიწყდეს, ჩემო კარგო, ხვალ დილით მაკნამარასთვის წერილის მიწერა, - გამახსენა დედამ ძილის წინ, ვიდრე მაკოცებდა და მშვიდობის ღამეს მისურვებდა.

- არ დამავიწყდებდა, - შევპირდი, მაგრამ ის კი აღარ მითქვამს, რომ საჩუქრებს შორის, საუცხოო მწვანე-ყვითელი ფრანის ჩათვლით, ყველაზე მეტად დრაკონი მომეწონა. მაგრამ მისტერ მაკნამარას წერილი ველარ მივწერე, რადგან მეორე დღე კოშმარად გვექცა და საღამომდე თვალზე ცრემლი არ შეგვშრობია, ჩვენი სათაყვანო მამა იმ დილით გარდაიცვალა.

ომი გრძელდებოდა, ირლანდია კვლავ ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ შემთხვევითი ბომბი ისევ ჩამოვარდა (და დე ვალერამ გერმანელი ფიურერისაგან ისევ ბოდიშები მიიღო. უინსტონ ჩერჩილი პორტების გამო ისევ ცოფებს ჰყრიდა. თუმცა მაკნამარას წინასწარმეტყველებას, უცხოელი ჯარისკაცები ო□კონელის ქუჩებში მარშით ივლიანო, ასრულება არ ეწერა.

დედა საკერავით ან საქსოვით ხელში უსმენდა ბი-ბისის ახალ ამბებს და თვალები სევდით ენისლებოდა. უამრავი ხალხი იხოცებოდა. არც ერთი ჩვენგანი არ გრძნობდა შვებას იმის გამო, რომ ბედისწერამ სასიკვდილოდ მარტო მამა არ გასწირა.

მისი სიკვდილის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. მე და დედაჩემი ხშირად დავდიოდით სასეირნოდ, მე მისი ხელი მეჭირა და ვგრძნობდი, რასაც განიცდიდა. დედა მიყვებოდა ამბებს მამაზე, ვენეციაში გატარებულ თაფლობის თვეზე, იმაზე, თუ როგორ ისხდნენ უზარმაზარ მოედანზე, შოკოლადს სვამდნენ და მუსიკას უსმენდნენ. მომიყვა, როგორ გაჩნდი ამქვეყნად და მამამ დუბლინში, ლუის ვაინის საიუველირო მაღაზიაში ნაყიდი ქარვისთვლიანი ბეჭედი როგორ უძღვნა. დედა ზოგჯერ იღიმებოდა კიდეც და მეუბნებოდა, ჯერ მხოლოდ ცამეტი წლისა ხარ, მაგრამ უკვე მამაშენის ადგილი გიჭირავს, მომავალში სახლი, წისქვილი და ბელელი შენი იქნება, დაქორწინდები, შვილები გეყოლებათ, მე ამეებზე ფიქრიც კი არ მინდოდა - მსურდა დედა მუდამ ჩემს გვერდით ყოფილიყო, ერთად ვისეირნებდით და ვისაუბრებდით ადამიანზე, ყველას ასე რომ გვაკლდა. ჩვენ ისევ ერთ ოჯახად ვცხოვრობდით - დები, ფლენეგანი ბაღში და ბრიჯიტი. არ მინდოდა ცოლის მოყვანა, არ მინდოდა კიდევ რამე შეცვლილიყო.

მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მისტერ მაკნამარა კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ახლა უკვე სხვაგვარად. პალმერსტოუნის გზაზე მდებარე სახლი, მისტერ მაკნამარას დეიდა, მარტოდმარტო რომ ლოთობდა თავის ოთახში, ქაღალდივით სიფრიფანა მისის მატჩეტი, დილიდან-საღამომდე პასეანსს რომ უჯდა, ნაცვლად იმისა, სცენაზე ებრწყინა, შუბლმიჭყლეტილი მისტერ მატჩეტი, სკიბერენელი კიტი ო□-ში, სპანიელი სახელად ტონ - მგელი, - მამის გარეშეც, მისი ხსოვნის სიმბოლოდ ცხოვრობდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნენ ჩვენს წარმოდგენაში. არ გვავიწყდებოდა ოტელი ფლემინგი, არც პალმერსტოუნის გზაზე მდებარე სახლის მკვიდრთა თავგადასავლები. მე და ჩემი დები ხშირად ვიხსენებდით სასაცილო ამბებს, რომლებსაც ადრე ოტელ ფლემინგში უსმენდა მამა. ერთხელ თურმე მისტერ მაკნამარას დეიდას მოეხუშტურა სახლი მიეყიდა ლუდის ბარში შემხვედრ ვილაც ვიგინდარასთვის. მეორედ, მისის მატჩეტს მოეჩვენა, რომ შეუყვარდა კიტი ო□-შის თაყვანისმცემელი, გარდ მოლოუ, რომელიც ყოველ საღამოს ტელეფონზე ურეკავდა. სპანიელი მანქანის ქვეშ მოყვა, მაგრამ რაღაც სასწაულით გადარჩა. ყველა ეს ეპიზოდი მჭიდროდ უკავშირდებოდა მისტერ მაკნამარას, - ქერათმიან, დარბაისელ კაცს და ოტელ ფლემინგის გაბოლილ ბარს, სადაც შეიძლებოდა დაგესვენა, გეყიდა ბურნუთი, ლიმონათი, ან სულაც - ვისკი.

ერთ დღეს, მამის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დედამ საუზმეზე თქვა, ალბათ, მისტერ მაკნამარა "აირიშ თაიმზში" მამაზე ნეკროლოგს წაიკითხავდაო.

- ოჰ, აუცილებლად უნდა მივწერო წერილი! - მისთვის ჩვეული მღელვარებით წამოიძახა ფრენსისმა.

დედამ თავი გააქნია, მამა და მისტერ მაკნამარა მხოლოდ ბარში ხვდებოდნენ ერთმანეთს, წერილების წერა ჩვევად არ ჰქონდათო. შარლოტა და ამელია შეთანხმდნენ, ფრენსისი კი კვლავ თავისას იმეორებდა. მეც დედის აზრს ვიზიარებდი.

- კი მაგრამ, ის ხომ შოკოლადებს და ნამცხვრებს გვიგზავნიდა, - განაწყენდა ფრენსისი.

დედამ კვლავ გაიმეორა, რომ მისტერ მაკნამარა არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, ვისაც მამის სიკვდილი წერილობით უნდა აცნობო და არც იმ ადამიანთა რიცხვს, ვინც თვითონ მოგწერს საპასუხო წერილს. ჩემი მადლობის წერილზე სიტყვა არავის დაუძრავს. წერილების წერა არ მიყვარდა და კმაყოფილი ვიყავი, რომ არ შემახსენეს.

წლის ბოლოს დუბლინის მთებში დახურულ სასწავლებელში გამაგზავნეს. მის შეილი კვლავ დადიოდა ჩვენთან ველოსიპედით და ჩემს დებს ამეცადინებდა. დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი მასთან, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. პროტესტანტული ტრადიციების მქონე სასწავლებელი ჩემთვის მამამ შეარჩია და ამით ყველაფერი ითქვა, ცოცხალი რომ ყოფილიყო მამა, საქმე სხვანაირად გადაწყდებოდა, მაგრამ მისმა სიკვდილმა კიდევ უფრო გაართულა ჩვენი ცხოვრება. ყველაზე ძნელად მოსაგვარებელი წისქვილისა და ბეღლის პრობლემა იყო, სკოლა ამ პრობლემების მხოლოდ უმნიშვნელო დანამატს წარმოადგენდა. ასე განსაჯა დედამ.

ცნობილი სასწავლებლის დირექტორი ტანმორჩილი, ლოყებღაჟღაჟა მღვდელი აღმოჩნდა. სემესტრის დასაწყისში მისმა ცოლმა მე და კიდევ რამდენიმე ახალი შეგირდი ჩაიზე მიგვიწვია. მოგვართვეს ჩაი, ლიმონიანი სენდვიჩები და ბატენბურგული ღვეზელი. დიასახლისმა, თავით-ფეხებამდე რუხ ტანსაცმელში გამოწყობილმა, მედიდურმა ქალმა, მკითხა, რა გეგმები მქონდა "სამომავლოდ". ბეღელსა და წისქვილს უნდა მივხედო-მეთქი, ვუთხარი და ამის შემდეგ ჩემდამი ინტერესი ერთბაშად დაეკარგა. დირექტორმა გვითხრა, რომ მისი გვარი შეტანილია ცნობარში "ვინ ვინაა". მერე ომზე ვილაპარაკეთ.

მის შეილთან გავლილი გაკვეთილები სასწავლებლისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. "ჩემო კეთილო, საერთოდ ვინმე თუ გამეცადინებდა ფრანგულში?" - მეკითხებოდა მასწავლებელი, განუყრელი ჩიბუხით ხელში, მაგრამ პასუხი არასდროს გამიცია. "ამას ლათინური ჰქვია?!" - ბუზღუნებდა მეორე. მათემატიკის მასწავლებელმა კი გამაფრთხილა, არასოდეს მეფიქრა ისეთ პროფესიაზე, რომელიც ციფრებთან იქნებოდა დაკავშირებული. მე ბოლო მერხზე ვიჯექი სასწავლებლისთვის შეუფერებელი სხვა მოსწავლეების გარემოცვაში.

არ ვიცი, როდის დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მამაჩემი. შესაძლოა ეს მოხდა სასწავლებელში მისვლიდან წლის ან წელიწადნახევრის მერე. ნუთუ მამასაც ჩემსავით უჭირდა სწავლა? - ვეკითხებოდი საკუთარ თავს - ნუთუ რომელიმე ჩიბუხიანი მასწავლებელი ასევე აბუჩად იგდებდა მის ნიჭსა და უნარს ენების სწავლაში? ნუთუ მასაც თავზარს სცემდნენ ალგებრული ამოცანები? აუცილებლად უნდა გაერკვე ამ ციფრებში! - ვუმტკიცებდი ჩემს თავს - უეჭველად უნდა გაერკვე, წისქვილისა და ბეღლის პატრონობას თუ აპირებ!

დედაჩემს ვეკითხებოდი, მამას მათემატიკა თუ ეხერხებოდა-მეთქი. ის კი იბნეოდა და მპასუხობდა, რომ დანამდვილებით ვერ იტყვის, მაგრამ მისი აზრით, მამა მაინცდამაინც დიდი მათემატიკოსი არ უნდა ყოფილიყო. კიდევ და კიდევ ვეკითხებოდი. მაშინ კი დედა იცინოდა და მპასუხობდა - ძალა და მონდომება არ უნდა დაიშუროო.

მაგრამ რაც უფრო ვცდილობდი გულისყური ციფრებზე შემეჩერებინა, რაც უფრო მეტს ვფიქრობდი ჩემს ადგილზე ცხოვრებაში, მით უფრო მეძალებოდა ცნობისმოყვარეობა - მაინც როგორი კაცი უნდა ყოფილიყო მამაჩემი.

არდადეგებზე, შინ რომ დავბრუნდი, მე და დედა ადრინდელივით დავდიოდით სასეირნოდ, ბაღს გადავჭრიდით, გავდიოდით მინდორში იქვე, ღობიდანვე რომ იწყებოდა და მივყვებოდით გზას მდინარისკენ, მაგრამ დედაჩემი ახლა უფრო იშვიათად ლაპარაკობდა მამაზე, რადგან ყველაფერი უკვე ითქვა, გამეორება კი არ გვინდოდა. მე ცხადად წარმომედგინა უზარმაზარი მოედანი ვენეციაში, ტაძარი და ქუჩის მუსიკოსები კაფესთან. დედაჩემისა და მამას შეხვედრები ქორწინებამდე თუ მას შემდეგ და ათასობით სხვა წვრილმანი თუ მსხვილმანი.

ჩვენ ახლა მდუმარედ დავსეირნობდით ან მე ვლაპარაკობდი, დედა კი მისმენდა. ვიხსენებდი გზას დუბლინის მთებისკენ, სასწავლებლის დერეფნების სურნელს, ტანდაბალ დირექტორს, რომელიც მაღალკალორიული საკვების მიღებას გვაიძულებდა. ვუყვებოდი დედას, როგორ ვეწეოდით ამერიკულ სიგარეტებს საგანგებოდ საამისოდ აგებულ, ფურთხით მოთხვრილ ფარდულში, როგორ ვიგონებდით სულელურ გასართობებს, რომ როგორმე დაგვეძლია სასწავლებელში გამეფებული ერთფეროვნება. ვიხსენებდი ჩვენს აღმზრდელს, მისტერ დინგლს, ვისაც ჩვევად ჰქონდა გამოეკითხა ახლად მოსული მოსწავლეებისათვის, რა ფერის ღამის პერანგებს ატარებდნენ მათი დედები. ჩვეულებრივ, ეს დაკითხვები ხდებოდა სასადილო ოთახში, რომელსაც კედლებზე მუხის პანელები ეფარა და წლების მანძილზე ჭერში შეხორხლილი ჭვარტლის გამო, დამწვარი ზეთის სუნით ყარდა. მისტერ დინგლი უჯდა ხოლმე მაგიდას, სადაც ტრაპეზობდნენ ყველაზე უმცროსები და ხარბად აცქერდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, სანამ მათი მონათხრობით თავისი ფანტაზიებისთვის ახალ საზრდოს არ მიიღებდა. როცა დედები შვილების სანახავად ჩამოდიოდნენ, სიგარეტის ბოლში გახვეული მისტერ დინგლი თვალებით ხვრეტდა მათ ბლუზებსა და კაბებს და ცდილობდა წარმოედგინა ისინი შვილების მიერ აღწერილ ღამის პერანგებში. სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებელში გვყავდა მეორე აღმზრდელიც, მეტსახელად ამენ-წებოვანი, რომელზეც ამბობდნენ, რომ გადაჭარბებულ ინტერესს იჩენდა ახლომდებარე გორებზე შეფენილი ცხვრების მიმართ. იყო კიდევ ერთი ბიჭი, ყველანი იესო-ჰაკეტს რომ ეძახდნენ, რადგან ერთხელ აღიარა, მამაღმერთის უმცროსი შვილი ვარო. სასადილოში მათთვის განკუთვნილ მაგიდასთან ისხდნენ წინამძღვარი, დირექტორი და მსახურთუფროსი - უზარმაზარი, შავით მოსილი ფიგურა, მათთვის კერძები მიჰქონდა მოახლეს, როგორც ამბობდნენ, მსახურთუფროსის უკანონო შვილს, რომელსაც გასაჯავრებლად მანას ვეძახდით. გვყავდა კიდევ მეიჯორი, მეტსახელად თევზი, რომელიც ტანს არასდროს იბანდა და ახმახი, რომელსაც ფეხები ტკიოდა და რაღაც სუსტი მჟავით უშედეგოდ მკურნალობდა. დედა ყურადღებით მისმენდა. მის თვალებში რამდენჯერმე შევნიშნე ის ნაპერწკალი, ადრე რომ უჩნდებოდა, როცა მამა მისტერ მაკნამარას ამბებს მოგვითხრობდა ხოლმე საუზმობისას.

- როგორ ჰგავხარ მამაშენს, - მითხრა ერთხელ და გაიღიმა.

ჩემს თავს წარმოვიდგენდი ხოლმე კარანსბრიჯის წისქვილის ზედა სართულზე, მამის პაწაწინა კაბინეტში, ახლა მისტერ მაიერსს რომ ეჭირა. იგი დედამ დაიქირავა ჩვენი ოჯახის საქმეების გასაძღოლად. მე ოთახში მიმოვდიოდი, ხელით ვეხებოდი საგნებს, ოდესღაც მამას რომ ეკუთვნოდა, ვათვალიერებდი მის ფოტოსურათებს, ჩემს დებთან და ფალენეგანთან ერთად რამდენჯერმე ავუშვი ფრანი, მამამ ოდესღაც დუბლინიდან რომ ჩამომიტანა და გაუთავებლად ვაპრიალებდი მისტერ მაკნამარას მიერ დაბადების დღეზე ნაჩუქარ დრაკონს.

"შენ ბიჭს აჩუქე დაბადების დღეზე", - ჩამესმოდა ოტელ "ფლემინგის" გაბოლილ ბარში წარმოთქმული ეს სიტყვები და ვხედავდი, როგორ წაიღო მისტერ მაკნამარამ ჯიბისკენ ხელი და დრაკონი ამოაცოცა. დარწმუნებული ვიყავი, ადრე თუ გვიან მივაკვლევდი ოტელ "ფლემინგს".

- დღეს ბიძაჩემი დუბლინში იქნება სერ, - ვუთხარი ერთხელ ჩვენს ტანდაბალ დირექტორს.

- გავლით? როგორ თუ გავლით? - დირექტორი სიტყვებს სოფლურად უქცევდა, თან ცხვირში ოდნავ დუდღუნებდა. - რას ნიშნავს გავლით? - ყოველ სიტყვას იგი ერთი-ორ ზედმეტ ხმოვანს უმატებდა.

- გოლუეიში მიემგზავრება, სერ, ავიაციაში მსახურობს, სერ, თუ შეიძლება, ვინახულებ, რადგან მამაჩემი...

- კი, კი, რა თქმა უნდა. ოღონდ საღამოს ლოცვისთვის დაბრუნდი, თუ შეიძლება.

"ოტელი "ფლემინგი" - ამოვიკითხე ტელეფონების წიგნში, - უილერის ქუჩა, 21". მთებიდან ველოსიპედით დავეშვი, წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა უნდა მეკეთებინა იქ.

ეს იყო ვიწრო, ოთხსართულიანი სახლი, სხვა შენობებისგან არაფრით გამოირჩეოდა. ულიმღამო რუხი ფასადი ჰქონდა. გამოხუნებული ფანჯრის ჩარჩოები საღებავს ითხოვდა. მინის პორტიკი ძალზე ჭუჭყიანი ჩანდა. დამტვერილ მინაზე თეთრი ემალის ასოებით იყო გამოყვანილი "ოტელი ფლემინგი". ოტელს ორჯერ ავუარ-ჩავუარე ველოსიპედით. ვიჭყიტებოდი ფანჯრებსა და კარის ღიობში. სულ თორმეტი ფანჯარა იყო - ყოველ მწკრივში ოთხ-ოთხი. ზემოთ და ზემოთ ფანჯრები ვიწროვდებოდა, კარებში არავინ ჩანდა. ველოსიპედი ოტელისგან მოშორებით, საბაყლოს პირდაპირ დავაყენე. ფარდულის ვიტრინაში მსხლები გამოეფინათ. შევედი და ერთი ცალი ვიყიდე. მერე ისევ გავუყევი გზას და არხის სანაპირომდე გავედი. ქუჩა აქ მთავრდებოდა. ნელ-ნელა შევჭამე მსხალი, მოვიხადე სასწავლებლის მწვანე-წითელი ქუდი და ისევ ოტელისკენ მოვბრუნდი... ხელის კვრით შევაღე კარი თუ არა, ერთი წამით მამაჩემის ხმა ჩამესმა: იგი ხელახლა მიხატავდა ოტელის დაბალჭერიან გაბოლილ ჰოლს, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს, მორიგის მაღალ დახლს ზედ გადაშლილი წიგნით და სპილენძის პატარა ზანზალაკით, ჰოლში კი ყავისფერი ტყავის სავარძლები იდგა. კედლის გასწვრივ - იმავე ფერის ტყავგადაკრული მერხი...

გაზის ლამპები მკრთალად ანათებდა იქაურობას და თუმცა ჯერ ოთხი საათიც არ შესრულებულიყო, ჰოლში საკმაოდ ბნელოდა. ირგვლივ სიცარიელე და მდუმარება გამეფებულიყო. ისმოდა კედელთან მიდგმული მაღალი საათის წიკწიკი, ნაკვერცხლების ტკაცატკუცი, რაღაც წვნიანის სუნი იდგა. ეს იყო ყველაზე ლამაზი და მყუდრო ჰოლი, რაც კი ოდესმე მენახა.

ჰოლის უკანა მხარეს, კედლის ღიობიდან კიდევ ერთი ბუხარი შევნიშნე. იქ უნდა ყოფილიყო ბარი, სადაც მამა და მისტერ მაკნამარა ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. რატომღაც მეგონა, რომ მისტერ მაკნამარა ახლაც იქ დაგხვდებოდა, წარმოვიდგინე, როგორ გაივლიდა მამა ჰოლს, მეც ისე გავიარე. ბარიც ჰოლს წააგავდა; ისეთივე დაბალი ჭერი, ტყავის სავარძლები, ტყავგადაკრული მერხი, გაზის ლამპების ციმციმი, ორ ფანჯარაზე დაწნული შტორები ეკიდა. ერთ-ერთ კედელს დახლი ჩასდევდა ზედ ჩამწკრივებული სკამებით. ბუხართან ქალი იჯდა და მომცრო ჭიქით ნარინჯისფერ სასმელს სვამდა. დახლს უკან თეთრპიჯაკიანი მამაკაცი "დამოუკიდებელ ირლანდიას" კითხულობდა.

მე შევჩერდი ღიობთან, ბარს ჰოლისაგან რომ ჰყოფდა. ძალზე მცირეწლოვანი ვიყავი საიმისოდ, რომ ბარში შესვლის უფლება მქონოდა. არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი, რა მეთქვა ან რა უნდა შემეკვეთა; არც ის ვიცოდი, რამდენად უმწიფრად გამოვიყურებოდი გაზის ლამპების მკრთალ შუქზე. დახლისკენ გავაბიჯე, მამაკაცს გაზეთისთვის თვალი არ მოუშორებია. "სმიტვიკი", ამოვიკითხე ერთ-ერთი ბოთლის ეტიკეტზე. კეთილი, "სმიტვიკი" შევუკვეთოთ, მხოლოდ ერთი სურვილი მქონდა, აქედან არავის ვეფრინე. საშუალება მოეცათ, მაგიდას მივჯდომოდი, კათხა ლუდი დამელია და მამაზე მეფიქრა. მისტერ მაკნამარა აუცილებლად მოვა. დღეს თუ არა, სხვა დროს მაინც. ფრენსისი მართალი იყო - წერილი უნდა მიმეწერა მისთვის. მე თვითონ უნდა გამეგზავნა წერილი და საჩუქრისთვის მადლობა მეთქვა.

- საღამო მშვიდობისა, - მითხრა ბარმენმა.

- "სმიტვიკი" თუ შეიძლება, - ვუთხარი რაც კი შემეძლო გულგრილად. ელის საფასურზე წარმოდგენაც არ მქონდა. ათი შილინგი დავდე დახლზე.

- ლიმონი დაგიმატოთ, სერ?

- ლიმონი? კი, დიახ. თუ შეიძლება, დიდი მადლობა.

- დღეს ქარიანი დღეა, - თქვა ბარმენმა.

ავიღე ჭიქა, ხურდა და ქალისგან მოშორებით დავჯექი, იმგვარად, რომ ერთდროულად თვალწინ მქონოდა დახლიცა და ბარში შემოსასვლელიც, რათა მისტერ მაკნამარას მოსვლა არ გამომპარვოდა. ექვსი საათისთვის აქედან უნდა წავსულიყავი, რომ ლოცვაზე არ დამგვიანებოდა. ჭიქა დავცალე, ჯიბიდან კონვერტი ამოვიღე და შევუდექი ბიბლიიდან პატარ-პატარა სურათების ხატვას, როგორც ოდესღაც მისის შეილიმ გვასწავლა. შემდეგ ჭიქით ხელში ისევ დახლთან მივედი და კიდევ ერთი "სმიტვიკი" მოვითხოვე. ბარმენს ფერმკრთალი, ავადმყოფური სახე და ძალზე წვრილი კისერი ჰქონდა. ცხვირზე მავთულის სათვალე ედგა.

- ყველაფერი საუკეთესო გიყვართ, არა? - მკითხა რაღაც აცეტებული ტონით, ჩანდა, ვიღაცას ბაძავდა, - ჩიტის რძე, - განაგრძო იმავე ხმით, - და ჩიტის ჟელე-ლუქსი... - მამა საუბრისას ზოგჯერ ახსენებდა ამ ბარმენს, მას ჩვევად ჰქონდა, სიტყვასიტყვით გაემეორებინა რადიოში გაგონილი რეკლამები, - თქვენ ყველაფერი საუკეთესო გიყვართ, ხომ ასეა? - გაიმეორა კვლავ და ლუდიანი ჭიქა ჩემსკენ მოაჩოჩა. ბუხართან მჯდარმა ქალმა წყვეტილი ბგერა გამოსცა, თითქოს მოწონების ნიშნად ჩაიცინაო. მე ზრდილობიანად გავიღიმე.

ჩემს ადგილას რომ დავბრუნდი, შევნიშნე, ქალი პირდაპირ მომჩერებოდა, ვიფიქრე, ალბათ მეძავი თუა, თორემ ბარში მარტოკას რა უნდა-მეთქი. ერთი ბიჭი, გვარად იიტსი ამბობდა, მეძავები სადგურზე ან სანაპიროებზე უნდა ეძებოო, მაგრამ რა დაუშლიდა ერთ-ერთ მათგანს, ბარშიც შემოსულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა, მეძავის კვალობაზე ქალს ძალზე სადად ეცვა, გვერდით სკამზე კი ბეწვგამოდებული ლაბადა გადაეფინა. მუქთმიანი ქალი ოვალური სახით. ვერაფრით მივხვდი, რა ასაკის უნდა ყოფილიყო. ალბათ, ასე, ოცდაათიდან ორმოც წლამდე. ყოველთვის მიჭირდა ადამიანის წლოვანების გამოცნობა.

"ზმიტვიკმა" თავი შემახსენა. სიცილი მომეძალა. კაი ამბავი იქნება, ეს ქალი პირდაპირ აქ, მამაჩემის და მისტერ მაკნამარას ოტელში რომ ამეკიდოს-მეთქი; ხომ შეიძლება, მეძავს სადა ტანისამოსი სცმოდა? იქნებ ეს კოსტიუმი სხვა ტანსაცმელზე ძვირადაც კი ფასობდეს. სულელურად ვიღიმებოდი და სიცილის შეკავებას ვცდილობდი. ბუნებრივია, მამას ერთხელაც არ უხსენებია, რომ ოტელში ზოგჯერ მეძავებიც შემოდიან. ცოცხალი რომ ყოფილიყო, დედისა და დების უჩუმრად უთუოდ ყველაფერს მეტყოდა; კარგი მამები, ჩვეულებრივ, ამისთანა რამეებს არ უმალავენ ვაჟიშვილებს.

კონვერტიდან წერილი ამოვიღე და გავშალე. საქმე კარგად მიდის, მწერდა დედა. მისის შეილი გაცივდა. შარლოტას და ამელიას გადაწყვეტილი აქვთ, რომ გაიზრდებიან, ცხენები მოაშენონ. ფრენსისმა ჯერ არ იცის, რას გააკეთებს. ფალენეგანი რევმატიზმმა გატანჯა და ბაღში მუშაობა უჭირს. ბრიჯიტმა ყველანი დაარწმუნა, რომ ბუხარი სასადილოში უნდა იქნეს გადატანილი. ბედნიერი შობა მოგველის, - მწერდა დედა, - საშობაოდ ყველანი ისევ ერთად ვიქნებით, რამხელა სიხარულია!

ოვალურსახიანმა ქალმა ლაბადა ჩაიცვა და სულ ახლოს ჩამიარა. გავლისას თავი დახარა, გაიღიმა.

- გიხაროდენ! - ვმღეროდით მოსწავლეები იმავე საღამოს ლოცვაზე, - იმღერეთ მთებო და ველებო!

მე ელის სუნი ამდიოდა, ეს ზუსტად ვიცოდი, რადგან რამდენიმე ბიჭმა პირდაპირ მითხრა, როდესაც მონასტრის ეზოში ლოცვისთვის ვეწყობოდით, პირს რომ ვაღებდი, სუნი უფრო მძაფრდებოდა.

- ნამდვილი ლუდის კასრი ხარ, - დაასკვნა გაჰან მაინორმა.

- აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, - დუდღუნით წელავდა ტანმორჩილი დირექტორი.

მე მომწონდა შაბათი საღამოები. წირვის შემდეგ შედარებით თავისუფლები ვიყავით. მხოლოდ მორიგე აღმზრდელისთვის უნდა გვეთქვა, სად იქნებოდი, შეგეძლო წასულიყავი ფოტოსახელოსნოში ან ბიბლიოთეკაში, გეკამათა ვთქვათ, იმაზე, არის თუ არა ჩვენი მასწავლებელი ბრიტანული იმპერიის საყრდენი. შეგეძლო ბილიარდი გეთამაშა, შესულიყავი სახელოსნოში ან მუსიკალური ინსტრუმენტების ოთახში, ათის ნახევრისთვის უფრო მეტი თავისუფლება გვეძლეოდა და მორიგე აღმზრდელი უკვე აღარ იყო ვალდებული სცოდნოდა, რას ვაკეთებდით. ბიჭების უმრავლესობა ამ დროს ეწეოდა.

იმ საღამოს, ოტელ "ფლემინგიდან" და ლოცვიდან დაბრუნების შემდეგ, ბიბლიოთეკაში წავედი. ვკითხულობდი "ჯეინ ეირს", მაგრამ ოვალურსახიანი ქალი თავიდან არ მშორდებოდა. ერთხანს დამაცქერდებოდა, მერე ქრებოდა და ცოტა ხანში ისევ თვალწინ მედგა. მთელი ის დრო, სანამ წიგნს ჩავცქეეროდი, ქალი კიდევ და კიდევ სულ ახლოს ჩაუვლიდა ჩემს მაგიდას, თავს გადმოხრიდა და მიღიმოდა.

სემესტრი დასრულდა. თეატრ "ექვს სცენაში" მაკბეტი დადგეს. ა.მ.პ.ჯეკსონი სასწაულებს ახდენდა და, როგორც ყველამ შენიშნა, მისი წყალობით სპექტაკლი "ზანკოში" დადგმულს არაფრით ჩამოუვარდებოდა. ვილაცამ ამწაპნა გრეის მეინორთან სპეციალურად მატარებელში საკითხავად ნაყიდი წიგნი სათაურით "ივენსი, რატომაც არა?" დრომგულას და მონტგომერის შუაღამისას საშხაპეში წაასწრეს პრივატულ საუბარში გართულებს.

შინისკენ გამგზავრებულს ვერაფრით დამევიწყებინა ოტელი "ფლემინგი". კუპეში თანამგზავრმა "ვარიეტე" მათხოვა, მაგრამ ოხუნჯობებმა ვერ გამართო. სიმართლე გალიზიანებელი, დამცინავი და მოუხელთებელი იყო. იგი თავს არ მანებებდა იმ დღიდან, რაც ოტელი ვიპოვე, რაც იმ ქალის მზერას გადავაწყდი. იგი თან მდევდა გამუდმებით. ყოველ დღე და ყოველ ღამე, როცა სასწავლებელში ჩემს ვიწრო და ულიმღამო ოთახში ძილგამკრთალი ვიწექი. მამის ხმა კვლავ და კვლავ მიყვებოდა ამბებს მეგობრის ცხოვრებიდან, ან იმეორებდა მის შეხედულებებს სხვადასხვა თემაზე. როდესაც დედა იტყოდა, დე ვალერამ პორტები ჩერჩილს უნდა დაუთმოსო, მამა ეწინააღმდეგებოდა, რადგან ამ საკითხში მეგობრის მოსაზრებას იზიარებდა. სასწავლებელში, შინისკენ მგზავრობისას და შინაც კი სიმართლე გულს მიფორიაქებდა, ციებიანივით მახვევდა თავბრუს.

შობა დილით ერთმანეთს საჩუქრები დავურიგეთ და მამისეული ადათის თანახმად, დიდხანს ვუსხედით სუფრას. ყველანი მამაზე ფიქრობდნენ, მხოლოდ ჩემი ფიქრები იყო განსხვავებული.

- ოი, რა სილამაზეა, - წაიჩურჩულა დედამ. იგი აღტაცებით დასცქეროდა მძივებს, დუბლინიდან საჩუქრად რომ ჩამოვუტანე. ჩემთვის ადრე ნაჩუქარი მწვანეთვალებიანი დრაკონი კი სასწავლებლის ახლოს ტბორში მოვისროლე, რადგან ვერ გამეგო, როგორ შეეძლო მამას ეს სათამაშო ჩვენს სახლში მოეტანა, ან როგორ შეეძლო შოკოლადი და ნამცხვრები - სხვა ქალის გამოგზავნილი საჩუქრები ბავშვებისთვის დაერიგებინა მათივე დედის თვალწინ. ამაზე უარესი რაღა უნდა ექნა. ნუთუ ის არ კმაროდა, რომ გაუთავებლად ცხვირში გვჩრიდა იმ ქალისა და მისი ექსცენტრული ოჯახის - დის, სიძის, ლოთი დეიდის, მოახლის, ძაღლის ამბებს. "ნორმა მაკნამარა" - თითქოს ჩამესმოდა დუბლინელი ბარმენის სიტყვები, აქვე, ჩვენს სამზარეულოში თქმული. თითქოს ვხედავდი, როგორ ისხდნენ მამა და ის ქალი ოტელის მყუდრო ბარში და როგორ მოუთხრობდა ქალი პალმერსტოუნის გზაზე მდებარე სახლის ამბებს. ეუბნებოდა, როგორ ეთაყვანება ინგლისურ არისტოკრატიას. ვუმზერდი მოღიმარ დედას და მინდოდა მეთქვა მისთვის მთელი სიმართლე და ისიც, რომ მიხაროდა, რომ მამა მოკვდა.

ნაცვლად ამისა, წამოვდექი და ჩემი ოთახისკენ გავემართე. იქ ცრემლი მოვიწმინდე, სურა მოვაპირქვავე და სახე ცივი წყლით ჩამოვიბანე. მძაგდა მამაჩემიც და მისი ხსოვნაც. მან ყველაფერი გაანადგურა და ამიტომ აღარ შემეძლო მყვარებოდა. არც მიფიქრია, რომ იგი მხოლოდ ცდილობდა თავისი სიყვარულის მოზიარენი გავეხადეთ. ჩვენს ცხოვრებაში შემოეყვანა ადამიანი, რომელიც განსხვავებულად უყვარდა. არა ისე, როგორც ჩვენ. ვერ შევძელი ვერც გაგება და ვერც პატიება. ვგრძნობდი მხოლოდ მწარე სამდურავს იმის გამო, ახლა უკვე მე, მის ვაჟიშვილს უნდა დამეკავებინა მამის ადგილი. უნდა გავმხდარიყავი მისი ტყუილის გამგრძელებელი, რათა ყველასგან საიდუმლოდ შემენახა მისი სიცრუე და პირფერობა.

თარგმნა ეთერ თვარაძე

პრილი



ზაზა ფაჩუაშვილი

# სპექტაკლი ქართლის გულში

## მარწყვის ცივი ტორტი



გორის გიორგი ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

პიესის ავტორი - ალექსანდრე ქორქაშვილი
დამდგმელი რეჟისორი - გულსუნდა სიხარულიძე
რეჟისორი - დათო ნიკოლაძე
მხატვარი - პოპუტა ქართველიშვილი
მუსიკალური გაფორმება - რევაზ კვიცარიძე
პირველი მაცივარი - თეოდორა
მეორე მაცივარი - საშიკო
მესამე მაცივარი - ზილბერტი
მეოთხე მაცივარი - ვეტერანი
ფარებიანი ჯალათების შავი ბრახუნა რაზმი

*მოქმედება ხდება ერთ ოთახში, სადაც მუშა მდგომარეობაში მყოფ მაცივრებს, მათი ნების საწინააღმდეგოდ, დროებით ყრიან და შემდეგ სათითაოდ გააქვთ და შლიან. საკუთარი თავის ამომცნობი და ბედის შემხედვარე დარბაზი იყინება, თუმცა იძულებულია, აღფრთოვანება გამოხატოს და რაც ძალი და ღონე აქვს, ტაში დაუკრას. ეს წინააღმდეგობა პარადოქსულ გამოხატულებას ჰპოვებს, რისი გადმოცემაც შეუძლებელია.*

*ამიტომ მივილე ჩემი ანარეკლის დახმარება.*

### როცა ანარეკლი მოდის

**აზაზ:** - დავიწყოთ წერა?!

**ზაზა:** - ააა, ეს შენ ხარ, უკულმართო?! შენთან კაიფის თავი არა მაქვს.

**აზაზ:** - რა კაიფი, დაგეხმარები, ძმაო, ისე არაფერი გამოგივა.

**ზაზა:** - წადი, რა, გაიარე.

**აზაზ:** - იცოდე, ამ წერილს ელოდებიან, შენ კი სპექტაკლის ბოლოს იმ მაცივრებივით რომ დაიშალე და დღემდე ვერ გამთლიანებულხარ, უჩემოდ "ასეჩკა" მოგივა.

**ზაზა:** - დავიშალე არა, კიდევ რას მოიგონებ?

**აზაზ:** - აბა, ტაშს რატომ ვერ უკრავდი? ტახიკარდია რატომ დაგეწყო? ხმა რატომ ჩაგივარდა?

**ზაზა:** - ვწერდი და სურათებს ვიღებდი, ტაში როგორ უნდა დამეკრა, შე...

**აზაზ:** - საკუთარი ანარეკლი გინდა, მომატყუო?

**ზაზა:** - ბოლოს ტაში ხომ დავუკარი?

**აზაზ:** - ეგ ტაში კი არა, უგრძნობი ხელების დამახსოვრებული მოძრაობა იყო სიცოცხლის ამოსაქაჩად. რას გამომაპარებ, მე თვითონ კინაღამ დამბრიდე იმ დროს, როცა შენს თავს აღარ ჰგავდი.

**ზაზა:** - მოგეცა სალაპარაკო!..

**აზაზ:** - ოღონდ, არ დამემუქრო, სარკეში აღარ ჩავიხედავო. მესმის, მოდაში ცივი გონებაა, უნევროზოდ ცრემლების გადმოყრა გამოსერიალების ნიშანია, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ადამიანს ჯერ კიდევ მოჰყვება ინერციით სინაზე და როგორც კი ის რეაქციაში შედის მოვარდნილ ემოციასთან, ეკლებს იმტვრევს და ყვავილდება. მერე შედედებულ უხეშობას აფხვიერებს, სურნელით რწყავს და ზურგის ტვინიდან ამოჰყავს თესლები ბურძგვლის, ხორკლის, ყრუანტელის, ცრემლის და... ბოლოს ყელის ბურთსაც ურტყამს წკიპურტს და ცხრიანში ჭედავს.

**ზაზა:** - გოოოლ!.. იმიტომაც ტიროდნენ ქალები დარბაზიდან გასვლისას.

**აზაზ:** - და ნადგურდებოდნენ კაცები, თავში ნიფხვის ჩარტყმით რომ გაალვიძეს და ტაშიც დააკვრევინეს თავიანთი, თურმე, ობიანი ბედის ნატურალური სცენური ანარეკლისთვის, რომელიც მათ საამაყო თავისუფლებას მოჩვენების ზეწარს აცმევდა, ხოლო გაათლეტებულ უსუსურობას გაფართოებულ თვალის გუგებში ტენიდა.

**ზაზა:** - შოკში ვარდები, როცა თეატრში სპექტაკლის საყურებლად მისულს ნერვებამდე გაშიშვლებენ და საკუთარი უგონო ყოფის სარკეში გახედებენ, თანაც გახვედრებენ, რომ ეს არ არის მრუდე სარკე, სამწუხაროდ და მაშველი რგოლივით გჭირდება იმედი.

**აზაზ:** - არის იმედი, ოღონდ, თავიდან მივყვეთ.

### თეოდორა

სცენაზე დიდი ხმაურით შემოდის ბრახუნა რაზმი და ტოვებს პირველ მაცივარს, ქათქათა თეოდორას, რომელიც ამბობს:

**- მე ვმუშაობ და სრულ წესრიგში ვარ, ჩემო სამშობლო მხარეო,** - და "ა" ბგერას უშვებს ისეთი ხმით, რომელიც ოპერას შეგაჯავრებს, - **რატომ ვარ მე აქ? აქაურობა არ მომწონს, მსურს დამაბრუნონ ჩემს სამზარეულოში... თუ უმოკლეს ვადაში არ შეიცვლება ჩემი მდგომარეობა, იძულებული ვიქნები, ვაღიარო, რომ მიღალატეს... მე არ ვიმსახურებ ღალატს, პროფესიონალი ვარ, სრულყოფილი ვარ, ლამაზი ვარ,** - ყველა ეს ფრაზა მიაქვს გამჭოლ სტვენას.

### საშიკო

ბრახუნა რაზმის მეორე გამოსვლა და... სცენაზე გდია მოუვლელი მაცივარი, ბრჭყვიალა შავი თათრული სამოსით გაჯჯართებული საშიკო. ფითქინა თეოდორა სამალავიდან ძვრება და კითხულობს, ეს ჯართი ვინღააო. საშიკო გაიბრეჭდანსებს, წამოხტება და უპასუხებს, მეც ვმუშაობ, თუმცა სრულ წესრიგში არა ვარო. მათი გადიალოგარშიყება და ხასიათების გამოკვეთა მთავრდება საშიკოს ნეტარების წამებით. ეს არის ავტოსექსი. საშიკო იკლაკნება და საკუთარ თავთან კმაყოფილდება (თეოდორა გვერდიდან გულშემატკივრობს და მორცხვად კისკისებს).

მაცივრები ყოველნაირად აქტიურები არიან.

მოგვიანებით ნეტარების წამები თეოდორასაც აკივლებს, მაგრამ მანამდე მას აინტერესებს, სად არის და რატომ არის:

- საშიკო, აქ რატომ ვართ?
- ეს კარგი ადგილია!
- ვერ ხვდები, რომ პატრონმა გვიღალატა?
- ე.ი. ღალატი კარგი ყოფილა.
- შენ ღალატის გამო შეურაცხყოფილი არა ხარ?! -



სამჯერ იკითხა თეოდორამ და სამჯერვე უარყოფითი პასუხი მიიღო.

სიტუაციამ საშიკოსგან აუცილებელი განმარტება მოითხოვა:

- ისეთ პატარა სამზარეულოში ვიყავი, კარებსაც ვერ ვაღებდი, მხარი ახლაც მტკივა. პატრონი გამოაღებდა, შიგ ვერაფერს ნახავდა და წიხლით მხურავდა (მე ხომ არ მოვუტანდი საჭმელს!). სულ შეურაცხყოფილი ვიყავი. არც კი მასუფთავებდა. აქ კი ამხელა ადგილია, - საშიკომ კატეგორიულად განაცხადა, რომ პატრონთან აღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ უცნობი დარჩა პასუხი კითხვაზე, სად და რატომ იმყოფებოდნენ სიცოცხლით სავსე მაცივრები.

## ზილბერტი

ბრახუნა რაზმის მორიგ ტვინის წამლებ გამოსვლას გასტრონომის მაცივარი ზილბერტი ეწირება. ეს არის ანგარიშიანი გაურყვნელი მუშაკაცი, რომელმაც არ იცის, რას ნიშნავს ქალის მიერ ვალის ნატურით გადახდა. მას არც ნეტარების წამები განუცდია (ზილბერტს, როგორც ყველა დიდ მაცივარს, დროდადრო გამთიშავი თვითრეგულატორი არა აქვს, განუწყვეტლივ მუშაობს და შესაბამისად, არც ნეტარების წამებს განიცდის, განსხვავებით საოჯახო მაცივრებისგან, რომლებიც სწორედ გათიშვის დროს ნეტარებენ) და არც პატრონის ღალატი უგრძვნია. სჯერა, რომ მისი ყოფილი მფლობელი ვაჭარი ალბერტი მალე მოიტანს მწვანე პროდუქტს და ზილბერტიში შეინახავს. ამიტომ ზილბერტი განუწყვეტლივ დგდგ-ობს, მაშინ, როცა მისი პატრონი ალბერტი განუწყვეტლივ ტყტყობს. ამას ადასტურებს ზილბერტის მონაყოლი და ვეტერანი მაცივრის მოგონებაც.

## ვეტერანი

ბრახუნა რაზმის ხმაური თანდათანობით ხშირდება და იზრდება. მისი მეოთხე გამოსვლისას კი სცენაზე ვეტერანი მაცივარი გორდება. წლების მიუხედავად, ვეტერანი შრომისუნარიანია და ნეტარების წამებსაც განიცდის. იგი საკმაოდ განსწავლულია, მაგრამ არც მან იცის, სად და რისთვის მოათავსეს.

აღმოჩნდება, რომ თეოდორას, ზილბერტს და ვეტერანს ერთი და იგივე პატრონი ჰყავდა - ალბერტი, რომელსაც სახლში თეოდორა ედგა, სამსახურში - ზილბერტი, საღრეობოდ ნაყიდ ბინაში - ვეტერანი. მერე სამივე გამოცვალა.

## მაცივრის ფუნქცია

პიესა ზუსტად არის გათვლილი მაცივრებზე. თავიდან შეიძლება იფიქრო, რატომ მაცივრები და არა, მაგალითად, სარეცხი მანქანები, ან მტვერსასრუტები, მაგრამ შემდეგ რწმუნდები, რომ ჩვენი საყოფაცხოვრებო თანამგზავრებიდან ვერცერთი იტყვის ჩვენ სათქმელს ისე, როგორც ბედის მაჩვენებელი ეს თეთრი ყუთები.

სხვათა შორის, ქართველებს იმდენი გაფუჭებადი რამე გვაქვს ცივად შესანახი, ეროვნული ფესვებიდან დაწყებული კეწერო ყლორტებით დამთავრებული, რომ მაცივრის ფუნქციის შეძენა თითოეული ჩვენგანის საშვილიშვილო ვალი გამხდარა, მაგრამ არც ეს ყოფილა საკმარისი. მაცივარი რომ "გახდები", თურმე, ომს მერე გიწყებენ. ჯერ გაურკვეველ ოთახში გამწყვდევენ და თუ ერთმანეთი არ მივასიკვდილეთ, მერე სათითაოდ მონელებას დაგვიწყებენ. სწორედ ამას გვიპიესებენ სცენაზე, სადაც მოქმედება ხდება ოთახში, რომელიც გვაგონებს ჩვენი ახალი ისტორიის სხვადასხვა დროშის ოთხ კედელს და მასში მოდერეფნებულ ხალხს.

## ოთახი

ოთახი, სადაც მაცივრებს ყრიან, გაურკვეველი და მიუღებელია, მაგრამ ცხოვრება იქაც შეიძლება. ამიტომ აუტანელია, რომ ბრახუნა ჯარი არც ამ ოთახში ასვენებს მაცივრებს, რომლებიც ხმაურის გაგონებაზე შიშიფეთებით იმალებიან. იბერება ყვირილის სურვილი, რომ აქ მაინც ამოასუნთქონ საცოდავი მაცივრები, რომლებმაც, საუბედუროდ არ იციან, რა უყონ თავსდამტყდარ თავისუფლებას, თორემ იმ ჯარსაც დედას უტირებდნენ.

სამწუხაროდ, მაცივრების მოქმედებიდან და საუბრიდან მხოლოდ ის ჩანს, რომ ბრძოლაზე არავინ ფიქრობს. ისინი წარსულს მისტირიან და ახალ პატრონს ელოდებიან, ნეტარების წამებით ტკბებიან და ერთმანეთს ექიშპებიან, კეტით დარბიან და ავტომატს ისვრიან, ზოგჯერ თამაშობენ კიდეც, მაგრამ ბრძოლის სურვილს არ გამოთქვამენ, თუმცა შიგადაშიგ ბღავიან თავისი მდგომარეობით.

საშიკოს სასოწარკვეთილი კითხვა, გამაგებინეთ, აქ რა მინდაო, ზილბერტის დამაწყნარებელი ღრიალით მთავრდება, ხომ ხედავთ, ჯერ კიდევ ოთახში ხართ და არა სანაგვეზეო.

თეოდორა და ვეტერანი სიმღერით ამბობენ, ცარიელზე მუშაობა არ არის კარგი ჩვენი ჯანმრთელობისთვისო და ზილბერტის წყობიდან გამოსვლამდე იმეორებენ. ბოლოს მისი ყვირილი წყვეტს დუეტს, ცოცხლები რომ ხართ, ეგეც საკმარისია, მორჩით წუწუნსო.

## თეოდორას გასიკვდილება

სანამ მაცივრები დროს ტყუილად კარგავდნენ, ბრახუნა რაზმი თავის საქმეში ბეჯითობდა და მთელი სპექტაკლის განმავლობაში ოთახის გარეთ ისე დაბრახუნობდა, რომ ბოლოს ზილბერტსაც უმტყუნეს ნერვებმა:

- ხომ ხედავენ, რომ კარგად ვმუშაობთ, მეტი რაღა უნდათ!

- მაინც, რას გვიპირებენ, ა?! - ავისმომასწავებლად აჰყვა მას საშიკო.

რაზმი შემოდის და მაცივარი თეოდორა გააქვს. ისმის თეოდორას ოცნება, მე მივდივარ და ისევ ამავსებენ ჩემს ლამაზ სამზარეულოში და ისევე

პოლიტიკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცხოვრებ, როგორც ამ უცნაურ დღემდე. თეოდორა გადის, სევდა შემოდის.

### ჩვენ თქვენ გხოცავთ

რაზმის ბრახუნი უჩვეულოდ მალე განმეორდა და ამჯერად გვერდზე არ ჩაუვლია, ოთახში შემოვიდა და პატარა დაშლილი მაცივარი შემოაგდო. ზილბერტი თავისი მუშური მიხვედრილობით დაასკვნის, ამას კარგი ნაწილები ექნებოდა და იმიტომ დაშალესო. ვეტერანი მოთქვამს:

- მოკლეს ახალგაზრდა, ლამაზი, ვის ხელში ვართ, ა?!

ისინი, ვის ხელშიც არიან მაცივრები, პირდაპირ ხოცვაზე გადავიდნენ და თავისი სერიოზული განაზრახი საქვეყნოდ გამოაჩინეს პატარა მაცივრის მკვლელობით. ვეტერანი ყველაზე ნასწავლი და გამოცდილია, მაგრამ გლოვის მეტი არაფერი შეუძლია. ის კიდევ ერთ რამეს ახერხებს, როცა მის წასაყვანადაც მოვლენ. ხუმრობით ნუგეშობს, მე, ალბათ, ისეთი ბედი არ მიწერია, როგორც საბრალო თეოდორასო.

### ბოლო მონოლოგი

რაზმის მორიგმა შემოსვლამ ზილბერტი გააქრო. სიკვდილის მარტო ლოდინის საშინელი ბედი ერგო საშიკოს, რომელმაც თავის დროზე ყველაზე ხმამაღლა იკითხა, სად ვართ და აქ რა გვინდაო.

საშიკო: **- ჩვენ ვერ გავიგეთ, აქ რატომ ვიყავით. არც იმათ იციან, სად არიან, რას აკეთებენ. თუმცა, როგორ არ იციან, თითქოს არ იციან. არის და თითქოს არც არის. თეოდორა იმიტომ დაშალეს, რომ ახალგაზრდა იყო. ვეტერანი იმიტომ დაშალეს, რომ ძველი იყო. ზილბერტი იმიტომ დაშალეს, რომ ხომ უნდა დაეშალათ ოდესმე და ეს ოდესმე მოვიდა!**

საშიკო იხდის, სიკვდილისთვის ემზადება. ჯარი შემოდის, მის უკან დგება.

**- დამაბრუნეთ ჩემს პატრონთან,** - იხვეწება საშიკო, მაგრამ მერე ჯარის გაღიზიანებას ერიდება და უფრო ზოგად თხოვნას ბედავს, **- სადაც გინდათ, იქ წამიყვანეთ, მე ყველგან ვიმუშავებ, მე ძალიან პატარა ადგილი მჭირდება, მწვანილებსაც შე-ვი-ნა-ხავ!** - ეს იყო საშიკოს ორმაგი კაპიტულაცია და არავითარი ბრძოლა. ოღონდ არ დაშალონ და იგი მზადაა, დაუბრუნდეს საზიზღარ პატრონს და შეინახოს მწვანილები, რისთვისაც ზილბერტს ხეპრეს ეძახდა.

დაშალეს მაინც და დარბაზს მოადგნენ.

### დარბაზი - მეხუთე მაცივარი

**ზაზა:** - საშიკოს მერე დარბაზის ჯერიც დადგა. სისხლით გამაძღარი და მადაზე მოსული ჯარი დაბნეულ დარბაზს შეესია და ფარებიდან არეკლილი პროჟექტორების სხივით აჩეხა.

**აზაზ:** - ეს, ალბათ, უფრო გათიშული, თავდაცვის და ბრძოლის უუნარო დარბაზი იყო, რომელსაც იმუნიტეტი დაურღვია მაცივრების კურდღლობამ და სცენიდან გადმოსულმა განწირულობის გრძნობამ.

**ზაზა:** - ბრწყინვალე რეჟისურას და არტისტობას, აპლოდისმენტები რომ არ ეიძულებინათ, დასერილი დარბაზის რეანიმაციას სასწრაფო დახმარება დასჭირდებოდა.

**აზაზ:** - მე ველაპარაკე სხვების ანარეკლებს და ვიცი, რომ ზოგს სასწრაფოც არ უშველიდა, ისე ღრმა ჭრილობები ჰქონდა.

### მარწყვის ცივი ტორტი

**ზაზა:** - მარწყვის ცივი ტორტი რაღაა, ყველა მაცივარი რომ მის შენახვაზე ოცნებობდა.

**აზაზ:** - ყოფნა-არყოფნის მაჩვენებელია. მარწყვის ტორტს თუ ინახავ, ხარ და მაგრადაც ხარ, თუ არ ინახავ, აღარ ხარ.

**ზაზა:** - როცა ინახავ, ომსაც მაშინ გიწყებენ.

**აზაზ:** - ეგრეა, ძმაო, წართმევა უნდათ, არ უნდა მისცე.

**იმედი** - წინა დეკორაცია

**ზაზა:** - შენ რაღაცას ამბობდი იმედზე.

**აზაზ:** - იმედი წინა დეკორაციაა.

**ზაზა:** - ჯვარი?! რომელსაც მაიმუნივით ეპორწიალებოდა საშიკო?! მერე თავი მოხსნა და ავტომატივით ესროდა ზილბერტს, რომელიც თავის მხრივ მას კეტივით ხმარობდა?!

**აზაზ:** - კი მაგრამ, ხომ აგიხსნეს, რომ ბოლოს ჯვარი ისევ აღიმართა, სინათლეები მაღლა აიწია, კვამლიც გამოჩნდა და ზევით წავიდა. ე.ი. სულიერი გადარჩენის შანსი არის. ჰოდა, ეგ არის იმედი.

**P.S.**

***აზაზ:* - *P.S. რაღად გინდა!***

***ზაზა:* - *იმ საღამოს გაგრძელება საინტერესო აღარ არის? გახსოვს, თბილისში რომ ჩამოვედი, ქუჩაში როგორ გადავდიოდი?! - ჩემი სხეული ავარიის საფრთხეს აღარ გრძნობდა და ეს იმ საღამოს არ დამთავრებულა. დაუსრულებლად ვლაპარაკობდი სპექტაკლზე, ველარ მოვიცილე "შენი" სინაზის მოსავალი. როდემდე უნდა ვატარო?!***

***აზაზ:* - *სანამ თავსდატეხილი თავისუფლებიდან წმინდა ჯიშის გამოყვანას არ ისწავლი. ახლა კი დავამთავროთ, წავედი სარკეში.***

არილი



ია ანთაძე

# დიდოსტატის "მარჯვენა"

შესაძლოა, საქართველოს ბოლო წლების ისტორიაში სწორედ დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი: შეძლებს თუ არა რუსეთი, საქართველოს შეაცვლევინოს სახელმწიფო კურსი, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში მტკიცედ არის ორიენტირებული დასავლეთთან ინტეგრაციაზე. საფიქრებელია, რომ ეს საკითხი საბოლოოდ წყდება სწორედ ახლა, როდესაც რუსეთს საქართველოდან ეტაპობრივად გააქვს სამხედრო ბაზები.

ბიშკეკის ხელშეკრულების დარღვევით, თითქოს, რუსეთმა საბოლოოდ ჩაიქნია ხელი საქართველოზე და მასთან დაახლოებას კი აღარ ცდილობს, არამედ - მასთან დაშორებას და მის დასჯას.

თუმცა, ვიდრე საქართველოსა და რუსეთს შორის საზღვარი არ ჩაკეტილა და ამ საკითხზე მოლაპარაკებებიც არ დაწყებულა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ საზღვრის თემა საქართველოს დასასჯელად კი არა, საქართველოსთან სავაჭროდ არის "შემოგდებული". თანაც, ამ ვაჭრობის შედეგი იმდენად მნიშვნელოვანია რუსეთისთვის, რომ მან, თავის მხრივ, სასწორის პინაზე დადო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა.

ძნელია, საქართველოში მიმდინარე პროცესებში მაინცდამაინც რუსეთის უხილავი ხელის არსებობა ვამტკიცოთ და ყველაფერში ამოვიკითხოთ რუსეთის მცდელობა, რომ ჩვენი ქვეყანა თავისი გავლენის სივრცეში შეინარჩუნოს. თუმცა, ვიდრე აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია არ ვრცელდება - რუსეთის ინტერესი საქართველოს მიმართ დაშრეტილად არ შეიძლება მივიჩნიოთ.

* * *

რა ხდება დღეს საქართველოში?

თუ მოვლენებს რუსული ინტერესების ჭრილში განვიხილავთ, პასუხი ერთმნიშვნელოვანია: საქართველოში ამუშავდა პროდასავლური ძალების "ჩაძირვის" ახალი ტექნოლოგია. ამჯერად მოვლენები არასწორხაზოვნად და საინტერესოდ ვითარდება.

საქართველოში სახელმწიფო კურსის დასავლური ორიენტაცია შევარდნაძე-ჟვანიას ტანდემს ეყრდნობა. თავის დროზე ედუარდ შევარდნაძემ ერთპიროვნულად განსაზღვრა სახელმწიფოებრივი განვითარების ვექტორი, ხოლო ზურაბ ჟვანიამ პოლიტიკური ფუნქცია ამ ვექტორზე მოძრაობით შეიძინა.

ჟვანიას პოლიტიკური ფუნქციის სიმბოლოდ იქცა მის მიერ სტრასბურგში წარმოთქმული სიტყვები: ***"მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი".*** პარლამენტის თავმჯდომარის მკაფიო მსოფლხედვამ მის ოპონენტებს საშუალება მისცა, ჟვანია იდეალურ სამიზნედ გამოეყენებინათ და მის მიმართ დაემკვიდრებინათ ტერმინები: "დაშნაკი", "გადამგდები", "მაკიაველიზმის მიმდევარი", "ამერიკის აგენტი", "პოლიტიკური პუტანი, რომელიც შევარდნაძის პუტჩობისთვის იბრძვის" და სხვა.

ისინი, ვინც საქართველოს სახელმწიფო კურსის შეცვლას გეგმავენ, ორი უმთავრესი ამოცანის წინაშე დგანან: დაშალონ შევარდნაძე-ჟვანიას ტანდემი და დააკნინონ ზურაბ ჟვანიას პოლიტიკური ფუნქცია.

ჟვანიას წინააღმდეგ ბრძოლა სულაც არ ნიშნავს ერთი ადამიანის, თუნდაც, პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ ბრძოლას. ზურაბ ჟვანია ის პოლიტიკური ფიგურაა, რომელიც განასახიერებს საქართველოს სამომავლო ინტეგრაციას დასავლეთთან; რომელსაც ყოველ წელიწადს ოფიციალური ვიზიტით იწვევენ ამერიკის შეერთებულ შტატებში; რომელიც ხელისუფლებაში დასავლურთან მიახლოებულ სტანდარტებს ამკვიდრებს.



აქედან გამომდინარე, ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრის საკითხი ბევრ კითხვის ნიშანს აღარც აჩენს - თუ სახელმწიფოს განვითარების დასავლური ვექტორი არ შეიცვლება, მომავალი პრეზიდენტის საკითხი, ფაქტობრივად, გარკვეულია. ზურაბ ჟვანია საკონსტიტუციო იერარქიაში მეორე პირია და დასავლური ფასეულობების ერთგულია.

ამიტომაც, ბუნებრივად გამოიყურება ის ვითარება, რომ შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილი ტერაქტების პარალელურად, ჟვანიას წინააღმდეგაც სერიოზული ტაქტიკური დარტყმები ხორციელდება.

* * *

საზოგადოებას ახსოვს ბათუმის ყოფილი მერი ხარაზი და მის ბაგეთაგან გაჟღერებული ბრალდება, რომ ზურაბ ჟვანია ასლან აბაშიძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის ორგანიზატორია. მაშინ ასლან აბაშიძემ დაადასტურა, რომ იგი ენდობა ხარაზს და არ ენდობა ჟვანიას. პროკურატურამ მტყუან-მართალი ვერ გაარკვია და არც იყო მოსალოდნელი. ჟვანიას წინააღმდეგ პირველი დარტყმა საკუთარ თავზე ასლან აბაშიძემ აიღო.

ამ საკმაოდ მოულოდნელი და ძლიერი სვლის შემდეგ (პარლამენტის თავმჯდომარე საჯაროდ დაადანაშაულეს ტერაქტის მოწყობის მცდელობაში!), ჟვანიას წინააღმდეგ - ისევ ასლან აბაშიძის ქოლგის ქვეშ - მემარცხენე ძალები გაერთიანდნენ. ეს უფრო ლოგიკური იყო, რადგან ჟვანია თავიდანვე მკვიდრდებოდა, როგორც რეფორმატორული გუნდის ლიდერი, მემარცხენეები კი რეფორმებს გულწრფელად უპირისპირდებოდნენ. ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზორისტების და სოციალისტების მეგობრობა, პლუს ასლან აბაშიძის გავლენა და რესურსები საკმარისი აღმოჩნდა მოქალაქეთა კავშირის რეფორმატორულ გუნდზე მძიმე იერიშების მისატანად.

სწორედ იმ პერიოდში ალაპარაკდა ვახტანგ რჩეულიშვილი ორ პოლიტიკურ ცენტრზე. ცოტა ადრე ბათუმის ორბიტაზე გამოჩნდა მოსკოველი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია, რომელმაც პირველმა (და ერთადერთმა) საჯაროდ განაცხადა, რომ სახელმწიფო კურსი უნდა შეიცვალოს. მანვე პირობა მისცა საზოგადოებას, რომ ჟვანიას და სააკაშვილს საქართველოში ***"ბოლივიას არ გააკეთებინებს"*** (?!).

1998 წელს ადგილობრივი არჩევნები, ფაქტობრივად, ოპოზიციის გამარჯვებით დასრულდა. ამ დროისათვის აბაშიძემ უკვე მოახერხა არა მხოლოდ მემარცხენე, არამედ - ზოგიერთი მემარჯვენე პარტიის მიზიდვა და ერთიანი ფრონტის შეკვრა.

მაგრამ ოპოზიციის გამარჯვება ილუზორული აღმოჩნდა: ძალაუფლებამ მემარცხენე პარტიები დააბნია, მათ გავლენის სივრცეები ვერ დააბალანსეს და შიგნიდან გაიხლიჩნენ. საპარლამენტო არჩევნების წინ ასლან აბაშიძეს თავიდან მოუხდა ფრონტის შეკოწიწება.

ორ ცენტრს შორის დაუნდობელი ბრძოლა ედუარდ შევარდნაძისა და მოქალაქეთა კავშირის გამარჯვებით დასრულდა. დღეს ბევრი ფიქრობს, რომ მოქალაქეთა კავშირი და აღორძინების კავშირი, სინამდვილეში, ერთმანეთს არასოდეს დაპირისპირებიან, წინასაარჩევნო ბრძოლა კი მხოლოდ ბრძოლის იმიტაცია იყო. მაგრამ ეს მცდარი აზრია - მაშინ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა არა მხოლოდ ორი ძლიერი პარტია, არამედ - საქართველოს განვითარების ორი გზა: დასავლური და ჩრდილოური. იმის გამო, რომ გაიმარჯვეს პროდასავლურმა ძალებმა, ბევრი არაფერი შეცვლილა და დღეს ადვილი სათქმელია, - თითქოს, ბრძოლაც არ ყოფილა. სინამდვილეში, ამ დაუნდობელ ომში ჩრდილოური ვექტორის დამარცხების შემდეგ დაიწყო პროდასავლური ძალების მოხრჩობის მორიგი ეტაპი.

* * *

ახალი ეტაპი ახალი ტაქტიკით წარიმართა. ამჯერად ძალების მობილიზაციის მიზანი შევარდნაძე-ჟვანიას ტანდემის დაშლა იყო. უმთავრესი როლი შეასრულა როგორც კულუარულმა ინფორმაციამ, აგრეთვე, პრესაში გაშლილმა კამპანიამ. შედეგად, ნებისმიერ სამარშრუტო ტაქსში მოისმენდით, რომ ***"შევარდნაძემ და ჟვანიამ, თურმე, ერთმანეთი შეიძულეს..."***

პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ერთმანეთით დაეჭვებას მართლაც ნოყიერი ნიადაგი შეექმნა: ჟვანიას უბიძგებდნენ, ეფიქრა, რომ პრეზიდენტობის სანაცვლოდ, რუსეთი შევარდნაძისგან ითხოვდა პროდასავლური ძალების დაჩოქებას და მთავრობის დამტკიცების შემდეგ რუსეთმა მიიღო ის, რასაც ითხოვდა; ხოლო შევარდნაძეს ჩააგონებდნენ, რომ მას საპარლამენტო გუნდი ღალატობს, რომ გადაცემა "60 წუთით", ზოგიერთი მინისტრის ჩუმ-ჩუმად "ჩაგდების" მცდელობით და საპარლამენტო ხელმოწერებით, სინამდვილეში, სწორედ ჟვანია უპირისპირდება პრეზიდენტს და მის ოჯახს.

იმ პერიოდში პრესა გაჯერდა ჟვანიას მხრიდან შევარდნაძის ღალატის თემზე შექმნილი პუბლიკაციებით. ამჯერად გავიხსენებთ მხოლოდ ერთ ფრაგმენტს "ახალ თაობაში" 29 მაისს გამოქვეყნებული წერილიდან, რომელიც კარგად ასახავს საერთო სულისკვეთებას: ***"დაახლოებით ამგვარი მდგომარეობა იყო ხუთი საუკუნის წინ იტალიის ერთ-ერთ სამთავროში, როცა მთავარი ზრდიდა დაობლებულ ძმისშვილს, ამ უკანასკნელმა კი ჯერ არაკაცურად შეაღწია ბიძასთან და შეიყვანა სანდო ასეული და შემდეგ, ბოლო მომენტში, ყელი გამოსჭრა გამზრდელს სამთავროს ხელში ჩაგდების მიზნით"*** (გიორგი უძილაური).

პრეზიდენტის და მისი გუნდის დაპირისპირება ღიად დაფიქსირდა 6 ივლისს მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს სხდომაზე. ედუარდ შევარდნაძის მიმართ მთავარი პრეტენზია ელდარ შენგელაიამ გამოხატა: ***"არ შეიძლება, ყველაფერი ერთ კაბინეტში წყდებოდეს; პარლამენტი პრეზიდენტის მექანიკურ დანამატად გადაიქცა"***. პრეზიდენტმა კი, თავის მხრივ, ჟვანიას გამოუცხადა: ***"ძმაო, თუ ვარ პარტიის თავმჯდომარე, კეთილი ინებე და შემითანხმე"***.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტი: გასული წლის 29 ნოემბერს, ტრადიციულ ბრიფინგზე, ჟურნალისტმა პრეზიდენტს ჰკითხა - ბარამიძის კანდიდატურის შერჩევა საგადასახადო შემოსავლების მინისტრად იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ახალ მთავრობას მთლიანად მოქალაქეთა კავშირი დააკომპლექტებსო? პასუხად ედუარდ შევარდნაძემ მიუგო: ***"არა, სანამ პრეზიდენტი ვარ, მთელი მთავრობის დათმობას არ ვაპირებ"***. ამ პასუხით შევარდნაძემ გულწრფელად აღიარა, რომ ის თანამდებობები, რომლებზეც პარლამენტის თავმჯდომარის რეკომენდაცია ვრცელდება, პრეზიდენტს საკუთარი სივრცის დათმობად და შევიწროებად მიაჩნია.

შევარდნაძისა და ჟვანიას დაპირისპირების მცდელობა დღემდე გრძელდება. ადამიანური ბუნების გათვალისწინებით, ეს ამოუწურავი რესურსების მიმართულება აღმოჩნდა. თუმცა, სულ ბოლო ხანს, პროდასავლური ძალების და, კონკრეტულად, ჟვანიას წინააღმდეგ მაინც საჭირო შეიქნა "ტუზ კოზირის" ამუშავება: მემარჯვენეების დათრგუნვა მემარჯვენეებითვე.

* * *

ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსის წარუმატებლობების გათვალისწინებით, ბოლოხანს მემარჯვენე ალტერნატიული ფლანგი აშკარად დაცარიელდა. დღეს იქნებოდა თუ ხვალ, მემარჯვენეები უსათუოდ გააქტიურდებოდნენ. უარეს შემთხვევაში, შეიქმნებოდა უკვე არსებული ("გამოწურული") მემარჯვენე პარტიების გაერთიანება, ხოლო უკეთეს შემთხვევაში, ავტორიტეტული ადამიანები თავს მოიყრიდნენ რაიმე მიმზიდველი იდეის გარშემო.

განხორციელდა სწორედ მეორე ვარიანტი, თანაც, საზოგადოებისთვის სასარგებლო ფორმით: გამყრელიძე-გაჩეჩილაძის "ახალი მოძრაობის" სახით, როგორც იქნა, მემარჯვენე ორიენტაციის ადამიანებს რეალური არჩევანის საშუალება მიეცათ.

თუ რეფორმატორთა გუნდს შინაგანი რეზერვი არ ამოუწურავს, სერიოზული ალტერნატივა მათთვისაც სასარგებლოა, რადგან წლების განმავლობაში ისინი კონკურენტების და დემოკრატიული წნეხის გარეშე იყვნენ დარჩენილი. უალტერნატივობამ კი გვარიანად შელახა მათი ცივილიზებული იმიჯი და მათ საქმიანობასაც სერიოზული ვნება მოუტანა.

* * *

"ახალ მოძრაობაში" თავი მოიყარეს ბიზნესში და ხელოვნებაში წარმატებულმა, საზოგადოებისთვის მრავალმხრივ სიმპათიურმა ადამიანებმა.

რას შეიძლება ნიშნავდეს ახალი, ძლიერი, რეალური ალტერნატივის მომცველი მემარჯვენე მოძრაობის ჩამოყალიბება? შესაძლოა, იმას, რომ ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკაში ჩართო დღემდე გამოუყენებელი რეზერვი. ახალი გაერთიანების ლიდერები ამბობენ, რომ ისინი შემოიკრიბნენ სიცრუის და კორუფციის წინააღმდეგ. მათ ღია თუ ფარული პრეტენზიები აქვთ ჟვანიას გუნდთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არავითარ შემთხვევაში - შევარდნაძესთან. ეს კი მათ პოზიციას თავიდანვე ეჭვის ქვეშ აყენებს. რადგან რეალურ გარდაქმნებს აფერხებს არა ჟვანიას ან სააკაშვილის პოლიტიკური ნება, არამედ პრეზიდენტის არჩევანი - რომ მან მუდმივი ბალანსით და მინიმალური რისკით მართოს ქვეყანა. შესაძლოა, ბევრი მოქალაქე, რომელსაც აღარ ესმის თავისი პრეზიდენტის, არასამართლიანია შევარდნაძის მიმართ. მაგრამ ფაქტია, რომ 1998 წლიდან მოყოლებული, ჟვანია ყოველთვის ცდილობდა გააქტიურებას, ხოლო შევარდნაძე მას უხსნიდა, რომ პროცესების განვითარების ტემპს განსაზღვრავს არა პოლიტიკური ნება, არამედ - გარდამავალი პერიოდის კანონზომიერებები და დესტაბილიზაციის საფრთხე.

ამიტომ, პოლიტიკური ამბიციების მქონე ფიგურების მხრიდან ჟვანიას და სააკაშვილის დადანაშაულება ხალხისთვის მიცემული პირობების არშესრულებაში და, იმავდროულად, შევარდნაძის თანამოაზრეობის აქცენტირება, რბილად რომ ვთქვათ, არაგულწრფელად გამოიყურება.

გაცილებით მეტად ჰგავს სიმართლეს ის ვერსია, რომ ამჯერად შევარდნაძემ რეფორმატორების გუნდისთვის და პირადად ჟვანიასთვის სივრცის შეზღუდვა გადაწყვიტა. რაკი ნიკო ლეკიშვილი დარჩა უმრავლესობის ლიდერად, საფიქრებელია, რომ ახალი ფრაქციაც უმრავლესობის წიაღში შეიქმნება. მეამბოხე ფრაქცია, ისევე, როგორც "მოქალაქეთა კავშირი", იმოქმედებს შევარდნაძის სახელით და საკამათო საკითხებზე რეფორმატორთა გუნდის საწინააღმდეგო პოზიციას დააფიქსირებს. ეს ნიშნავს, რომ ჟვანიას უმრავლესობაშივე შეექმნება შევარდნაძის სახელით მოქმედი ოფიციალური ოპოზიცია, ნიკო ლეკიშვილს კი გაუჩნდება ის რეალური ბერკეტი, რომელსაც საჯაროდ ითხოვდა უმრავლესობის ლიდერის პოსტზე დასაბრუნებლად.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ კორუფციასთან ბრძოლის ახალ ეტაპზე პრეზიდენტმა სრულიად დაივიწყა რეფორმატორები და სიმძიმის ცენტრი პარლამენტიდან შორს გადაიტანა. ანტიკორუფციული პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფში ერთი ადამიანიც კი არ არის, რომელიც რეფორმატორთა გუნდის მეტ-ნაკლებად უშუალო წარმომადგენლად შეიძლება მიჩნეულიყო, მათთან დაპირისპირებული კი - არაერთია.

ასე რომ, ედუარდ შევარდნაძისა და ზურაბ ჟვანიას ურთიერთობებში ერთგვარი გაუცხოება თვალსაჩინოა. ამ ვითარებაში პარლამენტის თავმჯდომარე ახალი ინიციატივებით გამოდის და ცდილობს, დამოუკიდებლად გავიდეს ბრძოლის და გარდაქმნების წინა ხაზზე. სწორედ ახლა სჭირდება ჟვანიას მონოლითური უმრავლესობა. საშემოდგომო სესიის პირველივე კვირები დაადასტურებს, ახალ ვითარებაში ჟვანია აკონტროლებს თუ ვერა მისთვის ასე საჭირო 118 პულტს.

* * *

ის ვერსია, რომელზეც ახლა ვისაუბრებთ, მხოლოდ ვერსიაა და მისი განხორციელების პირადად მეც არ მჯერა. მაგრამ თუ პრესაში გაბნეულ მასალებს შევაერთებთ, დავინახავთ, რომ ერთ ფრონტად გაერთიანების მსურველმა მემარჯვენეებმა, შესაძლოა, თავი უნებურად მძიმე ყულფში ამოჰყონ.

ამ ვერსიის თანახმად, ყველაფერი იწყება პრეზიდენტის პროგრამის ალტერნატიული დოკუმენტის შექმნით და გამოქვეყნებით. ამ ამბიციური დოკუმენტის სახელწოდებაა ***"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"***. დოკუმენტის ავტორია ალექსანდრე ჭაჭია.

ამის შემდეგ ჟურნალი "ახალი დვრიტა" აქვეყნებს ინტერვიუს ჭაჭიას თანამებრძოლთან, თემურ ქორიძესთან, რომელსაც მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას ახალი, ზეპარტიული ეროვნული ხსნის მთავრობა, რომელმაც უახლოესი 4-6 თვის საქმე უნდა გააკეთოს (ე.ი. მოამზადოს არჩევნები). ხსნის მთავრობის სასურველ ხელმძღვანელად ქორიძეს ესახება ***"უაღრესად განსწავლული კაცი", "თხემით ტერფამდე პატრიოტი"*** ალექსანდრე ჭაჭია.

მოგვიანებით, ფრაქცია "ოცდამეერთე საუკუნის" წევრი, პარლამენტარი ანზორ აბრალავა "ახალი თაობისთვის" მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ უნდა შეიქმნას ეროვნული თანხმობის მთავრობა, რომელიც სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს.

შემდეგ პრესკონფერენციას ატარებენ ირაკლი წერეთელი და თემურ ჟორჟოლიანი, რომლებიც განმარტავენ: მალე დაიწყება კარგად ორგანიზებული სახალხო გამოსვლები პრეზიდენტისა და პარლამენტის თვითლიკვიდაციის მოთხოვნით, შემდეგი ნაბიჯები იქნება ეროვნული ყრილობის მოწვევა, კოალიციური მთავრობის შექმნა და ახალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება. წერეთელი და ჟორჟოლიანი ეროვნული დაუმორჩილებლობის ფლაგმანის როლს კისრულობენ და მოლაპარაკებას აწარმოებენ მურმან ომანიძესთან და თემურ ქორიძესთან.

ამასობაში, მემარჯვენეების ძველი ბურჯი - "მესამე გზის" ალიანსი - ფართოვდება ნეოკონსერვატორული პარტიის ხარჯზე, რომლის ლიდერები არიან ირაკლი ბათიაშვილი და ფიქრია ჩიხრაძე. თავის მხრივ, ფიქრია ჩიხრაძე გამყრელიძე-გაჩეჩილაძის გვერდით ფიქსირდება როგორც მოძრაობაში, ასევე სავარაუდო ფრაქციაში. ირინა სარიშვილი-ჭანტურიაც სიმპათიებით საუბრობს ნიკო ლეკიშვილზე და გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ინიციატივებზე.

მეორე მხრივ, ეროვნულ-დემოკრატიული ალიანსი მოლაპარაკებებს აწარმოებს ტრადიციონალისტთა კავშირთან, აკაკი ასათიანი კი ბესო ჯუღელის მოკავშირეა ახალ გაერთიანებაში, რომელსაც "მარჯვენა ალტერნატივა" ჰქვია. პარალელურად, ასათიანი და ჯუღელი სახალხო პარტიას ეთათბირებიან. "ახალი თაობის" ინფორმაციით, გამყრელიძე-გაჩეჩილაძის ახლად შექმნილი საზოგადოება, თავის მხრივ, უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ეროვნულ-დემოკრატიულ ალიანსთან და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიასთან.

ამ ლოგიკით, ერთ ჯაჭვში ჩაბმული აღმოჩნდებიან: ალექსანდრე ჭაჭია და თემურ ქორიძე → ირაკლი წერეთელი და თემურ ჟორჟოლიანი → აკაკი ასათიანი და ბესო ჯუღელი → ირინა სარიშვილი-ჭანტურია და დავით ბერძენიშვილი → ირაკლი ბათიაშვილი და ფიქრია ჩიხრაძე → დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძე.

გამოდის, შესაძლებელია, მარჯვენა ფლანგზე მოვლენებს უცნობი დიდოსტატის უხილავი მარჯვენა მართავდეს. ამ ფრონტის ცალკეული სეგმენტები ხედავენ მხოლოდ საკუთარ ინტერესებს, მაგრამ ვერ ხედავენ იმ ფუნქციას, რომელიც შეიძლება მათდა უნებურად შეასრულებინონ. გაზეთების "ალიას", "მეოთხეს" და "ეკოდაიჯესტის" ინფორმაციით, სულ მალე პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვა კიდევ ერთი გაერთიანება, რომელსაც ქმნიან ვაჟა ლორთქიფანიძე და თემურ შაშიაშვილი ქრისტიან-დემოკრატებთან ერთად. ქრისტიან-დემოკრატები კი, პრესის ვერსიით, უკვე დაფიქსირდნენ ეროვნულ-დემოკრატიულ ორბიტაზე.

ნიშანდობლივია ციტატა თემურ ქორიძის ინტერვიუდან: ***"მე მგონია, დიალოგი, რომელიც ოპოზიციურ ძალებს შორის მიმდინარეობს, კეთილ ნაყოფს გამოიღებს და, სულ მალე, საქართველოს მძლავ-***

***რი, იმედის მომცემი პოლიტიკური ძალა ეყოლება, რომელიც ბოლომდე იბრძოლებს ერის ინტერესების დასაცავად".***

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ძალთა ერთადერთი გადანაწილება, რომელიც ბოლოხანს ოპოზიციურ ბანაკში მიმდინარეობს, მემარჯვენეთა გაერთიანების მცდელობაა. ამ ინტერვიუს მიხედვით გამოდის, რომ სწორედ მემარჯვენე ძალები აპირებენ ეროვნული ხსნის მთავრობის ჩამოყალიბებას ჭაჭიას ხელმძღვანელობით. ეს წარმოუდგენელია, თუმცა, ყველას გვახსოვს, რომ სწორედ მემარჯვენე ორიენტაციის პარტიები გაზაფხულზე დაჟინებით ითხოვდნენ საპრეზიდენტო არჩევნების გადატანას, პარლამენტის თვითლიკვიდაციას და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

* * *

შესაძლოა, ზურაბ ჟვანიას და მისი თანამოაზრეების "ჩაძირვის" მცდელობა - ამჯერად უკვე მემარჯვენე ძალების გამოყენებით, - უსაფუძვლო ვერსიაა და რუსეთის მიმართ გაზვიადებულ ეჭვებს ეფუძნება. გავა დრო და გაირკვევა, რამდენად სიცოცხლისუნარიანია ეს ვერსია. დღეისათვის ფაქტი ის არის, რომ ახალი პროცესები, ისევე, როგორც ძველი, მიმართულია იმ ფიგურის წინააღმდეგ, რომელსაც ყველაზე უკეთესი სასტარტო მდგომარეობა აქვს პროდასავლურ ძალებს შორის და რომელიც, ამის გამო, ყველაზე უფრო მიუღებელია ანტიდასავლური ძალებისთვის. ფაქტია, რომ ამჯერად ჟვანია, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად, პრეზიდენტის და მთელი პოლიტიკური სპექტრის პირისპირ აღმოჩნდა. მან ან რკინის გულით და ხის აბჯრით უნდა იბრძოლოს პოლიტიკური სივრცის შესანარჩუნებლად, ან საბოლოოდ დათმოს პოზიციები.

* * *

მომავალი დაადასტურებს, რის წინააღმდეგ არის მიმართული მემარჯვენეების მცდელობა: პიროვნულად ზურაბ ჟვანიას თუ მისი ფუნქციის წინააღმდეგ. თუ ვინმე ეცდება ზურაბ ჟვანიას ფუნქციის ჩანაცვლებას - ანუ ახალ პროდასავლურ ლიდერად ჩამოყალიბებას, ეს სრულიად მისაღებია საზოგადოებისთვის; მაგრამ თუ პროცესი წარიმართება პროდასავლური ლიდერის ფუნქციის დაკნინების და გაუქმების ნიშნით, ეს პროცესი პირდაპირ იქნება შეკვეთილი მოსკოვიდან და მიმართული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. როგორ მოიხმარენ ქართველი მემარჯვენეები თავის ენერგიას და უნარებს - ეს დღეს პოლიტიკის ყველაზე საჭირბოროტო საკითხია.

**არილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ზურაბიშვილი

# თავისუფლების საფრთხობელა

## (იეღოვას მოწმეები, როგორც თავისუფლების ინდიკატორი)

სექტანტობის მოძალების გამო ისე ხშირად და ისე ემოციურად გამოხატავენ შეშფოთებას არა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის, არამედ საერო ხელისუფლების, ოპოზიციისა და ინტელიგენციის იერარქები, გაუცნობიერებელ ადამიანს შესაძლოა მართლაც ეგონოს, რომ ქვეყანას რაღაც უბედურება ემუქრება. არადა, თუკი რაიმე უბედურების მსგავსი ხდება საქართველოში, ეს სწორედ ანტისექტანტური ისტერიაა. ისტერია, რომელიც მართლმადიდებლობისა და ქართველობის სახელით მიმდინარეობს, მაგრამ მამოძრავებელი მოტივები სულ სხვაა. ეს ის კლასიკური შემთხვევაა, როდესაც მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა გზაა არჩეული, არამედ იმას, რაც ამ გზის არჩევისკენ გიბიძგებს.

## იეღოვას მოწმეთა შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა

ანტისექტანტური აჟიოტაჟის მთავარი "ბოროტი," რაღა თქმა უნდა, იეღოვას მოწმეთა სექტაა. მათ მიმართ ყველაზე ხშირია ბრალდებები, მათზე ბევრი იწერება პრესაში, მათ შესახებ ბევრს ლაპარაკობენ ტრიბუნიდან. და რამდენადაც ყველა სხვა რელიგიური მიმდინარეობის მიმართაც პრაქტიკულად იგივე ბრალდებები გამოიყენება ამიტომ მართებული იქნება, თუ ანტისექტანტური კამპანიის საკითხს სწორედ ანტიიეღოვისტური კამპანიის ჭრილში განვიხილავთ.

მაინც, რაა ასეთი იეღოველები საქართველოსთვის და რაა დღევანდელი საქართველო იეღოველებთან მიმართებაში? რაშია პრობლემის არსი?

არის აზრი, რომ პრობლემა თვით ამ სექტის არსებობაა საქართველოში და ეს აზრი საკმაოდ გავრცელებულია. ძალიან მოკლედ, იეღოველ სექტანტთა პრობლემის წარმოდგენა შეგვიძლია დავახასიათოთ გურამ შარაძის ცნობილი სარჩელის ფორმულირებით, სადაც იეღოვას მოწმეების საქმიანობა დახასიათებული იყო, როგორც ანტიმართლმადიდებლური, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი.

თუ უფრო დავაკონკრეტებთ, ეს უწმინდური ტრიადა შვიდ მომაკვდინებელ ცოდვად ჩამოყალიბდება. კერძოდ, ამ სექტის მიმართ სისტემატურად და სხვადასხვა ვარიაციით მეორდება შემდეგი ბრალდებები:

1. იეღოველთა სწავლება არასწორია. ისინი უარყოფენ წინაპართა რჯულს და ამით შეურაცხყოფას აყენებენ ჩვენს მამა-პაპათა თავდადებულ ბრძოლას სარწმუნოების სიწმინდისთ-

ვის.
2. ფინანსდებიან საზღვარგარეთიდან
3. შემოაქვთ და ავრცელებენ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემულ პროპაგანდისტულ ლიტერატურას
4. აქტიურად ცდილობენ გაუთვითცნობიერებელი ადამიანების ჩათრევას სექტაში.
5. შემოგზავნილები არიან და სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებენ
6. არ მიდიან ჯარში
7. უარს ამბობენ სისხლის გადასხმაზე

ეს არის სრული ჩამონათვალი იმ არგუმენტებისა, რასაც გამოთქვამენ ხოლმე იეღოვას მოწმეების ანტიმართლმადიდებლური, ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის დასასაბუთებლად. არცერთი ბარალდებით მეტი და არცერთი ბრალდებით ნაკლები. მხოლოდ და მხოლოდ ამ არგუმენტებიდან გამომდინარე ერთნი. ითხოვენ სექტის საქმიანობის შეზღუდვას, ზოგიერთები კი საერთოდ აკრძალვას.

თუ ანტიმართლმადიდებლობაში იგულისხმება ის, რომ იეღოვას მოწმეების რელიგიური წარმოდგენები არ ემთხვევა მართლმადიდებლურს, მაშინ ამ ლოგიკით საერთოდ ყველა სხვა რელიგიის მიმდევართა აკრძალვა ან შეზღუდვა უნდა მოვითხოვოთ, რამდენადაც მართლმადიდებლური აღმსარებლობის პოზიციიდან ყველა სხვა რელიგია "არასწორია."

სანამ უფრო დაწვრილებით შევეხებოდეთ ანტიიეღოვისტური (და საერთოდ ანტისექტანტური) კამპანიის არსს, სათითაოდ განვიხილოთ წარმოდგენილი ბრალდებები.

## ცოდვა პირველი: რჯულისმიერი

დავიწყოთ ანტიმართლმადიდებლურით. რას ნიშნავს ეს? თუ აქ იგულისხმება ისეთი სწავლება, რომელიც რელიგიურ მოძღვრებებს შორის მარტო (ან განსაკუთრებით) მართლმადიდებლური აღმსარებლობის მიმართაა აგრესიული, ასეთი რელიგია და სექტა არც ბუნებაში არსებობს და არც საქართველოში. ხოლო თუ ანტიმართლმადიდებლობაში იგულისხმება ის, რომ იეღოვას მოწმეების რელიგიური წარმოდგენები არ ემთხვევა მართლმადიდებლურს, მაშინ ამ ლოგიკით საერთოდ ყველა სხვა რელიგიის მიმდევართა აკრძალვა ან შეზღუდვა უნდა მოვითხოვოთ, რამდენადაც მართლმადიდებლური აღმსარებლობის პოზიციიდან ყველა სხვა რელიგია "არასწორია."

რაც შეეხება სახელოვან წინაპრებთან, ქართველებს ომის გადახდა ყველაზე ხშირად მუსლიმების (არაბები, სპარსელები, თურქები) წინააღმდეგ უხდებოდათ, ხოლო ყველაზე ცხარე ღვთისმეტყველურ დებატებს გრიგორიანელ სომხებთან მართავდნენ. ამიტომ თუკი ვინმეს ეჩვენება, რომ წინაპართა სისხლი უხმობს, აგერ დაერიოს სომხებს და აზერბაიჯანელებს, ან წავიდეს და პუტინის ბიჭებს მიეხმაროს ჩეჩენი მოსახლეობის ჟლეტაში. ჩვენი წინაპრები ხომ ჩრდილოეთ კავკასიაშიც იბრძოდნენ, პუტინის წინაპრებთან ერთად.

## ცოდვა მეორე: ფინანსური

ჩვენს სამართალდამცავებში შემორჩენილია ერთი რუდიმენტულ ტენდენცია: რახან იყო დრო, როდესაც საზღვარგარეთიდან დაფინანსება საზღვარგარეთული ფულით სერიოზული დანაშაული იყო, ახლაც, დიდის ამბით გვამცნობენ ხოლმე, რომ ამა და ამ დაკავებულის ბინიდან ამოღებულ იქნა უცხოური ვალუტა. რატომ ამოიღეს და რისთვის, მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია ფულის არაქართული წარმომავლობა. ზუსტად იგივეა, როცა იეღოველების უცხოეთიდან დაფინანსებაზე ლაპარაკობენ.

როდემდე გაგრძელდება ესეგვარი აბსურდი, არავინ იცის. საზღვარგარეთიდან დაფინანსება კრიმინალი არ არის., მდიდარი და შეძლებული იეღოველი კი საქართველოში ჯერ არავის უნახავს და მხოლოდ ლეგენდები დადის გულუბრყვილო მართლმადიდებელი მრევლის ფულით (მოქრთამვით) გაიეღოველებაზე.

გავრცელებული ჭორის მიუხედავად, არანაირი განსაკუთრებული ფინანსური შესაძლებლობები ამ სექტას არ გააჩნია. მდიდრებიც და კორუმპირებულებიც საქართველოში ძირითადად სულ ეკლესიაში მონათლული ქართველები არიან. აბა, სიგარეტის და ნავთობის ბიზნესში იეღოველებს არავინ აჭაჭანებს, მინისტრი არა გვყავს იეღოვას მოწმე და დეპუტატი. არც გამგებელი გამიგია მაგათი საძმოდან, არც ქალაქის მერი, არც დეპარტამენტის თავმჯდომარე და არც გუბერნატორი. თუკი ვინმე იეღოველებს უერთდება, ეს ფულის გულისთვის არ ხდება და ეს ძალიან კარგად იცის იმან, ვინც ყველაზე მეტს ყვირის იეღოვური კაპიტალის ექსპანსიაზე.

ცოდვა მესამე: პოლიგრაფიული

არანაკლებ აბსურდულია და იდიოტიზმის ზღვარამდე მიდის იეღოველთა სიმდიდრისა და სხვა შავბნელ საქმეთა დასტურად ისეთი არგუმენტის მოყვანა, როგორიცაა "მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული ლიტერატურის შემოტანა და გავრცელება."

ჯერ ერთი, მადლობა ღმერთს, ეს კრიმინალად არ ითვლება და არც უნდა ითვლებოდეს. რაც შეეხება შემოტანილი ლიტერატურის "მაღალ პოლიგრაფიული დონეს," რომელიც ისე აღინიშნება, თითქოს რაღაც სამხილზე იყოს ლაპარაკი, ამა სიტყვისა წარმომთქმელმა დროა იცოდეს: დაბალ პოლიგრაფიულ დონეზე წიგნი მარტო საქართველოში იბეჭდება და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში, სადაც შიმშილი და ინფექცია მძვინვარებს. ის, რასაც ჩვენთან "მაღალ პოლიგრაფიულ დონეს" უწოდებენ, განვითარებულ (და ბევრ არცთუ ძლიერ განვითარებულ) სახელმწიფოებში ჩვეულებრივი სტანდარტია.

## ცოდვა მეოთხე: მოქმედებითი

იეღოველთა აქტიურობა პოტენციური ძმის საძმოში გადმობირების მიზნით, მათი მომაბეზრებელი სტუმრობები მთელ მსოფლიოში ცნობილია. ამის გამო ისინი ბევრს არ უყვარს, მაგრამ სიმპატია-ანტიპატია ერთია და, სულ სხვაა, როცა სახელმწიფოს მიმართავ: არიქა გვიშველე რამე, თორემ ყველას გაგვაიეღოველებენო!

პროპაგანდა და მისიონერული საქმიანობა ნებისმიერი რელიგიისთვის დამახასიათებელია. უშუალოდ იეღოვას მოწმეთა მხრიდან არასოდეს ჰქონია ადგილი არანაირ ძალადობას, მათი მორალური კრედო უკიდურესად კონსერვატიულია და არავის არასდროს სმენია რამე იეღოველთა გარყვნილებაზე. მოითხოვო რომელიმე აღმსარებლობის შეზღუდვა იმის გამო, რომ მისი მიმდევრები კარდაკარ დადიან და ხალხთან სისტემატური ლაპარაკი არ ეზარებათ - ან ფაშისტი უნდა იყო, ან კომუნისტი. "აირჩიე, ქართველო ერო!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცოდვა მეხუთე: აგენტურული

ელემენტარულად სასაცილოა იმის მტკიცება, რომ იელოვას მოწმეები უცხოური სპეცსამსახურის დავალებებს ასრულებენ, რადგან სექტის მისიონერთა ანკეტები თურმე საეჭვოდ წააგავს სპეცსამსახურის დოსიეებს.

აქ მე ლაპარაკი არა მაქვს იმ პარანოიკებზე, ვინც სერიოზულად ამტკიცებს, რომ საქართველოს გარყვნა-გათახსირება ამერიკის (მასონების) პოლიტიკაა და ამ მიზნით შემოგვისიეს სექტანტები. მათთან კამათს აზრი არა აქვს. ხოლო ვისაც ოდნავ მაინც შერჩა სალი აზრი, სანამ მსგავს რამეს იტყვის, ერთ კითხვას უპასუხოს: ისეთი რა სამხედრო-სტრატეგიული თუ კომერციული ინფორმაცია უნდა მოიპოვონ იელოვას მოწმეთა მეშვეობით საქართველოში გინდ ამერიკის "ცერეუმ," გინდ ინგლისის "ინტელიჯენს სერვისმა," გინდ საფრანგეთის "მეორე ბიურომ," გინდ რუსეთის "ფეესბემ" გინდ ისრაელის "მოსადმა" და გინდ რომელიც გნებავთ ქვეყნის სპეცსამსახურმა?

რა ხდება ჩვენს ქვეყანაში ისეთი, ნებისმიერმა მოქალაქემ რომ არ იცოდეს? ნებისმიერი უბნის ბირჟაზე გეტყვიან რომელი ყაჩაღი ჩინოვნიკი ვის წილშია. ახლა, ატომურ ბომბს თუ ვამზადებთ ჩუმჩუმად, ან გენური ინჟინერიაში ვატარებთ აკრძალულ ექსპერიმენტებს, არა მგონია ამის გასარკვევად იელოვას მოწმეები დაჭირდეს ვინმეს.

ანკეტები კი, როგორც ასეთი, ყველა ერთმანეთს ჰგავს. ეს ისე, სხვათა შორის..

**იელოველთა აქტიურობა პოტენციური ძმის საძმოში გადმობირების მიზნით, მათი მომაბეზრებელი სტუმრობები მთელ მსოფლიოში ცნობილია. ამის გამო ისინი ბევრს არ უყვარს, მაგრამ სიმპატია-ანტიპატია ერთია და, სულ სხვაა, როცა სახელმწიფოს მიმართავ: არიქა გვიშველე რამე, თორემ ყველას გაგვაიელოველებენო!**

## ცოდვა მეექვსე: პაციფისტური

თავისთავად ძალზე საინტერესოა, რომ ისინი, ვინც იელოვას მოწმეებს სატანის მოციქულებად მიიჩნევენ, ჯარში წასვლაზე თუ მიდგა საქმე, რატომღაც დაუოკებელი სურვილით აღინთებიან, როგორმე ტანკში ჩასვან ეს ღვთის პირიდან გადავარდნილები და ავტომატი მისცენ ხელში. არგუმენტი: ხომ შეიძლება სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების მიზნით ქართველებმა მასიურად დაიწყონ გაიელოველება? რა ეშველება მაშინ ჩვენს სარწმუნოებას და ვინღა დაიცავს სამშობლოს?

ამისთანა "რკინის არგუმენტის" გაგონებაზე კაცს სრული უმწეობის განცდა გეუფლება. რა გინდა რომ თქვა? როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ: სისულელის წინაშე თვით ღმერთებიც უძლურნი არიან.

არადა თუკი სამხედრო სამსახურში ვინმეს წასვლა არ უნდა, ამისთვის იელოვას მოწმეობა სულაც არ არის საჭირო. მომქმედი კანონმდებლობით ნებისმიერ (ნებისმიერ!) ადამიანს შეუძლია ნებისმიერი (ნებისმიერი!) მსოფლმხედველობრივი მოტივით არ წავიდეს ჯარში და მოითხოვოს ალტერნატიული სამსახური. სახელმწიფო ვალდებულია მისი მოთხოვნა დააკმაყოფილოს. თუკი აქამდე ვერ მოხერხდა ალტერნატიული სამსახურის შექმნა, ეს ხალხის ბრალი არაა. კეთილი ინებოს სახელმწიფომ და შექმნას. ხელს არავინ უშლის. ისე, ჯარში წასვლაზე არც მართლმადიდებელი ქართველები იკლავენ თავს. და საერთოდ, ეს სულ სხვა პრობლემაა და რელიგია აქ საერთოდ არაფერ შუაშია.

აქვე მინდა ერთი კითხვა დავსვა: საერთოდ შეიძლება კი იმ კაცის რელიგიურობაზე ლაპარაკი, ვინც საკუთარ მრწამსს უარყოფს, ოღონდ ჯარში არ წავიდეს? თუმცა ასეთი წვრილმანები რა მოსატანია, როცა საქმე ქართველთა სულის ხსნას ეხება? არ უნდათ და ძალად ვაცხონებთ! აკი წერილ არს:

„Железной рукой загоним человечество в рай!"

## ცოდვა მეშვიდე: სისხლისმიერი

ასევე სრული აბსურდია ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა სისხლის გადაუსხმელობის გამო. ჯარში წასვლისა არ იყოს, აქაც იელოველების ჯანმრთელობაზე ყველაზე მეტად ისინი წუხან, ვინც მათ არსებობასაც კი დანაშაულად მიიჩნევს.

რელიგია ამ შემთხვევაშიც არაფერ შუაშია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა, ისე საქართველოს კანონმდებლობა ცალსახად ადგენს: ნებისმიერი სახის ოპერაციაზე აუცილებელია პაციენტის, ან თუ უგონოდაა, მისი ახლობელის თანხმობა. თუ პაციენტი არასრულწლოვანია, მაშინ მშობლის ან მეურვის თანხმობაა საჭირო. თუმცა, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, როცა ვერ ხერხდება გონდაკარგული პაციენტის ახლობლის მოძებნა, ექიმს შეუძლია ოპერაციის ჩატარება.

ასევე, თუ მშობელს არ უნდა, მაგრამ ექიმი დარწმუნებულია, რომ ოპერაციის გარეშე არასრუწლოვანი პაციენტის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრება, ექიმი მიმართავს სასამართლოს, ხოლო ექსტრემალურ ვითარებაში კი მოქმედებს საკუთარი შეხედულებისამებრ. ეს არის და ეს.

## სასარგებლოა ვიცოდეთ

ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელია. და თუკი ეროვნულ-აპოკალიფსური რიტორიკის გარეშე წარმოდგენილ ამ არგუმენტებს დავუმატებთ იმასაც, რომ იელოვას მოწმეების რაოდენობა საქართველოში ქვეყნის მოსახლეობის სულ რაღაც 1%-საც (!!!) კი არ შეადგენს, თითქოს ნებისმიერი გონიერი ადამიანისთვის, განურჩევლად მისი აღმსარებლობისა, ცხადი უნდა გახდეს: ამხელა ამბავის ატეხვა "იელოვისტური საფრთხის" გარშემო აშკარად გადაჭარბებულია. უფრო მეტიც: არავითარი ამგვარი "საფრთხე" არ არსებობს და მთელი ეს აურზაური სულ სხვა სიმპტომებზე მიუთითებს.

სანამ ამ სიმპტომებს შევეხებოდე, ვიღაც შარიანმა (უკაცრავად უნებლიე კალამბურისთვის! დ. ზ.) სექტანტობის პროპაგანდა რომ არ დამწამოს, აუცილებლად მიმაჩნია გავიხსენოთ რამდენიმე ბანალური, მაგრამ ჩვენი უკუღმართი დროებისთვის აქტუალური აქსიომა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს სინდისის თავისუფლებას და დაუშვებლად მიიჩნევს რელიგიური პროპაგანდის შეზღუდვას. კონსტიტუციაში მკაფიოდაა მითითებული, რომ დასჯადია მხოლოდ ისეთი მოწოდება, რომელიც მიმართულია ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, მიზნად ისახავს ეთნიკური და რელიგიური ნიშნით შუღლის ჩამოგდებას, აგრეთვე კონსტიტუციური წყობის ძალადობით დამხობას.

N.B. ჩემის აზრით, კონსტიტუციის ფორმულირებები ცოტა დაზუსტებას კი მოითხოვს, რადგან დასჯადი შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი მოწოდება, რომელიც შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცავს რეალური ქმედების საფრთხეს. თორემ ასე, თვეობით პენსიის მომლოდინე მოხუცი რომ ხელისუფლებას შეუკურთხებს ტროლეიბუსში: ყველანი დასახვრეტები არიანო, მასაც შეიძლება მიუყენო ძალადობით დამხობისკენ მოწოდება.

ბ) არსებობის და თავისუფალი გამოხატვის უფლება აქვს არა მარტო ისეთ აზრს (იდეას, დოქტრინას, სწავლებას), რომელიც მე მომწონს და ჩემთვის მისაღებია, არამედ ისეთსაც, რომელიც სრულებით არ მომწონს და აბსოლუტურად მიუღებელია. ეს არის სიტყვის თავისუფლების პრინციპის ანაბანა. შესაძლოა, ვიღაცისთვის თავად ეს პრინციპია პრინციპულად მიუღებელი, როგორც იყო, ვთქვათ, საბჭოთა კავშირში ანდა ნაცისტურ გერმანიაში, მაგრამ როდესაც სახელმწიფო აღიარებს სიტყვის თავისუფლებას, როგორც ფუნდამენტურ ღირებულებას, იგი უბრალოდ ვალდებულია დაიცვას ნებისმიერი პიროვნების უფლება თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. დასჯადი შეიძლება იყოს მხოლოდ ქმედება და არა მოსაზრება.

**არადა თუკი სამხედრო სამსახურში ვინმეს წასვლა არ უნდა, ამისთვის იელოვას მოწმეობა სულაც არ არის საჭირო. მომქმედი კანონმდებლობით ნებისმიერ (ნებისმიერ!) ადამიანს შეუძლია ნებისმიერი (ნებისმიერი!) მსოფლმხედველობრივი მოტივით არ წავიდეს ჯარში და მოითხოვოს ალტერნატიული სამსახური.**

გ) როდესაც აღიარებ სხვის უფლებას თავისუფლად გამოხატოს შენთვის მიუღებელი რელიგიური შეხედულებები, ამით, პირველ რიგში, იცავ საკუთარი შეხედულებების შეუზღუდავად გამოხატვის უფლებას. წესი ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ეს არის როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ცივილურობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი

წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. ჰოტენტოტურ ლოგიკასთან. ეს ტერმინი წარმოიშვა მას შემდეგ. რაც, ამ აფრიკული ტომის წარმომადგენელმა შეკითხვაზე, რა არის სიკეთე და ბოროტება, უპასუხა: ბოროტებაა, როდესაც მეზობელი შემომივარდება სახლში, გამლახავს, გამძარცვავს და ცოლს გამიუპატიურებს, ხოლო სიკეთე ისაა, როდესაც მე შევუვარდები მეზობელს, ვცემ, გავძარცვავ და მის ცოლს გავაუპატიურებ.

როგორც ჩანს, ანტისექტანტური კამპანიის ჩვენებური მესვეურები ამ ლოგიკაზე მაგრად დგანან და სხვაგვარად არ ძალუძთ. ეს, რასაკვირველია, მათი უბედურებაა, მაგრამ არა მარტო მათი.

## დაკარგული სახელმწიფოს ძიებაში

აქ ბუნებრივად ისმის კითხვა: კი, მაგრამ სად არის სახელმწიფო? რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რათა დაიცვას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები, დაიცვას კანონი?

საქმეც ის არის, რომ ანტიიელოვური კამპანია, თავისი არსით, არა მარტო და არა იმდენად ერთი მარგინალური, მცირერიცხოვანი რელიგიური ორგანიზაციის წინააღმდეგაა მიმართული, რომლის ერთადერთი დანაშაული ისაა, რომ არ ეზარება კარდაკარ სიარული და "საგუშაგო კოშკის" უფასოდ დარიგება. საკითხი ბევრად უფრო ღრმაა, ხოლო ტენდენცია საგანგაშო.

დავიწყოთ იმით, თუ როგორია სახელმწიფოს პოზიცია ამ საკითხში (ის, რომ სახელმწიფო ხელისუფლება მკაფიოდ და ცალსახად უნდა აფიქსირებდეს საკუთარ პოზიციას, მგონი სადაო არ არის). ჩამოვთვალოთ მხოლოდ ფაქტები. სულ რამდენიმე ფაქტი.

ა) დეპუტატი გურამ შარაძე, პოლიტიკოსი, რომელიც დაუფარავად ეწევა ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას: მიზანმიმართულად აღვივებს კონფლიქტს რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე, არ ერიდება ცილისწამებასა და სიცრუეს, არათუ ისჯება, არამედ ინიშნება სპეციალურად მისთვის მოგონილ თანამდებობაზე.

ბ) ეკლესიიდან განკვეთილი ხუცესი, ე. წ. გლდანის ეპარქიის წინამძღვარი, ბასილი მკალავიშვილი და მისი მრევლი სისტემატურად არბევს სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების შეკრებებს. ფანატიკოსთა ბრბო სამლოცველოში უვარდება რელიგიურ უმცირესობებს, აყენებენ მათ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამისთვის არათუ არავინ ისჯება, არამედ პირიქით: გლდანის რაიონის პოლიცია ღიად და აშკარად მფარველობს ანაფორიან ხულიგნებს. სასამართლოც ყოველთვის მოძალადეების მხარეზეა.

გ) სამართალდამცავი სტრუქტურების მაღალ და დაბალ ჩინოსანი მოხელეები არაერთხელ გამოსულან და საჯაროდ განუცხადებიათ, რომ სახელმწიფო წინ უნდა აღუდგეს სექტების მოძალებას. ახლახან "ომონის" მიერ სასტიკად იქნა დარბეული იელოვას მოწმეთა შეკრება ზუგდიდის რაიონში, სადაც ეს რელიგიური ორგანიზაცია კონგრესის ჩატარებას აპირებდა.

დ) არცერთ მაღალი თანამდებობის პირს, არჩეულს თუ დანიშნულს, არცერთხელ არ გამოუთქვამს თუნდაც ულიმლამო პროტესტი არც შარაძის ანტიკონსტიტუციურ ქმედებების, არც ბასილისტთა ხროვის ექსტრემიზმის გამო.

მარტო ამ ჩამონათვალიდანაც ჩანს, რომ სახელმწიფო არაფერს აკეთებს რელიგიური ექსტრემიზმის აღსაკვეთად. უფრო პირიქით: ხელს უწყობს ექსტრემისტული განწყობილების გაღვივებას.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რატომ? ასეთი ანტისექტანტური ექსტრემიზმს ხომ სხვა არაფერი შედეგი არ მოაქვს გარდა იმისა, რომ ერთის მხრივ, წამებულის იმიჯს უქმნის დევნილ ჯგუფებს, მეორეს მხრივ კი ხელყოფს ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟს. მაშ, რატომ არ ასრულებს ქართული სახელმწიფო იმ ვალდებულებებს, რაც მას აღებული აქვს საკუთარი ხალხის და მთელი მსოფლიოს წინაშე?

## კონფორმისტი,
## ანუ პრაგმატიზმი ქართულად

საქმე ისაა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში ხელისუფლება ან ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს, ან ცდილობს ითამაშოს საზოგადოების განწყობაზე, ან ორივეს ერთად აკეთებს. საქართველოში საზოგადოებრივი აზრი, როგორც ხელისუფლებაზე ზემოქმედების ფაქტორი, პრაქტიკულად არ არსებობს, მაგრამ ეს კიდევ არ არის მთავარი უბედურება.

არა იმდენად პოსტსაბჭოური, არამედ ჯერ კიდევ დიდწილად საბჭოური ქართული საზოგადოების უბედურება ისაა, რომ ჩვენ უბრალოდ ვერ ვიტანთ პლურალიზმს. უცხო სიტყვაა, ძნელად გამოსათქმელი და კიდევ უფრო ძნელად გასათავისებელი. ტრადიციული ქართული ტოლერანტიზმით და მეიდანზე მეჩეთ-სინაგოგა-ეკლესიის თანაარსებობით თავმოწონება მხოლოდ შირმაა. რეალურად კი ქართული საზო-

გადოებში მძლავრობს განსხვავებულის (აზრის, სწავლების, მოძღვრების) აუტანლობა და შეუწყნარებლობა.

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ფაქტი:

ა) საქართველოს სამოციქულო ეკლესია, საპატრიარქოს სახით, მართალია სიტყვიერად ემიჯნება მკალავიშვილის ექსტრემისტებს, სამაგიეროდ ღიად უჭერს მხარს გურამ შარაძეს და პირდაპირ მოითხოვს სექტების აკრძალვას ან შეზღუდვას.

ბ) გურამ შარაძის, ბასილი მკალავიშვილის და ძმათა მისთა საწინააღმდეგოდ კრინტიც არასდროს დაუძრავს არცერთ (sic!) ოპოზიციურ პარტიას. სამაგიეროდ ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერი (მაგალითად, ირინა სარიშვილი) ხმამაღლა ლაპარაკობს სექტების მომრავლების მითიურ საფრთხეზე.

გ) ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთა აზრს ხელისუფლება ანგარიშს უწევს, ან დაუფარავად მხარს უჭერენ ანტისექტანტურ ვაკხანალიას, ან ჩუმად არიან. თითო-ოროლა გამონაკლისი საერთო სურათს არ ცვლის.

დ) ქართულ მასმედიაში აშკარად ჭარბობს ფსევდონეიტრალური დაუბალანსებელი და მიკერძოებული, ხშირ შემთხვევაში კი უბრალოდ ექსტრემისტული და შოვინისტური პუბლიკაციები.

ასე, რომ თუ საზოგადოების განწყობაზე ვილაპარაკებთ, სანუგეშოს ვერაფერს ვიტყვით. ელემენტარული საღი აზრის დეფიციტი, ზნეობრივ კრიტერიუმთა სრული აღრევა, ბუნებრივად განაპირობებს ხელისუფლების კონფორმიზმს. ბოლოს და ბოლოს, მთავრობაში და პარლამენტშიც ქართველები ზიან. ხელისუფლება (იგულისხმება როგორც პრეზიდენტი, ისე პარლამენტი და მთავრობა) მიიჩნევს, რომ კონსტიტუციით დეკლარირებული პრინციპების დაცვა, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში სექტანტების (და სექტანტობის) დაცვასთან იგივდება, არაპოპულარული და წამგებიანია. ჩვენი ხელისუფლება პრაგმატულია. ქართულად პრაგმატული, რაღა თქმა უნდა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ელემენტარული კონფორმიზმი.

**ჩვენ არ გვინდა დავინახოთ საკუთარი მანკიერება, არ გვინდა გავაცნობიეროთ პრობლემები და შევეცადოთ მათ გადაჭრას. ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთები, როგორიც ვართ, გვეიმედებოდეს, რომ ოდესღაც ყველაფერი თავისით მოგვარდება და ამას ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოესწრებიან.**

## ქართველთა შიში თავისუფლების წინაშე

სწორედ აქაა ძაღლის თავი დამარხული. ჩვენთან ადამიანი შეიძლება იყოს სრულიად კორუმპირებული, იმავდროულად გარყვნილი, მატყუარა, გადამგდები და მას არანაირი პრობლემები არ შეექმნება არც პირად ცხოვრებაში, არც კარიერაში. მაგრამ საკმარისია ვინმეს სიტყვა დასცდეს ნაცემ-დარბეულ იეღოველთა დასაცავად, რომ ის ლამის ერის მტრად გამოცხადდება. ამიტომაცაა, რომ ხელისუფლებაში სინდისის თავისუფლებაზე და ადამიანის უფლებებზე თავს არავინ გამოიდებს. იქ ორი თავი არავის აქვს.

დღევანდელი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობით საქართველოში ყველა უკმაყოფილოა. ის კი ნაკლებად გვესმის, რომ ჩვენი თავის უბოროტესი მტრები ჩვენ თვითონა ვართ: არასოდეს არ იქნება ჩვენი საშველი, სანამ ექიმი, აქაოდა იეღოველი პაციენტი სისხლს არ ისხამსო, გურამ შარაძეს უხმობს. საზოგადოება, სადაც იგივე გურამ შარაძე და მათი მსგავსნი ავტორიტეტებს წარმოადგენენ, განწირულია იმ ყოფისთვის, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით. ქვეყანა, სადაც სინდისის თავისუფლების პრინციპების დაცვა უფრო უტეხს სახელს ხელისუფლებას, ვიდრე მოსახლეობის დაუფარავი ძარცვა-გლეჯა, ვერც თავისუფლებას ეღირსება და ვერც კეთილდღეობას.

სტაბილური კეთილდღეობის საფუძველი პიროვნების თავისუფლება და საზოგადოების მყარი მორალური პრინციპებია. პლურალიზმი, განსხვავებულთა თანაარსებობა, თავისუფლების უცილობელი ატრიბუტია. თუ გინდა იყო თავისუფალი, ცხოვრობდე თავისუფალ საზოგადოებაში და გქონდეს თვითგამოხატვის, თვითდადგენის, თვითდამკვიდრების სრული შესაძლებლობა, ასეთი შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ყველას, მათ შორის იეღოველებსაც..

მაგრამ ჩვენ, ქართველებს, უბრალოდ გვეშინია თავისუფლების, რადგან არავითარი მყარი მორალური პრინციპები ჩვენ არ გაგვაჩნია. ჩვენ არ გვჯერა საკუთარი თავის - არ გვჯერა არც საკუთარი რწმენის, არც სინდისის, არც პატრიოტიზმის. არ გვჯერა, რადგან გულის სიღრმეში კარგად ვიცით, რაოდენ გახრწნილები ვართ და გვესმის, რომ თავისუფლების პირობებში, ღია და გახსნილ საზოგადოებაში ეს ძალიან კარგად გამოჩნდება. უკვე ჩანს კიდეც.

და ჩვენ არ გვინდა დავინახოთ საკუთარი მანკიერება, არ გვინდა გავაცნობიეროთ პრობლემები და შევეცადოთ მათ გადაჭრას. ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთები, როგორიც ვართ, გვეიმედებოდეს, რომ ოდესღაც ყველაფერი თავისით მოგვარდება და ამას ჩვენი შვილები და შვილიშვილები მოესწრებიან. ოღონდ მანამდე გვჭირდება მტერი, რომელიც ვერაგია და ძლიერი, რომელიც ემუქრება ჩვენს მეობას, ჩვენს არსებობას. მხოლოდ ასეთი მტერი შეიძლება იყოს ჩვენი გახრწნილების, უზნეობისა და ამორალურობის გამართლება.

და როდესაც ასეთი მტერი არ არსებობს, ჩვენს მას ვიგონებთ. ეს ვისთვის ამერიკაა, ვისთვის მასონები, ვისთვის გოგი გვახარიას "ფსიქო," მაგრამ ყველაზე "გემრიელი" მტერი, რა თქმა უნდა იეღოველებია. მით უმეტეს, რომ ისინი შემაწუხებლად აქტიურები არიან: ქუჩაში გაჩერებენ, "საგუშაგო კოშკს" გჩრიან წასაკითხად. თან დიდი ძალმოსილებითაც არ გამოირჩევიან - ჩხუბი მაგათმა არ იციან, სროლა და საქმის ქურდულად გარჩევა. დაცხეთ, დაჰკარით!..

და ანტიიეროვნული სექტანტობის შემაძრწუნებელი აჩრდილი, რომელიც ავისმომასწავებლად დაძრწის საქართველოში და ლამის აპოკალიფსური მხეცის სახებად წარმოგვიდგენენ, სინამდვილეში მართლაც რომ აჩრდილია. ლანდი, ფანტომი, ილუზია, გამოხმობილი ჩვენი შერყვნილი მენტალიტეტიდან და დაბადებული ჩვენივე მთვლემარე გონების მიერ, რადგან მთვლემარე გონება, როგორც ცნობილია, მუდამ რაღაც ურჩხულებს ბადებს.

აი, ასე ვცხოვრობთ. ამბავში და გაგებაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა



**http://www.opentext.org.ge/arili**

წკაპ HERE



